

ქართაბის აკადი ფერეთლის სახელობის სახალხოფო  
უნივერსიტეტი

ISNN 1512-09-53

# შრომები

ტომი 2(36)

პლაგოგიკისა და  
სრავლების მათოდისამზის სირთულე

ქართაის აკადი მეცნიერის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



ISNN 1512-09-53

# გროვები

ტომი 2(36)

პედაგოგიკია და  
სოფლიური მეთოდის განვითარების სამსახური, 4

2003

„შრომების“ მთავარი რედაქტორი -

პროფესორი ავთანელი ინოლეიშვილი

სარედაქციო საბჭო: დოკუმენტი ვასტანგ ამაღლობელი (საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დარგის პროექტორი), პროფესორი თორნიკე უფრემიძე (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), პროფესორი ომარ ლახჩავა (სასწავლო-სამეცნიერო დარგის პროორექტორი), პროფესორი გიორგი ონიანი (შრომების საბუნებრივმეტყველო-მათემატიკური მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი ლევან სვანაძე (სოციოლოგიურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), დოკუმენტი მარინე ქაცარავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პროფესორი გურაშ ჩაჩანიძე (პედაგოგიური მეცნიერების და მეთოდიკათა სერიის რედაქტორი), ნატო წულეისკირი (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მდივანი).

სერიის რედაქტორი - პროფესორი ვალერიან ქელბაქიანი.

სარედაქციო კოლეგია: დოკუმენტი ლეილა აბზიანიძე, დოკუმენტი იმერ ბასილაძე, დოკუმენტი ჰეტრე ვაჭრიძე, დოკუმენტი მზია კოსტავა, დოკუმენტი თენგიზ ლობეანიძე, დოკუმენტი შოთა ლომინაშვილი, პროფესორი მადონა მეგრელიშვილი, პროფესორი მანანა მიქაძე, დოკუმენტი ავთანდილ ხანავა, დოკუმენტი რუსუდან თუთბერიძე, პროფესორი გურაშ ჩაჩანიძე (რედაქტორის მოადგილე), დოკუმენტი უოზე ჯულაყიძე.

© ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

## იმური ბასილაძე + შოთა ჩხარტიშვილი

ასცავლამდლის გადრობის მომსახულების ზოგიერთი პროცესი  
შეთანხმის აქტი უმრავლეს სახელმწიფო  
ახალმხრივ უნივერსიტეტი

F10575

90-იანი წლებიდან, საქართველოში მიმდინარე ცნობილი მოც-  
ლენების გამო, უმაღლესი განათლების სისტემაში მოხდა ძირეუ-  
ლი ცვლილებანი, თითქმის არსებული ყველა პედაგოგიური ინ-  
სტიტუტები გადაკეთდა უნივერსიტეტებად, რომელთა საქმიანობა  
წარიმართა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამოცდილების ბაზაზე. მაგრამ, როგორც მოსა-  
ლოდნელი იყო, განსხვავებული პირობების გამო, ხშირად ვერ ესა-  
დაგება არსებულ სინამდვილეს, ამ გამოცდილების გაზიარება და  
გადმოღება. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით, ეს დაეტყო მასწავ-  
ლებელთა კადრების მომზადებისათვის საჭირო პედაგოგიურ-ფსი-  
ქოლოგიური ციკლის საგანთა სწავლებასა და პედაგოგიური პრაქ-  
ტიკის ორგანიზაციას. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტიში მასწავლებელთა კადრების მომზა-  
დების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, იგი სხვადასხვა დროს  
სხვადასხვაგარად წყდებოდა. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე,  
პროფესორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო პედა-  
გოგიური ფაკულტეტის ბაზაზე პედაგოგიური ინსტიტუტი, რო-  
მელსაც დაევალა პედაგოგიური კადრების მომზადების ხელმძღვა-  
ნელობა. 1918-1930 წლებში ეს ინსტიტუტი მაღალ მეცნიერულ  
და მეთოდურ დონეზე ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვა-  
ლეობას. 1930-1933 წლებში მთელი უნივერსიტეტი გადაკეთებულ  
იქნა პედაგოგიურ ინსტიტუტად, რომელიც 1933 წელს გადმოვიდა  
ქუთაისში, ხოლო თბილისში ხელმძღვანელი საუნივერსი-

ტეტო განათლება, რომლის მრავალდარგოვან ფაკულტეტებს შორის პედაგოგიური პროფილის მქონე სპეციალობებს შედაგებოთ მოკრძალებული ადგილი ეკავა.

ქუთაისის ალ.წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი თავის პროფესორ-მასწავლებელთა და საერთოდ, პედაგოგიური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, მაგრამ უნივერსიტეტის გადაკეთების შემდეგ, ეს ფუნქცია მან რამდენადმე დაკარგა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მასწავლებელთა კადრების მომზადების მიმართულებით საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომელთა დროულად გადაჭრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია უნივერსიტეტის პედაგოგიური პროფილის მქონე სპეციალობებზე პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის საგანთა სწავლებასთან.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის საგანთა სწავლებისა და პედაგოგიური პრაქტიკის შინაარსისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების მიმართულებით საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

ბაკალავრიიატის საფეხურზე თეორიული და პრაქტიკული პედაგოგიური ცოდნის ამაღლების მიმართულებით საჭირო იქნება მოქმედ სასწავლო გეგმათა კორექტირება, კერძოდ:

1. ზოგადი პედაგოგიკის კურსის წაკითხვა დაიწყოს სტუდენტთა მიერ ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კურსების მოხმენის შემდეგ.

2. ყველა პედაგოგიურ სპეციალობაზე დამოუკიდებელ კურსად წაკითხულ იქნას პედაგოგიკის თეორია.

3. ყველა პედაგოგიური სპეციალობის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას სპეციურისა და სპეციემინარი პედაგოგიკაში, ფსიქოლოგისა და მეთოდიკაში არჩევით.

4. პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის საგანთა მოსმენისა და პედაგოგიური პრაქტიკის გავლის შემდეგ ჩატარდეს კრებსითი საკვალიფიკაციო სახელმწიფო გამოცდა პედაგოგიკაში დადგენილი ტრადიციული წესის დაცვით. არამართებულად მიგვაჩნია ზოგი-

ერთი სახელმწიფო საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მმართველობის დიპლომანტთათვის პედაგოგიური პროფესიის მინიჭების ამჟამანამდე დელი პრაქტიკა, როცა პედაგოგიურ დისციპლინებში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების გარეშე ანიჭებს მასწავლებლის კვალიფიკაციას.

5. ჩვენს უნივერსიტეტში მაგისტრატურა მხოლოდ პედაგოგიური პროფესიის მქონე სპეციალობებზე იქნა შემოღებული, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ არის გარკვეული და ერთმანეთისგან გამიჯნული მაგისტრისა და ბაკალავრის უფლება-მოვალეობანი, დანიშნულება და ფუნქციები სკოლაში. ამ საკითხის დარეგულირება განათლების სამინისტროს ფუნქციაა და უნივერსიტეტი მას ვერ გადაწყვეტს.

რაც შეეხება მაგისტრანტის პედაგოგიური ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით შეიარაღებას, იგი უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან პედაგოგიკის კათედრის არანაირი შეხების წერტილი არა აქვს მაგისტრის მომზადებასთან.

6. არც თუ დიდი ხნის წინ, იყო დრო, როცა უნივერსიტეტში განუწყვეტელი ხუთწლიანი პედაგოგიური პრაქტიკა შემოიღეს. ამჟამად სტუდენტის პედაგოგად მომზადების ამ მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტის ხანგრძლივობა და სახეები მინიმუმამდეა შემცირებული / 6 კვირა / და ოდნავაც ვერ, აკმაყოფილებს სტუდენტის პრაქტიკულ-პედაგოგიური უნარ-ჩვევების შექნის მოთხოვნილებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე შემოღებულ იქნას სამ საფეხურიანი პედაგოგიური პრაქტიკა: ბაკალავრებისათვის მე-3-4 კურსებზე, ხოლო მაგისტრანტებისათვის პირველ კურსზე, ბაკალავრები III-კურსზე პრაქტიკას გაივლიან მე-7, მე-9 კლასებში, ხოლო მე-4 კურსზე მე-10, მე-11, მე-12 კლასებში, ასევე გიმნაზიებში, ლიცეუმებსა და კოლეჯებში.

მაგისტრანტები I კურსზე პრაქტიკას გაივლიან უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესიის ბაკალავრიატის I და II კურსზე, აგრეთვე გიმნაზიებში, ლიცეუმებსა და კოლეჯებში.

7. “საქართველოს განათლების კანონი” მნიშვნელოვან სიახლეებს

გვთავაზობს დაწყებითი განათლების საფეხურზეც. იქმნება მენტარული დაწყებითი სკოლა (I-VI კლასები). უნივერსიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა აქედანვე უნდა დაიწყოს ზრუნვა ამ ტიპის სკოლებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის. ელემენტარული სკოლისათვის უნდა შემუშავდეს სწავლების ახალი მეთოდოლოგია, შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები. ყველა ამ სამუშაოს შესრულება უნდა დაეკისროს სპეციალურ სამეცნიერო საბჭოს, ან გამოცდილ მეცნიერთა კომისიას, რომელიც შეიმუშავებს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს და, საერთოდ, ამ პროფილისათვის საჭირო სწავლების ახალ სტრატეგიას.<sup>2,3</sup>

8. მიმდინარე სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესატყვისად, პედაგოგიკის კათედრამ სტუდენტ-პრაქტიკიკანტთათვის უნდა შეიმუშაოს კლასგარეშე და აღმზრდელობითი პრაქტიკის პროგრამა და ჩატარების მეთოდიკა სასკოლო ტიპის საფეხურთა თავისებურებების გათვალისწინებით.

9. მიმდინარე სასკოლო რეფორმამ უნივერსიტეტებს მიანიჭა ავტონომიის უფლება. ეს ჩვენი განათლების სისტემის დემოკრატიული მონაპოვარია, მაგრამ ამ მონაპოვარს გააჩნია თავისი შუქრიდილები და ხარვეზები. კერძოდ, იგი მავანისა და მავანის მიერ განუსაზღვრელ უფლებად განიცდება, რაც ხშირად იწვევს სასკოლო გეგმებიდან სასწავლო საგნების დაუსაბუთებელ ამოღებას, სასწავლო საათების თვითნებურ შემცირებას, გამოცდების ჩათვლებად გადაკეთებას, პედაგოგიური პრაქტიკისათვის გეგმით გათვალისწინებული საათების გაუმართლებელ შემცირებასა და სხვ.

ჩვენ ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნება შევიმუშაოთ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის საგანთა სწავლების ლოგიკური სქემა, რომელიც საერთო და სავალდებულო იქნება ერთნაირი პროფილის მქონე ყველა სპეციალობისათვის. ეს აგვაცილებს ზოგიერთ განსხვავებულ მიდგომას და გაუგებრობას, რასაც არც თუ იშვიათად, აქვს ადგილი სასწავლო პრაქტიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით შედგენილი სასწავლო გეგმები და პროგრამები ხშირ შემთხვევაში სცოდავენ მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდიკური თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ სასწავლო გეგმების, პროგრამების, პედაგოგიური

პრაქტიკის ინსტრუქციების სტანდარტების შედგენა განათლების  
სამინისტროს პრეროგატივაა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საქმის სტანდარტების  
საგვარებლად სამინისტროს სათანადო სამსახურები არ გააჩნია,  
ან ჩვენთვის უცნობი სხვა რაიმე საპატიო მიზეზები აქვს. ვფიქ-  
რობ, შექმნილ ვითარებაში გარკვეული სამსახურის გაწევა ძალუბს  
საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიას, თუ იქნება  
სათანადო მონიტორინგი და კეთილი ნება.

მოკრძალებული თხოვნითა და წინადადებით მივმართავთ სა-  
ქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიას, შექმნას სპე-  
ციალური დროებითი სამეცნიერო საბჭო, რომელიც საზოგადოებრივ  
საწყისებზე მუშაობის წესით შეიმუშავებს უნივერსიტეტებში სწავ-  
ლების ორგანიზაციის, შინაარსისა და მეთოდოლოგიის ფუძემ-  
დებლურ დებულებებს, რომლებიც განათლების სამინისტროს სა-  
თანადო რეკომენდაციებით, სავალდებულო წესით დამკვიდრდება  
სასწავლო-სააღმზრდელო პრაქტიკაში.

**Imeri Basiladze, Shota Chkhartishvili**

**SOME PROBLEMS OF TRAINING THE TEACHERS AT KUTAISI  
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY**

**SUMMARY**

The work deals with some problems on teachers training at Kutaisi Akaki Tsereteli University. The questions of the organization and methodology of the subjects from the Pedagogical-psychological course, the types of the aspect of pedagogics, Conducting ways and organization on the different stages of teaching are discussed in the work. The work presents some references to improve teacher's training.

**ლიტერატურა**

1. გაგუა ვ., პედაგოგიკა, თბილისი, 1996.
2. საქართველოს კანონი განათლების შესახებ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, №165

იმური ბასილაძე, ნათია ბლიაძე

ქალთა აღზრდისა და განათლების საკითხები განვითარების  
მისამართის პრინციპები და უზრუნველყოფა

ქალთა აღზრდა-განათლებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქ-  
ცევდა გაბრიელ ეპისკოპოსი. მისი უშუალო ინიციატივით დასავ-  
ლეთ საქართველოში გაიხსნა მრავალი საეკლესიო-სამრევლო სკო-  
ლა ქალთათვის, ხოლო 1892 წელს ქუთაისში დაარსდა ქალთა  
ეპარქიალური სასწავლებელი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. გარ-  
და პრაქტიკული საქმიანობისა, გაბრიელს სპეციალური “ქადა-  
გებანი” აქვს მიძღვნილი ქალთა აღზრდა-განათლებისადმი.

გერასიმე ქიქოძეს (გაბრიელ ეპისკოპოსს) მე-19 საუკუნის ქარ-  
თული საზოგადოების ყოფის უდიდეს ნაკლად მიაჩნდა საზოგა-  
დოებრივი საქმიანობიდან ქალთა ჩამოცილება. მისი აზრით „დი-  
დია ქალის მნიშვნელობა ქრისტიანულ საზოგადოებაში, მაგრამ  
არა სხეულებრივი სილამაზით, არამედ გონებით, უბიწოებით და  
მაღალი ზნეობით.<sup>3</sup>

გ. ქიქოძე ხედავდა, რომ ახალ ვითარებაში კიდევ უფრო გაი-  
ზარდა ქალთა საზოგადოებრივი დატვირთვა. მთლიანად შეიცვა-  
ლა ქველი აღზრდის სისტემა. იგი ქადაგებებში ექებს იმ ზნეობრივ  
კატეგორიებს, რომლებიც მისაღებია, დასაგმობს კი სასტიკად აკ-  
რიტიკებს. მისთვის უმთავრესია ქართული ოჯახის აღორძინება და  
ოჯახში ზნეობრივად სპეციაკი ახალგაზრდობის აღზრდა. გაბრიე-  
ლი წუხს, რომ ქართველი ქალის კეთილშობილების განმსაზღვრე-  
ლი ნიშან-თვისებები თანდათან გაახუნა ახლად შექმნილმა სოცი-  
ალურმა გარემომ. სხვაგვარად მოეწყო მისი აღზრდა, სწავლება  
და ცხოვრება.

ქალთა ასეთი მდგომარეობით შეშფოთებული გაბრიელი იც-

ნებობს: „ნეტავი ღმერთმან ინებოს და ქალთა ჩვენთა არაოდეს დაპკარგონ ზოგიერთნი ფრიად საქებნი და საყვარელნი თვისებანი, რომელნი შეამკობენ, ძველებურად მცხოვრებთა ქალთა, არამედ შეიერთონ იგინი ახლისა განათლებასა და სწავლასთან, მაშინ მხოლოდ იქმნებიან იგინი ძვირფას ქრისტიანობისა და საზოგადოებისათვის.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, გაბრიელ ეპისკოპოსი მოითხოვს იმ საუკეთესო წეს-ჩვეულებათა შერწყმას, რითაც ძველი და ახლი დროება ხასიათდება. მისი აზრით „მდედრობითი სქესის, ანუ ქალების ზნეობის სიფაქიზე, სიწმინდე, მათი ხასიათის სიმტკიცე, გულ-კეთილობა, გონების სიფხიზლე არის უტყუარი საწყაო საზოგადოების ზნეობისა და ბედნიერებისა. როდესაც სურთ, ნამდვილად გაიგონ ხალხის, საზოგადოების, გინა ოჯახის ზნე-გონების ვითარება, უმაღმიკმართავენ ქალების ზნე-ხასიათის შესწავლას და თუ აღმოჩნდა, რომ ქალნი მაღლა სდგანან ზნეობითა და გონებით, აღარ არის თითქმის საჭირო შესწავლა მამაკაცთა ზნე-ხასიათისა.“<sup>1</sup>

გაბრიელი მკაცრად აკრიტიკებდა თავის თანამედროვე საზოგადოებაში ფესვგადგმულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს ქალს სრულიად არ ესაჭიროება განათლება, ხასიათის სიმტკიცე და სხვ. რომ მისთვის არსებითია სილამაზე. „ჩემდათავად, მე დარწმუნებული ვარ, - ამბობდა გაბრიელი, რომ გონება - ხასიათისა და ზნის სიმტკიცე, გაცილებით არის საჭირო ქალისათვის, ვიდრე მამაკაცისათვის.“

გაბრიელ ეპისკოპოსი მდედრობითი სქესის მთავარ მოვალეობად თვლის მოზარდი თაობის აღზრდას. მისი აზრით, თუ დედა გამოირჩევა გონიერებით, სათხოებითა და სიყვარულით, მისი შვილი კეთილი და ღვთისმოშიში იქნება. მაგრამ რა საზიანო მოზარდისთვის თუ დედას ცუდი ხასიათი აქვს, არ ესმის მოვალეობის მთელი სერიოზულობა. ამ შემთხვევაში დედა ზნეობრივად ღუპავს ბავშვს.

მღვდელმთავარი მკაცრად აკრიტიკებს თავისი დროის სწავლა-აღზრდის სისტემას. მის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი წინააღმდეგია ქალთა განათლების. პირიქით, „დაუფასებელ საუნგედ თვლის“ იმათ, რო-

მელთაც, განათლებასა და ცოდნასთან ერთად, შერწყმული ჩატანის მიერ ჩვეულებანი და ქვევანი ქველებური აღზრდისა.

გაბრიელი დიდი სიყვარულით იხსენებს ჩვენში არსებულ ქალთა აღზრდის სისტემას. “უწინ უმეტეს ნაწილად აღზრდა ქალისა იყო შინაური. ქალი იზრდებოდა შინ დედ-მამის მხედველობის ქვეშ, ქალს მისცემდნენ ხელში საღმრთო წერილს, ასწავლიდნენ დავითნს და უამნს, საეკლესიო გალობას, წერას. მიაჩვევდნენ ოჯახის მოვლას, ასწავლიდნენ შინაურს ხელოვნებას, ცხოვრებაცა ქალის იყო განუყოფლივ შინაური.”<sup>1</sup> ამ აზრის დასაბუთებად იგი იშველიებდა სახარებას, რომლის მიხედვითაც ქალი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი თავის მოქმედებაში, მაღალი გონებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე, რათა პირნათლად აღესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობანი.

ღრმად მორწმუნე, გაბრიელისათვის ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა საღმრთო სკოლა, რომელიც ქართველ ქალს არა მარტო მშობლიურ ენას შესწავლიდა, არამედ ზნეობას, რწმენას, გონიერებას, სიმშვიდეს, ხასიათის სიმტკიცეს, ბავშვისა და ოჯახის მოვლა-პატრონობას, სამშობლოს სიყვარულს.

მაშასადამე, გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც საეკლესიო მოღვაწე, საღმრთო სკოლას ანიჭებს უპირატესობას ქალთა აღზრდის საქმეში. აქ, ჩვენი აზრით, იგი ცდება, რაღან ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძლება სწავლა-აღზრდის პროცესის მაღალ დონეზე დაყენება.

გ. ქიქოძე შენატრის იმ ერთა და ქვეყანას, “როგორსა შინა ქალნი არიან წმინდისა ზნეობისა, პატიოსნის ცხოვრებისა. ის ქვეყანა და ერი ყოველთვის იქნება წარმატებასა შინა და ბედნიერებასა. წინააღმდეგ ამისა, უბედურ არს და სატირალი ის ქვეყანა და ერი, როგორსა შინა ქალთა დაივიწყეს თავისი მნიშვნელობა, მიიღეს ცუდი ზნეობა, ქრისტიანული ზნეობის წინააღმდეგი ცხოვრება.”<sup>2</sup>

იმერეთის ეპისკოპოსს მტკიცედ სწამდა, რომ განათლებულ ქალებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ზნეობრივი ამაღლების თვალსაზრისით: “როგორი მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეს ქალს, საზოგადოების როგორ საფეხურზედაც არ უნდა იდგეს იგი, მას ყველგან შეუძლია დიდი სიკეთის მოტანა, ყველგან შეუძლია სასარგებლო იყოს.”

ფაქტიურად, გ.ქიქოძე ქალთა განათლების ფართოდ დანერგვის მომხრეა. ოღონდ მოითხოვს ზნეობრივი აღზრდის წინა პლატფორმაზე წამოწევას. ქალში შრომის, ოჯახის, მოყვასის სიყვარულის დანერგვის და ისეთი თვისებების აღმოფხვრას, როგორიცაა მანქვა-გრეხია, ჭორაობა, ლაყბობა, გადაჭირდებული ზრუნვა გარეგნობაზე, მორთულობაზე და სხვ.

გაბრიელ ეპისკოპოსი ყურადღებას აქცევს, აგრეთვე, ქალის შრომით აღზრდას. მისი აზრით, მშობლებმა პატარაობიდანვე უნდა მიაჩიონ იგი შრომას, რადგან შრომისმოყვარე ქალი ყოველთვის პატიოსანი და ზნემაღალია. ის მშვენიერ მაგალითს აძლევს შვილებსა და გარშემო მყოფთ. ქალთა შრომით აღზრდასთან გაბრიელის ასეთმა დამოკიდებულებამ თვით ილია ჭივჭივაძეც კი აღაფრთოვანა და მღვდელმთავრის დაკრძალვის დღეს გელათის მონასტერში ათებევინა: “ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარების გაპატიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბავითაც თვითონ ღმერთი მეტყველებს”<sup>1</sup>.

გაბრიელ ეპისკოპოსი მომხრეა ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის იდეისა. იგი ერთ-ერთ თავის ქადაგებაში “სიტყვა ხარების დღესა” ხმამაღლა აცხადებს: “ქრისტიანობა არ მოითმენს, რომ ქალს ჰქონდეს მონებრივი დამოკიდებულება მამა-კაცთან, თუ გინდ მეუღლესთან, თუ გინდ მამასთან. გაუნათლებელთა და უსჯულოთა ქვეყანათა შინა ქალი არის მონა, სათამაშო მამა-კაცისა და ემსახურება მხოლოდ პირუტყვულთა მამა-კაცის ვნებათა არა ესრეთ არის განათლებულთა, ქრისტიანულთა საზოგადოებათა შინა. აქ ქალს აქვს დიდი პატივი და მნიშვნელობა”<sup>2</sup>.

მიგვაჩნია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ გამოთქმულ ბევრ შეხედულებას ქალის დანიშნულების, აღზრდის და განათლების საკითხებზე, დღესაც აქვს პრინციპული მნიშვნელობა. ისინი ხელს შეუწყობს თანამედროვე განათლების რეფორმის განხილვის ქალთა აღზრდის პრაქტიკულად დაეხმარება სკოლას წარმატებით გადაჭრის ქალთა აღზრდის პრობლემები თანამედროვე პირობებში. ვინაიდან ქველი სტრუქტურების მსხვრევამ, ახალმა სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა გარემომ, სულ სხვა მორალური პრინციპები შემოიტანა და სკოლა მრავალი სირთულის წინაშე დაიყენა.

„მიგვაჩნია, რომ დღევანდელ საქართველოში, სწორედ განათ-



ლებული და ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი ქალისა მდგრადი მანდილმა უნდა დაამკვმდროს ზნეობა, რწმენა, სიმშვიდე, ბავშვისა და ოჯახისადმი, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა. ქართველი ქალის ფენომენი კვლავაც ნაყოფიერად ითანამშრომლებს თავისუფალი დამოუკიდებელი, დემიკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში<sup>43</sup>.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პედაგოგიკური აზრი ქალის დანიშნულებისა და მისი საზოგადოებრივი მოწოდების დასაბუთებაში არა თუ ჩამოუგარდება პროგრესულ ევროპულ აზრს, ამ საკითხთან დაკავშირებით, არამედ წინ უსწრებს კიდეც. ქართული პედაგოგიკური აზრი აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას და მოითხოვს ქალთა გიმნაზიის უფლების გათანაბრებას ვაჟთა გიმნაზიის უფლებებთან. ცხადია, ყოველივე ზემოთქმული ქართული პედაგოგიკური აზროვნების მოწიფულობის უტყვი ნიშანია.

**Imeri Basiladze, Natia Bliadze**

## THE QUESTIONS OF WOMEN'S TRAINING AND EDUCATION IN GABRIEL BISHOP'S PEDAGOGICAL THINKING

### SUMMARY

Gabriel bishop paid a great attention to the women's education. Many parish schools for women were opened in the west Georgia on his direct initiative. In 1892 in Kutaisi the women's episcopate school was founded which was called his name.

#### ლიტერატურა

1. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებები, ტ. 1.
2. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებები, ტ. 2, 1990.
3. იმერი ბასილაძე, გაბრიელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე), ქრისტიანული პედაგოგიკა, ქუთაისი, 2001.

## იაგო ბალანჩიგვაძე

### ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვთა პედა- გოგიური შესწავლა გვეხმარება უფრო ღრმად დავინახოთ მისი გან- ვითარების თავისებურებანი და კანონზომიერებანი. მასზე დაყრდნობით შეგვიძლია განვსაზღვროთ კორექციული მუშაობის გზები, პრინციპები და საშუალებები. ასეთი ბავშვები განსხვავ- დებიან გონიერივად ჩამორჩენილებისაგან. ბევრ პრაქტიკულ და ინტელექტუალურ ამოცანას წყვეტენ თავიანთი ასაკის შესაბამი- სად, აქვთ უნარი გამოიყენონ მათზე გაწეული დახმარება, შეუძ- ლიათ გაიაზრონ სურათის სიუჟეტი, ერკვევიან მარტივი ამოცანის პირობებში და შეუძლიათ შეასრულონ სხვა მრავალი დავალება. ამავე დროს ასეთი ბავშვები გამოიჩინიან არასაკმარისი შემეც- ნებითი აქტივობით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მათ სწრაფ გადაღლასთან და შეუძლია სერიოზულად შეაფერხოს მა- თი სწავლა და განვითარება. სწრაფი გადაღლა იწვევს მოსწავ- ლებში შრომის ნაყოფიერების შემცირებას, რის შედეგადაც მათ უძნელდებათ სასწავლო მასალის ათვისება.

ასეთი კატეგორიის მოსწავლეები ითხოვენ განსაკუთრებულ მიდ-  
გომას. მსუბუქი შეფერხების დროს, ბავშვზე დახმარება მასიური  
სკოლის პირობებში, შეუძლიათ მასწავლებლებსა და მშობლებს.  
განვითარების დიდი შეფერხების დროს აუცილებელია შეიქმნას  
სწავლების განსაკუთრებული პირობები. ზოგიდსაგანმანათლებლო  
სკოლების სპეციალისტებში ერთწლიანი სწავლების შემდეგ მოსწავ-  
ლეთა დახასიათებისას მასწავლებლები ნათლად ხედავენ მათ  
განსხვავებას გონიერივად ჩამორჩენილებისაგან. ბევრ მათგანზე მას-  
წავლებლები ამბობენ, რომ მართალია სასკოლო პროგრამით გათ-  
ვალისწინებულ მასალას ისინი მთლიანად ვერ ფლობენ, მაგრამ



მათ განვითარებაში იგრძნობა საქმაო წინსვლა. აღსანიშნავლები ზოგჯერ ასეთი ბავშვები აქტიურად მუშაობენ კლასში და ყველასთან ერთად ასრულებენ დავალებებს, მაგრამ მალე იღლებიან, ხშირად გამოერთვებიან სასწავლო პროცესიდან, წყვეტენ სასწავლო მასალის ათვისებას, არასაკმარისია შედარების, ანალიზისა და სინთეზის პროცესი, სუსტია მებსიერება და უჭირს ყურადღების კონცენტრაცია. მასწავლებლები ცდილობენ ასეთ ბავშვებთან აწარმოონ ინდივიდუალური მუშაობა.

ასეთ მოსწავლეებთან სწავლების გარკვეულ ეტაპზე, რა თქმა უნდა, მიიღწევა დადებითი შედეგები. ზოგჯერ შეიძლება დიდ წარმატებებსაც მივაღწიოთ, სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ისინი გონებრივად ჩამორჩენილნი არ არიან, არამედ განვითარებაში ჩამორჩებიან, შესაბამისად ნელა ითვისებენ სასწავლო მასალას. აღსანიშნავია, რომ მათვის დამახასიათებელია პერიოდულობა. გარკვეულ მომენტში მათ შეუძლიათ იმუშაონ ინტერესით და პროდუქტურულად, ზოგჯერ, პირიქით, ეს ყველაფერი მცირდება და საქმაოდ დაბალია სასწავლო მასალის ათვისების დონე.

პედაგოგიურმა დაკვირვებებმა დაგვანახა, რომ ხშირი გადასვლები აქტიური მდგომარეობიდან მთლიანად ან ნაწილობრივ პასურ მდგომარეობაში მჭიდრო კავშირშია ფსიქო-ნევროლოგიურ პროცესებთან. არის შემთხვევა, როდესაც მათ ეძლევათ რთული ამოცანა ან აუცილებელია შესარულონ გარკვეული მოცულობის სამუშაო და მათი აქტივობა დაბალია, გაშინ ისინი კარგავენ წონასწორობას, იწყებენ ნერვიულობას და ზოგჯერ საერთოდ ვერ ასრულებენ სამუშაოს. მაგალითად, მათებატიკის გაკვეთილზე პირველად იხსნებოდა ამოცანა მაკლების პოვნაზე. ერთ-ერთი მოსწავლე ძალიან ნერვიულობს და რატომდაც ვერ იწყებს სამუშაოს. მასწავლებელი დაინტერესდა პრობლემით და ბავშვი ამბობს: „მე არ ვიცი რა არის მაკლები და როგორ ვიპოვო ის!“ მასწავლებელმა მოსწავლე დაამშვიდა, შეახსენა თეორიული მასალა, თუ რა იყო მაკლები და ამის შემდეგ მან სწრაფად შესარულა დავალება.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებთან მუშაობისას შეიმჩნევა მათი შემოქმედებითი მუშაობის დადებითი მხარეები. ეს „ძლიერი“ მხარეები ყველაზე მეტად ვლინდება ისეთი სამუშაოების შესრულებისას, როგორიცაა მათვის მღებაწვდომი და საინტერესო ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც არ მოითხოვს

ხანგრძლივ გონებრივ დაძაბულობას. ასეთ მდგომარეობაში ინტერესული კიდური მუშაობის დროს მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად დავალება შეასრულონ ნორმალური განვითარების მქონე თანატოლის დონეზე. როდესაც ასეთი ბავშვები ცდილობენ რაიმე ამოცანა კარგად გაიგონ, ხშირად მიმართავენ მასწავლებელს თხოვნით, გაიმეოროს პირობა. მასწავლებელს არაერთჯერ უწევს გამეორება, მაგრამ ბავშვები არიან საოცრად კმაყოფილნი, როდესაც დამოუკიდებლად შეძლებენ დავალების შესრულებას, მიაგნებენ შეცდომებს, მოძებნიან ამოხსნის რაციონალურ ხერხს.

პედაგოგიური დაკვირვებისა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად ნათლად ირკვევა, რომ ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვები დიდ ინტერესს ამჟღავნებენ მათემატიკისადმი. ამ საგნის ათვისებაში მათი წარმატებები გაცილებით შესამჩნევია, თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, რომ ეს წარმატებები არ არის ისეთი მაღალი, როგორიც აქვს ნორმალური განვითარების მქონე თანატოლებს. მათემატიკური საკითხების ათვისება მჭიდრო კავშირშია აბსტრაგირების შესაძლებლობების განვითარებასთან, ლოგიკური აზროვნების ფორმირებასთან. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ასეთი კატეგორიის მოსწავლეებს აქვთ შესწავლის გარკვეული შესაძლებლობები.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვები ნებისმიერი მუშაობის ჩატარებისას გაცილებით უფრო ეფექტურნი არიან, ვიდრე გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები. ისინი ადვილად იღებენ დახმარებას მშობლებიდან, მასწავლებლებიდან. კიდევ მეტიც, თხოულობენ კიდეც დახმარებას, რაიმე ამოცანის გადაჭრისას, თუ მათ ეს დასჭირდებათ. შეფერხების ხარისხის მიხედვით ბავშვებს სხვადასხვა სახის დახმარებები სჭირდებათ. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, რომ მოსწავლეს გაუჭირდა დამოუკიდებლად სავარჯიშოს შესრულება. ის გამოვიდახეთ დაფასთან, სადაც დავალებაზე საუბრობდა და მსჯელობდა ხმამალლა, შესაბამისად დავალებაც გადაჭრა თავისუფლად. რა თქმა უნდა ასეთი ქმედება ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებთან არის მასტიმულირებელი და ამაღლებს მათ აქტივობას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დახმარება შეიძლება იყოს სხვადასხვა, ამდენად ზოგი დამხმარე კითხვებით მიგვყავს შედეგამდე, ზოგთან მსგავსების მე-

თოდს ვიყენებთ, ზოგისათვის კი დამატებითი თვალსაჩინო მქონე ცალის უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არიან მისუბუქი თებიც, რომლებიც თავად აქტიურობენ მოძებნონ სხვადასხვა საშუალებები დასმული ამოცანის გადასაჭრელად.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებისათვის სულერთი არ არის, თუ როგორი იქნება, შესრულებული სამუშაოს შეფასება. მათ ძალიან სიამოვნებთ, როდესაც შესრულებულის სისწორეზე დამაჯერებლად საუბრობს მასწავლებელი, ქებას რომ იმსახურებს მისი ნაშრომი. დიდ ინტერესს ამუღავნებენ მაღალი ნიშნის მიმართ. ძალიან მოწყენილნი და დაღვრემილნი არიან წარუმეტებლობის დროს.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვების სამუშაო მდგომარეობა, როდესაც ისინი რაიმე ახალს სწავლობენ, ან დაგალებას ასრულებენ, სამწუხაროდ არის ხანმოკლე. როგორც დაკვირვებებმა გვიჩვენა, გაკვეთილზე მათ აქტიურად შეუძლიათ იმუშაონ 20-25 წუთი. ამის შემდეგ იწყება გადაღლა. გაკვეთილი-სადმი ინტერესი თანდათან ქრება, წყვეტს კიდეც მუშაობას. გადაღლის დროს სწრაფად ეცემა ყურედღება, ხდება იმპულსური, აქვს დაუფიქრებელი ქცევები, სამუშაოში გამოჩნდება უამრავი შეცდომები და გადასწორებები.

ნორმალური შრომის ნაყოფიერების დროს ათვისებული მცირე მოცულობის ცოდნა, თითქოს ცაში არის გამოკიდებული, რადგან ის არ უკავშირდება გაგრძელებულ მასალას და არ არის სათანადოდ განმტკიცებული. ამის შემდეგ ბავშვებს ეკარგებათ რწმენა საკუთარ ძლებში, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვთ სასწავლო შემოქმედებაში. დამოუკიდებელი სამუშაოს დროს ისინი იბნევიან, ნერვიულობენ და ასეთ დროს არ შეუძლიათ ელემენტარული სავარგიშოს შესრულებაც კი.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებს უფრო მეტად მიღრეკილება აქვთ მექანიკური სამუშაოს შესრულებისაკენ, რომლებსაც არ სჭირდება დიდი გონებრივი ძლიისხმევა. როგორიცაა: მზა ფორმების შევსება, მარტივი ფიგურების დამზადება, ამოცანის პირობაში რიცხვების შეცვლა და ა.შ. მიუხედავად სიმარტივისა, ზოგიერთში მაინც არის დაუკმაყოფილებლობს გრძნობა, რაც მათში პროტესტსაც კი იწვევს.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე 6-7 წლის ბავ-

შვები ძნელად ერთვებიან გაკვეთილის სამუშაო რეჟიმში. ხან-  
გრძლივი დროის განმავლობაში გაკვეთილი მათვის რჩება, რე-  
გორც თამაში, ამიტომ მათ შეუძლიათ გაკვეთილის დროს წა-  
მოხტნენ, გაიარონ კლასში, თავისუფლად დაელაპარაკონ ამხანა-  
გებს, მასწავლებელს მისცენ ისეთი კითხვები, რომლებიც არ ეხება  
გაკვეთილს და ა.შ. ბავშვები სხვადასხვაგვარად იქცევიან: ისინი  
არიან ზარმაცები და პასიურები, წვებიან მერხზე, უმიზნოდ  
იხედებიან გამუდმებით ფანჯარაში, უჭირთ გაკვეთილზე ჯდომა,  
არ ერთვებიან გაკვეთილის სამუშაო რითმში. დასვენების დროს  
ასეთები ცდილობენ განცალკევდნენ, ემალებიან ამხანაგებს. მეო-  
რენი კი პირიქით, მათ ახასიათებთ მაღალი აღგზებულობა, თავ-  
შეუკავებლობა, მოუსვენრობა. ისინი ყოველთვის რაღაცას ათამა-  
შებენ ხელით, აწვალებენ კოსტიუმის ღილებს და ა.შ. ასეთი ბავ-  
შვები, როგორც წესი, არიან ფერქებადი და ადვილად ბრაზდებიან,  
უსაფუძვლოდ შეუძლიათ ეჩხებონ ამხანაგებს, დაამცირონ ისინი,  
ზოგჯერ ხდებიან მკაცრები.

ასეთი მდგომარეობიდან ბავშვების გამოყვანისათვის საჭიროა  
დიდი დრო, მასწავლებლის მხრიდან დიდი ტაქტი და განსაკუთ-  
რებული მეთოდები. ბავშვებთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდი-  
ლება გვიჩვენებს, რომ ყველაზე საუკეთესო ამ დროს იქნება, თუ  
მოსწავლის ყურადღებას გადავრთავთ პრაქტიკულ სამუშაოზე ან  
სხვა მსუბუქ და მისაწვდომ დავალებაზე, რომლებიც განუმტკი-  
ცებს აწმენას საკუთარ ძალებში.

სწავლაში სიძნელეების გაცნობიერების შემდეგ, ზოგიერთი მოს-  
წავლე თვითდამკვიდრებას ცდილობენ საკუთარი ძალებით: ცდი-  
ლობენ ზემოქმედება იქონიონ ფიზიკურად სუსტ თანაკლასელებზე,  
ცდილობენ დაიკვემდებარონ ისინი. ხშირად ამბობენ ტყუილს, შე-  
უძლიათ იტრაბახონ იმით, რაც არც კი ჩაუდენიათ. ამავე დროს ეს  
ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან უსამართლო ბრალდებების  
მიმართ, ძალიან მძიმედ რეაგირებენ მასზე და ძნელად მშვიდდებიან.  
უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა არასწორმა ქმედებამ, შე-  
იძლება გამოიწვიოს ხასიათის შტრიხებში ცვლილებები, ამდენად  
აუცილებელია დროულად გავატაროთ სააღმზრდელო ღონის-  
ძებები.

კლასგარეშე მუშაობისას ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების  
მქონე ბავშვები ჩვეულებრივად აქტიურები არიან. ისინი ისევე ინ-



ტერესდებიან ამით, როგორც ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები. ზოგი მათგანი უპირატესობას ანიჭებს წყნარ, მშვიდ მუშაობას, როგორიცაა: ძერწვა, ხატვა, კონსტრუირება, სხვადასხვა სურათებით გართობა და ა.შ. ასეთი ბავშვები ცოტაა. უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს მოძრავ თამაშებს, უყვართ სირბილი. სამწუხაროდ, ფანტაზია და ახალი თამაშების მოფიქრების უნარი, როგორც „წყნარ“ ასევე „ხმაურიან“ ბავშვებს, როგორც წესი, საკმაოდ დაბალი აქვთ. მათი თამაშები შედარებით უფრო ტრაფარეტულია და შინაარსობრივად ძალიან მარტივი.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებს ძალიან უყვართ სხვადასხვა სახის ექსკურსიები, ღონისძიებები, თეატრში წასვლა. ზოგჯერ ასეთი რამ იმდენად დიდ ზემოქმედებას ახდენს, რომ ბავშვი შეიძლება ერთი კვირის განმავლობაში იყოს ნახულით განცდილი შთაბეჭდილების ქვეშ. ამავე დროს ამდაგვარი ღონისძიებები მათვის მოსაწყენიც არის. მათ არ შესწევთ უნარი დამთავრებამდე იყონ აქტიური, ისინი უინტერესოდ არიან, იწყებენ თამაშს.

ამ კატეგორიის განურჩევლად უველა ბავშვს ძალიან უყვარს ფიზკულტურის გაკვეთილები და სპორტული თამაშები, მართალია ისინი საკმაოდ მოუხერხებლები არიან, ვერ ჯდებიან მიცემულ რითმში, ნაკლებად კოორდინირებულია მათი მოძრაობა, მაგრამ, სწავლების პროცესში ისინი საკმაო წარმატებასაც აღწევენ და ამით კიდევ უფრო განსხვავდებიან გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისაგან. დიდი სურვილითა და პასუხისმგებლობით ემზადებიან სპორტული შეჯიბრებისათვის. ინტერესდებიან მისი ქვეყნის სპორტული ცხოვრებით. ბევრი მათგანი საკმაოდ კარგად იმახსოვრებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ჩემპიონთა გვარებს.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვები ძალიან გულმოდგინედ ასრულებენ მასზე დაკისრებულ დავალებას. მათ უყვართ მცენარეებსა თუ ცხოველებზე ზრუნვა, საკმაოდ აკურატულად ალაგებენ როგორც საკლასო ოთახს, ასევე თავის ითახს, თუ რა თქმა უნდა ამ სამუშაოს შესრულება არ მოითხოვს დიდ ღროს. აღსანიშნავია, რომ ასეთ ბავშვებს ახასიათებთ დიდი საშემსრულებლო პასუხისმგებლობა. მათ ძალიან უყვართ ღონის-

ძებაში მონაწილეობის მიღება, ამ დროს ისინი აშკარად ამჟღავნები მთელ თავის შესაძლებლობასა და ინტერესს.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვს უყვარს მონაწილეობა მიიღონ სპეცტაკლებში, წაიკითხონ ლექსები, გამოვიდნენ სიტყვით. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ტექსტს თუ ლექსს ისინი სწავლობენ გაცილებით უფრო ადგილად, ვიდრე იმავე მასალას სავალდებულო სასწავლო პროგრამიდან. ბევრნი ძალიან კარგად მღერიან და ცეკვავენ. ზოგი მათგანი უპირატესობას ანიჭებს ხელთნაკეთების ან კიდევ სადღესასწაულო კოსტიუმების დამზადებას. ზოგს ეხერხება თემატური დილების ან საღამოების მოწყობა და ა.შ. როგორც საკლასო, ასევე კლასგარეშე მუშაობის დროს მოსწავლეთა შემოქმედებას უფრო აქტიურს ხდის ისეთი მასალა, რომელიც მათთვის არის ნაცნობი და მისაწვდომი.

ვთიქრობთ, ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვთა პედაგოგიური თავისებურებების ცოდნა დიდ დახმარებას გაუწევს პედაგოგებს, ფსიქოლოგებსა და მშობლებს მუშაობაში, რათა შეფერხების ხარისხის მიხედვით შეარჩიონ შესაბამისი კორექციული სამუშაო და იზრუნონ მათი განვითარებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. უნარშეზღუდული ბავშვების სოციალური ინტეგრაციის პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო შემოწმება. - ავტორთა ჯგუფი - თბილისი 2002წ.
2. მ. ყოლბაია - გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა ფსიქოლოგია - თბილისი - 1971წ.
3. ნ. ცარციძე - სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა სასწავლო უნარ-ჩვევათა ფსიქო-პედაგოგიური დიაგნოსტიკური მეთოდიკა და საკორექციო მუშაობის გზები - თბილისი - 1966.
4. Дети с задержкой психической развития – под. Ред. Т. А. Власовой – Москва – 1984 г.
5. Зайцева И. А. И др. Коррекционная педагогика. Ростов – на - Дону – 2002 г.

IMERI BASILADZE  
IAGOR BALANCHIVADZE



**PEDAGOGICAL FEATURES OF CHILDREN HAVING  
PROBLEMS IN PSYCHIC DEVELOPMENT  
ABSTRACT**

The psychological researches carried out with children having problems in psychic development will support to deeply analyze the peculiarities of development of such children. Based on these researches we will be able to determine the proper ways, methods and principles of working.

## მანანა ზიგზიფაძე როცხოვი გამოსახულების სრულდების ხერხები პრაქტიკის გამოყენებით

მოსწავლეთა ინტერესი მათემატიკის შესწავლისადმი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმაზე, როგორაა შედგენილი სასწავლო პროგრამა და როგორი მეთოდიკით მიაქვს იგი მასწავლებელს მოსწავლის გონიერებამდე. ეს განსაკუთრებით საჭიროა დაწყებითი მათემატიკის სწავლებაში, რადგანაც ამ ასაკში მიმდინარეობს მოზარდის ინტერესების ფორმირება ამა თუ იმ მოვლენებისა და პროცესებისადმი და უპირველესად შესასწავლი საგნისადმი. მასწავლებლის შემოქმედებით ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც საქართველოს სკოლებში არა მარტო საქმარისი ტექნიკური ბაზა გაგვაჩნია, არამედ სწავლების ტრადიციული მეთოდებითაც საქმარდ მოძველებულია.

ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ვეძებოთ ისეთი ახალი მეთოდები და სწავლების საშუალებები, რომელიც მიმართული იქნება: გააღვიძოს მოსწავლეებში მათემატიკისადმი ინტერესი, მოახდინოს დადებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოსწავლეებზე, მათემატიკის გაკვეთილზე შექმნას წარმატების მიღწევის ატმოსფერო, გვერდი ავუაროთ მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის ერთფეროვნებას, რაც გარკვეულწილად ბოჭავს მოზარდის ინტერესთა სფეროს ამ პრობლემათა გადასაჭრელად მრავალი სამუშაოა ჩატარებული საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ კი ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებსა და კოლეჯებში.

აშშ-ში კოფნის პერიოდში 2000 წლის იანვარ-მარტში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა კონკრეტულად გავცნობოდით მისურის შტატის ქალაქ კოლუმბიის ელემენტარულ სკოლაში მათემატიკის სწავლების მიმდინარეობის პროცესს. მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის მიცემული სასკოლო მაგალითები და ამოცა-

ნები მიზნად ისახავენ ძალდაუტანებლად გაულვივონ ბავშვებს  ტერესი მათემატიკისა და მიმდინარეობს ძალაუტანებლად და შთამბეჭდავად, სწავლების პროცესში ბავშვის აქტიურად ჩართვის გზით. ამ მიზნით, მასწავლებლები მიზანმიმართულად უშვებენ შეცდომებს და მოსწავლეებს თავიდ აძლევენ მათი გასწორების შესაძლებლობას. მათემატიკური ამოცანები მოხერხებულადაა დაკავშირებული ბავშვებისათვის ცნობილ, საყვარელ საგნებთან და მოვლენებთან: ცხოველებთან, ფრინველებთან და ა.შ.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შემცნებით თამაშობებს, რომელთაც მართვის სფეროში საქმიანი თამაშები ჰქვია. ამ თვალსაზრისით მეტად მოსახერხებელი ფორმაა ტექნიკური საშუალებების, კერძოდ კი პერსონალური კომპიუტერის გამოყენება. მაგალითად, მოსწავლე მიცემული ამოცანის ეტაპობრივად ამოხსნის შედეგად მიღებულ სწორ პასუხებს კომპიუტერის მონიტორზე, „თაგვის“ საშუალებით წერს კვადრატებად დაყოფილი უჯრის განკუთვნილ ადგილებზე. ყოველი სწორი პასუხის მიგნების შემთხვევაში გაიხსნება ნახატის შესაბამისი ფრაგმენტი, რაც ამოცანის ბოლომდე ამოხსნის შემდეგ, ნახატი გამთლიანებულ სახელ წარმოგვიდგენს. ეს მეთოდი, როგორც ვხედავთ, გაკვეთილს არასტანდარტულ ფორმას აძლევს, სადაც პრობლემური სიტუაციებიც გამოიყენება, ადგილი აქვს თვალსაჩინოებას, ხელმისაწვდომობას, ამოცანის შედგენისა და ამოხსნის ორიგინალობას, მოსწავლის მიერ ცოდნის მიღების დამოუკიდებლობას, რაც თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს.

ასეთი მუშაობისათვის მთავარი არის მისი გეგმაზომიერი განაწილება. დამატებით პრობლემას რა თქმა უნდა ქმნის სწავლებაში ახალი ატრიბუტის - კომპიუტერის შემოტანა. ცხადია, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში მასწავლებელს მოეთხოვება კომპიუტერთან მუშაობის მინიმუმის ცოდნა, რაც ჩვენს რეალურ სინამდვილეში დღეისათვის, თუ შეიძლება ითქვას, „აქილევსის ქუსლია“ და დამატებით პრობლემებს ქმნის. ამავე დროს კომპიუტერული ტექნიკითაც არ არის ჩვენი სკოლები სათანადო დონეზე აღჭურვილი, მაგრამ ეს არ გვაძლევს უკან დახვევის საფუძველს და ამ მიმართულებით ძალზე ბევრი ღონისძიებაა გასატარებელი. მეორე და არა ნაკლები პრობლემა არის მოსწავლეთა კომპიუტერთან ურთიერ-

თობის უნარ-ჩვევების დაბალი დონე. მოზარდი, ცხადია, მასწავლის დახმარებით ძალზე ადვილად და სწრაფად ითვისებს სიახლისადმი ფსიქოლოგიური განწყობით არის გამოწვეული) კომპიუტერთან მუშაობის წესებს, მაგრამ დაწყებით კლასებში ამისათვის საჭირო საათები პროგრამით არ არის გათვალისწინებული და იგი საწყის ეტაპზე გაკვეთილისათვის განკუთვნილი (ან დამატებით მეცადინეობებზე) საათების ეკონომიის ხარჯზე (რაც ჩვენი აზრით მისაღები არ უნდა იყოს) უნდა განხორციელდეს. სხვანაირად სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ და სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აყვანა კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში გადაიწვეს.

ამგვარად, მასწავლებელმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა მოიფიქროს, რა არის ასეთი მუშაობისათვის აუცილებელი მინიმუმი და იგი უნდა აიღოს ძირითად ბირთვად, რის გარშემოც შექმნის გეპვეთილის ჩატარებისა და კომპიუტერული ამოცანების შედგენა-ამოხსნის მთელ სისტემას. თანაც ისეთს, რომელიც მოსწავლეს საგრძნობლად დაეხმარება მათემატიკის საკუთრივი ათვისებაში. გარდა ამისა, მოსწავლის საქმიანობა სკოლაში გახდება გაცილებით საინტერესო და შემოქმედებითი, გასაგები და დატვირთული, როთაც მოსწავლე დარწმუნდება თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში. სწორედ მოზარდის ინტელექტუალურ განვითარებას ისახავს ერთ-ერთ მთავარ მიზნად მათემატიკის სწავლება. ამ ეტაპზე მასწავლებლის როლი შეუცვლელი და მეტად საყურადღებოა. მის სასწავლო მოღვაწეობის ხერხებზე ბევრადაა დამოკიდებული მათემატიკის სწავლება. ამიტომ, მათემატიკის სწავლების მეთოდური სისტემა ტრადიციულად ორიენტირებულია მასწავლებლის მოღვაწეობაზე. მეცნიერ-მკვლევარი ე.ნ. კაბანოვა-მელერი მასწავლებლის მოღვაწეობის ხერხებად მიიჩნევს ამოცანის ამოხსნისას იმ რაციონალური მოქმედების და ოპერაციის ერთობლიობას, რომელიც სრულდება განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამასთან, მოქმედების ან ოპერაციის სქემა (ხერხების შემადგენელი ნაწილი) შეიძლება მივიღოთ, როგორც წესები, ინსტრუქცია, მითითებები. სწორი ხერხები მისაღებია განზოგადებისათვის, კონკრეტიზებისათვის, ხასიათდება სხვა ამოცანებისაკენ გადატანითი თვისებებით, იგი შეიძლება ჩამოვაყილიბოთ და მის საფუძველზე შევქმნათ სხვა ახალი ხერხი ხNox. ცხადია, ხერხები მარტო ქმედებით განსაზ-

  
ლვრული სისტემა ვერ იქნება და იგი უნდა შეიცავდეს აგრძელებული ამოცანის ტექსტის განხილვის სიტყვიერ ფორმულირების დრო განსჯასაც, რითაც მასწავლებელი ახერხებს მიიყვანოს მოსწავლეები ოპერაციის არჩევისა და მოქმედების შესრულების საწყის ეტაპაზე. ეს ყოველივე ჰგავს ამოხსნის ალგორითმის შედგენას, იმ განსხვავებით, რომ, თუ ხერხებში ყოველი ნაბიჯი მკაცრად განსაზღვრული არ არის, ალგორითმში ამ სიმკაცრის დაცვა სავალდებულოა.

სასწავლო მოღვაწეობის ხერხებს შორის გამოყოფენ სხვადასხვა სახეებს და კატეგორიებს. მაგალითად, ი.კ. ბაბანსკის ცნობილ კლასიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ცოდნის შეძენის შესატყვისი სტრუქტურის ზოგადსაგნობრივ უნარ-ჩვევებს, აქვს შემდეგი სახე №:

1. სასწავლო-საორგანიზაციო (ამოცანის განსაზღვრა, რაციონალური დაგეგმარება, მოღვაწეობის ხელის შემწყობი პირობების შექმნა).

2. სასწავლო-საინფორმაციო (წიგნთან და სხვა საინფორმაციო საშუალებებთან მუშაობა, ბიბლიოგრაფიული ძიება, დაკვირვება).

3. სასწავლო-ინტელექტუალური (მოღვაწეობის მოტივაცია, აღქმა, გაცნობიერება, ინფორმაციის დამახსოვრება, საპრობლემო ამოცანების ამოხსნა, სასწავლო-შემეცნებითი მოღვაწეობის თვითკონტროლი).

აღნიშნული კლასიფიკაცია რა თქმა უნდა არ არის ერთადერთი და იგი ვერ იქნება სრულყოფილი და მისაღები ყველა შემთხვევისათვის. პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ხერხების გამოყენება განპირობებულია იმით, თუ რას მოიცავს ამოსახსნელი მაგალითის ან ამოცანის პირობა, რომელი ასაკობრივი ჭგუფებისათვისაა იგი განკუთვნილი, რა სირთულისა და ტიპისაა და ა.შ.

ჩვენ შემთხვევაში განვიხილავთ ამოცანების ამოხსნის ხერხებს რიცხვითი გამოსახულების სწავლების პროცესში, თანაც კომპიუტერის გამოყენებით.

როგორც წესი, რიცხვით გამოსახულებას ბავშვი პირველ კლასშივე ეცნობა. უმარტივესი რიცხვითი გამოსახულებებია: 5+2, 7-3 და ა.შ. აქ ბავშვებს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ რიცხვებს შორის დასმულ შეკრების ან გამოკლების ნიშანს ორი აზრი აქვს. კერძოდ "+", ან "-" აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც რიცხვებზე

უნდა შესრულდეს. "5+2" ნიშნავს, რომ 5-ს უნდა მიუსმატოთ 2, ე.ი. შევასრულოთ შეკრების ოპერაცია 5-სა და 2-ს შორის. მეტად რეს მხრივ, კი მოქმედების ნიშანი გამოიყენება გამოსახულების აღსანიშნავად. "5+2" არის 5-ისა და 2-ის ჯამი. ბავშვს უნდა გავაგებინოთ, რომ 5-ისა და 2-ის ჯამი არის 7 და ავრეთვე "5+2"-იც ჯამია. ე.ი. 7 და "5+2" ერთი და იგივეა. 7 არის გამოანგარიშების შედეგად მიღებული, ხოლო "5+2" რიცხვითი გამოსახულების სახით ჩაწერილი.

რიცხვით გამოსახულებაზე მუშაობა მეთოდიკაში იყოფა 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე შეისწავლება უმარტივესი გამოსახულებანი (ორი რიცხვის ჯამი, სხვაობა, ნამრავლი, განაყოფი), ხოლო მეორე ეტაპზე რთული გამოსახულებები (ნამრავლისა და რიცხვის ჯამი, ორი განაყოფის სხვაობა და ა.შ.).

გამოსახულება უნდა ჩაიწეროს თვალსაჩინოდ:

$$\begin{array}{r} 5 + 2 = 7 \\ \hline \text{ჯამი} \quad \text{ჯამი} \end{array}$$

აქედან ნათლად ჩანს, რომ "5+2" ჯამია, ასევე 7-იც-ჯამია. მოქმედების შედეგად მიღებულ რიცხვს ეწოდება რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა. მაშასადამე, 7 არის "5+2" რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა [2].

ანალოგიურად განიხილება ორი რიცხვის ნამრავლი და განაყოფიც. უმარტივესი რიცხვითი გამოსახულებებია 2.5; 8:4 და ა.შ. აქაც, (2.5) არის ნამრავლი, 10-იც არის 2-სა და 5-ს ნამრავლი. პირველ შემთხვევაში (2.5) წარმოადგენს რიცხვით გამოსახულებას, ხოლო 10-ც წარმოადგენს 2-ისა და 5-ის ნამრავლს, ანუ (2.5) რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობას.


რიცხვითი გამოსახულება შეიძლება შეიცავდეს არა ერთ, არამედ რამდენიმე მოქმედებას. ანუ როცა სამი ან მეტი რიცხვი შეერთებულია სხვადასხვა მოქმედების ნიშნებით. მაგალითად: 7+3-4; 6-2+5; 3+3+2-1 და სხვ. აქ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს უფრჩილო გამოსახულებაში მოქმედებათა რიგის დაცვა;

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობთ ფრჩხილების მნიშვნელობას და ვასწავლით ფრჩხილებიანი გამოსახულების გამოანგარიშებას. მაგალითად: (3+2)+4, 8+(2+3); (9+3)-6; 15-(4+3). და ვასწავლოთ, რომ პირველად უნდა შესრულდეს ფრჩხილებში

მოცემული მოქმედება, შემდეგ კი დანარჩენი. ამის შემდეგ ვანდეს გამოსახულებათა შედარების სწავლებას. ანუ ვახდენთ გამოსახულების შედარებას და მათ შორის ძ!ძბ ძყბ -ის ან ძბძ-ის ნიშნების დაწერას.

გამოსახულების მნიშვნელობის გამოსათვლელად იყენებენ მოქმედებათა მიმდევრობით შესრულების ცნობილ წესებს. მაგალითად: **14+696:(86-28)** გამოსახულებაში ჯერ ასრულებენ გამოკლებას, შემდეგ გაყოფას და ბოლოს შეკრებას.

შედეგად იღებენ პასუხს 26. გამოთვლების მიმდევრობა კარგად ჩანს სქემის მიხედვით:



როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოყალიბებული მსჯელობა წარმოადგენს რიცხვითი გამოსახულების სწავლების ერთგვარ ხერხს და მისი თანმიმდევრობა შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას როგორც სასწავლო მოღვაწეობის კერძო ხერხი, ხოლო ნახაზზე მოცემული გამოთვლების თანმიმდევრობას შეიძლება ვუწოდოთ ხერხის გამოყენების ბიჯები.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, ე.ი. თუ გამოვიყენებთ უკვე არსებულ მეთოდიკას, შესაძლებელია მოვახდინოთ რიცხვითი გამოსახულების სწავლების კომპიუტერული რეალიზება.

განვიხილოთ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები რიცხვით გამოსახულებებზე პირველი კლასისათვის. რიცხვითი გამოსახულებების შედგენა ანიმაციური სურათების საშუალებით.

## სურათი I



მონიტორზე ჩანს ყვავილებიანი მინდორი. მინდორში პატარა პრეტენზია რომელსაც ხელში 3 ყაყაჩო. უჭირავს. მას გოგონა მიუახლოვდება და აწვდის კიდევ 2 ყაყაჩოს.

**დავალება:** შეადგინე რიცხვითი გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა

$$3+2=5$$

სურათი II. მონიტორზე ჩანს კატა. წინ ძეხვის 4 ნაჭერი უდევს. კატა შეჭამს ერთ ნაჭერს.

**დავალება:** შეადგინე რიცხვითი გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა.

სურათი III. მონიტორზე გვირილა ჩანს, რომელსაც 8 ფურცელი აქვს. ქარმა 3 ფურცელი მოაცილა.

**დავალება:** შეადგინე რიცხვითი გამოსახულება და იპოვე მისი მნიშვნელობა.

სურათი IV მონიტორზე ჩანს სამი კურდღელი და ორი სტაფილი.

**დავალება:** კურდღლების რაოდენობა მეტია თუ სტაფილოსი? შეადარეთ ერთმანეთს. კურდღლების რაოდენობა სტაფილოს რაოდენობასთან.

მოქმედებათა ნიშნების ჩასმა:

რომელი მოქმედების ნიშანს დასვამ?

$$6*1=5 \qquad \qquad 4*3=7$$

$$5*1=6 \qquad \qquad 6*2=4$$

ვარჯიშის რეჟიმში გამოყენებული იქნება მულტიმედია, რაც საშუალებას მოგვცემს გავახმოვანოთ ამოცანების ამოხსნის თანმიმდევრობის სცენარი.

I სურათი: მონიტორზე ჩანს ბურატინო, რომელიც დავალებას აძლევს პატარა მოსწავლეს: მოცემულია რიცხვები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7; აქედან რომელი ორი რიცხვი უნდა შევკრიბოთ, რომ მივიღოთ 7?

II სურათი: მონიტორზე ჩანს ცხრილი:

+	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										

დავალება: შეასრულე შეკრება და შეავსე ცხრილი.

#### ლიტერატურა:

- 1) Епишева О.С. Приемы учебной деятельности в обучении математике. <http://rsi.spb.fio.ru>
- 2) ა. დოგრაშვილი - დაწყებითი მათემატიკის სწავლების მეთოდიკა", თბილისი, 1997წ.

#### Резюме

### ПРИЕМЫ ОБУЧЕНИЯ ЧИСЛОВЫМ ИЗОБРАЖЕНИЯМ С ПРИМЕНЕНИЕМ КОМПЬЮТЕРА

В процессе обучения особое значение уделяется познавательным играм, которые в педагогике можно считать как деловые игры. Для реализации деловых игр самым современным техническим средством является персональный компьютер. В статье избрано именно это направление. В частности, по программе первого класса рассмотрены некоторые вопросы в обучении числовым изображениям с помощью компьютера.

## მაგდა თხილაძე

სიმღერის სრავლება, როგორც მომავალი პედაგოგის  
პროფესიული მომზადების უზენტური საშუალება

უმაღლეს სკოლაში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მუსიკის მასწავლებლის პროფესიულ მომზადებას. ვცდილობთ, სტუდენტებს მივუთითოთ იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სიმღერის საფუძვლიან სწავლების, ვინაიდან იგი მუსიკის სწავლების კოლექტურ ფორმას წარმოადგენს, სადაც ყველა ბავშვი უნდა იყოს ჩართული.

უმაღლეს სკოლაში თეორიულად მიღებული ცოდნიდან გამომდინარე, სტუდენტები მოსწავლეებთან სიმღერაზე მუშაობას როგორც წესი რამოდენიმე ეტაპად ყოფენ. ესენია: სიმღერის გაცნობა, მისი შესწავლა, მხატვრული შესრულება. მუშაობის ეტაპებად დაყოფა პირობითია, რადგან მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა შეუძლებელია. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამით გათვალისწინებულ სასიმღერო მასალებს, მათში შეტანილ უნდა იქნას ისეთი ხალისიანი და მაღალმხატვრული სიმღერები, რომლებსაც მოსწავლეები სწრაფად ითვისებენ, ვინაიდან პრაქტიკაში ცხადყო, რომ პატარებს ამ ტიპის მელოდიები უფრო მოსწონთ. მათ განსაკუთრებით იზიდავთ ისეთი სიმღერები, როგორიცაა: მ. მერაბიშვილის „ჰიმნი ქუთაისს“, ნ. გაბუნიას „ვარსკვლავები“, „გაზაფხულო ლამაზო“, ნ. ბერაძის „პატარა ხალი“, მ. დავითაშვილის „საახალწლო სიმღერა“, „მანანას სიმღერა“, რ. სებისკვერაძის „წვიმა“, „დედა ენა“, „დილა“, მ. ტაველურის „ჩიტი ჩიკოტელა“, მ. გიორგაძის „ბატიბუტი“ და ა.შ. აღნიშნული სიმღერები ბავშვის ბუნებასთან ახლოსაა და ამიტომ მათი შესწავლა პატარებისათვის არის სასიამოვნო და არა საგალდებულო პროცესი. მხიარული ხასიათის სიმღერები უადვილებს მათ სასიმ-

ღერო ანბანის შესწავლის, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მოსწავლების თეორიულ მომზადებასთან.

საქართველო  
მთავრობის

დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ხატოვან - კონკრეტული აზ-როვნება ახასიათებთ. აქედან გამომდინარე, მათთან რაც შეიძლება მოკლედ და საინტერესოდ უნდა ვისაუბროთ ახალი ნაწარმოების შესახებ. ეს მეთოდი გამართლებულია-ჩვენ ვინარჩუნებთ მოსწავლეთა ყურადღებას და როგორც პრაქტიკამ ცხადყო, მოსწავლეებს გაცილებით მეტი ამასხოვრდებათ ასეთი მოკლე, ლაკონური ინფორმაციებით, ვიდრე პედაგოგის მოსაწყენი, ერთფეროვანი საუბრებიდან.

სიმღერის შესწავლის დროს დიდი აღგილი ეთმობა ნაწარმოების გამომხატველი საშუალებების გაცნობას, რომელიც სიმღერის შესწავლის ყველა ეტაპზე მიმღინარეობს. მომავალი პედაგოგები სიმღერაზე მუშაობის დაწყებისთანავე ბავშვთა ყურადღებას ამახვილებენ რიტმულ სირთულეებზე. ისინი ჯერ თავად ასრულებენ შესასწავლ სიმღერას, შემდეგ ეკითხებიან ბავშვებს, თუ რამდენად მოსწონთ ახალი მასალა და მხოლოდ იმ შემთხვევაში ძწყებენ მოსწავლეებთან მუშაობას, თუკი გრძნობენ მათ დაინტერესებას.

ამიტომ ჩვენს სტუდენტებს, პედაგრაქტიკის დროს დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან შეაქვთ რამდენიმე სიმღერა, რათა ბავშვებს არჩევანის საშუალება მისცენ. ვფიქრობთ ეს არის პატარებთან ურთიერთობის ეფექტური და ახლებური გზა.

სიმღერაზე მუშაობას სტუდენტები აწარმოებენ ნაწარმოების ფრაზებად შესწავლით, შემდეგ აერთებენ სიმღერას. პრაქტიკანტები დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა რიტმულ მოძრაობებსაც. თითოეული ბავშვი თავისებური მანერით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სიმღერისადმი. მომავალი პედაგოგები ძალადატანებით არ ერევიან ამ პროცესში, სრულ თავისუფლებას აძლევენ ბავშვებს. მეტად საინტერესოა მოსწავლეთა შეჯიბრი რიგებისდა მიხედვით. ახალ სიმღერას თითოეული მწყრივი ასრულებს რიტმული მოძრაობის თანხლებით. შეჯიბრი მოსწავლეებს ფანტაზიის გამოვლენის საშუალებას აძლევთ. პრაქტიკანტები გაკვეთილის ბოლოს აცხადებენ გუნდურ სიმღერაში გამარჯვებულ რიგს, ეს კი დიდი სტიმულია ბავშვებისათვის.

1. პედაგოგის მიერ შეთავაზებული სიმღერებიდან ერთ-ერთის  
ამორჩევა მოსწავლეთა მიერ.

2. შესასწავლი სიმღერის შესახებ მოკლე, ლაქონური საუბარი.

3. მასწავლებლის მიერ სიმღერის დემონსტრირება და მოსწავ-  
ლებში სიმღერისადმი ინტერესის გაღვიძება.

4. სიმღერის გაანალიზება

5. სიმღერის ცალკეულ ნაწილებად შესწავლა.

6. მხატვრულ მხარეზე მუშაობა სიმღერის შესწავლის ყველა  
ეტაპზე?

7. სიმღერის შესრულება რიტმული მოძრაობის თანხლებით.

სიმღერის ამგვარ შესწავლას რამოდენიმე გაკვეთილი ეთმობა.

ასეთი მეთოდით ახალი მასალის ათვისება ბავშვებში თანდა-  
თანობით აყალიბებს გარკვეულ მუსიკალურ გემოვნებას.

სიმღერაზე მუშაობის დროს, პირველ რიგში, ყურადღება ეჭვე-  
ვა მუსიკალური მასალის შესწავლას, ნაწარმოების მხატვრული  
შინაარსის აღქმასა და შეფასებას, აგრეთვე სიტყვიერი ტექსტის  
შინაარსს.

სიმღერის შესწავლის დროს გარკვეული ადგილი უნდა დაეთ-  
მოს მელოდიის სოლფეჯირებას ანუ მელოდიის ნოტებით წაკითხვასა  
და სიმღერას. ჩვენი აზრით, როდესაც ბავშვებმა უკვე იციან ნო-  
ტების დასახელება, მელოდიის შესწავლა უფრო გაცნობიერებული  
ხდება მათვის.

სამწუხაროდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უმრავლეს  
შემთხვევაში სიმღერის სწავლება მოწყვეტილია მუსიკალური  
ანბანის შესწავლას. ბავშვებს არა აქვთ გაცნობიერებული, რომ  
ერთია წავიკითხოთ სიმღერის მელოდია ნოტებით, ისე როგორც  
კითხულობთ წინადადებას ჩვეულებრივ სიტყვებით, ხოლო მეო-  
რეა, მელოდიის ნოტებით სიმღერა. ამ შემთხვევაში ბავშვი პრაქ-  
ტიკულად გებულობს, რომ მუსიკაში შეიძლება ნოტების წაკითხვა  
და ნოტებით სიმღერა. ვფიქრობთ, რომ ამგვარად ათვისებული თე-  
ორიული ცოდნაა ღირებული, ვინაიდან პრაქტიკულ გაგებას მოკ-  
ლებული ცოდნა ბავშვებისათვის უსარეებლოა და არაფრის მთქმელი.

პედაგოგის დახმარებით ბავშვებმა უნდა შესძლონ მომავალში დამოუკიდებლად უცნობი მელოდიის ნოტებით სიმღერას აწყვეტა რად ჩატარებული მეცადინეობა მუსიკალური ანბანის შესწავლის აქტიური ფორმაა. გაკვეთილზე მასწავლებელი არჩევს რა სიმღერის მელოდიას, იგი ბავშვებს მიუთითებს მის მოძრაობაზე, ნაწარმოების რიტმულ თავისებურებებზე და ა.შ. განმარტების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვებმა უნდა გაიგონ მელოდიის თავისებურება იგი მოძრავია, ხან მაღლა მოძრაობს, ხან - დაბლა, ხან ნახტომებით, ხან მდორედ მიედინება. მელოდიის მოძრაობას პედაგოგი აჩვენებს ხელით, რათა გაუადვილდეთ ბავშვებს მელოდიის მიმართულების გაგება. ამგვარ სამუშაოს მასწავლებელი დახლოებით 5 წუთს ანდომებს.

რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ უკვე მოსწავლეებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად სიმღერა ხელით მელოდიის მოძრაობის ჩვენებითა და ნოტების დასახელებით. პრაქტიკანტები ცდილობენ გამოუმუშაონ პატარებს მარტივი სიმღერების ნოტებით წაკითხვისა და დამახსოვრების ჩვევები. ისინი ბავშვებს ეკითხებიან: საით მიემართება მელოდია ზემოდან ქვემოთ თუ პირიქით, მდორედ თუ ნახტომებით, რა გრძლიობის ნოტია და ა.შ. კითხვები უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული, რაც ბავშვებს ეხმარება სწორად გაიგონ და „დაინახონ“ მელოდიის მოძრაობა, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკანტები ამ მეთოდს გაკვეთილზე ხშირად იყენებენ, რის შედეგადაც მოსწავლეებს თანდათანობით უადვილდებათ დაფაზე დაწერილი მელოდიის დამოუკიდებლად წაკითხვისა და ნოტებით სიმღერის უნარი.

ყოველივე ზემოთქმული ეხმარება ბავშვთა მელოდიური სმენის განვითარებას და ხელს უწყობს მის ზუსტ შესრულებას.

სიმღერის შესწავლისას დაწყებითი განათლების პედაგოგიკა მეთოდიკის სპეციალობის სტუდენტები ბავშვებთან იყენებენ ზემოაღნიშნულ მეთოდებს. მათ ძირითადი ყურადღება გადააჭვთ მუსიკის გამომხატველ მხარეებზე, რაც გაცილებით მეტ საშუალებას აძლევს ბავშვებს პრაქტიკულად და არა მშრალად აითვისონ მუსიკის თეორიის ელემენტების მასალა.

1. ბუსურაშვილი გ. მუსიკალური გემოვნების აღზრდა სკოლა-  
ში. თბ. 1971
2. ბოკუჩავა თ. სიმღერის სწავლების მეთოდიკის საკითხისათ-  
ვის. თბილისი, 1973.
3. თოფურია მ. ბავშვთა ვოკალური აღზრდა. თბილისი, 1974
4. მუსიკა და რიტმიკა. პროგრამა და მეთოდური რეკომენდა-  
ციები. დაწყებითი კლასებისათვის. თბილისი, 1990.

**magda tkhilava**

## TEACHING SINGING AS AN EFFECTIVE MEANS IN TRAINING OF A WOULD-BE PEDAGOGUE.

### SUMMARY

In higher schools much attention should be paid to the professional training of teachers of music. We try to show students how important it is to teach singing essentially as it is a collective form of teaching music in which all children should be involved. At schools providing general education the singing materials envisaged by the curriculum are very important. They should include joyful and highly artistic work which are easily assimilated by pupils', for, as it has been shown by the practical experience, the tunes of this kind are welcomed by children. Such songs are closer to a child's nature, and, therefore, their acquisition is a pleasant, and not compulsory process for school children. With the help of a teacher children should be able to learn an unknown song with music independently. To our mind, this kind of instruction is an active form of learning the musical alphabet.

## ინგა ქახიძი

### მსახიობობის სისტემიზაცია და მათი უმჯობეს ტექნიკობრივია

უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ხელოვნური ინტელექტის სფეროში შესაძლებელი გახდა მძლავრი ინფორმაციული სისტემების შემუშავება, რომლებიც როგორც “ექსპერტული” ანუ “კოდნაზე დამყარებული” სისტემების სახელითაა ცნობილი. მათ საფუძლად უდევს პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურ სფეროში ფაქტიური ცოდნის გამოყენებით ამოცანათა ამოსახსნელად.

ექსპერტული სისტემების ცნების ქვეშ იგულისხმება სისტემა, რომელიც აერთიანებს კომპიუტერის შესაძლებლობებს ცოდნასთან და ექსპერტის გამოცდილებისთან ისეთი ფორმით, რომ სისტემას შეუძლია შემოგვთავაზოს გონივრული რჩევა ან განახორციელოს დასმული ამოცანის გონივრული გადაწყვეტა.

ნებისმიერი პროგრამის ეფუძნულობა დამოკიდებულია იმ ცოდნაზე, რომელიც ამ პროგრამას აქვს. იმისათვის, რომ პროგრამა ინტელექტუალური გახდეს, საჭიროა აღვეურვოთ იგი რომელიმე კონკრეტულ სფეროში არსებული დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვანი სპეციალური ცოდნით.

ამ ფაქტის გააზრების შემდეგ შესაძლებელი გახდა სპეციალიზებული პროგრამული სისტემების განვითარება რომელიმე ვიწრო საგნობრივ სფეროში. სწორედ ამ პროგრამებმა მიიღეს ექსპერტული სისტემების სახელწოდება. მასწავლმა ინტელექტუალურმა სისტემებმა სწავლება არა მარტო უნდა მიუახლოონ პედაგოგს, არამედ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ კომპიუტერის შესაძლებლობები, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მასწავლი სისტემა- ეს რთული სისტემაა, რომელიც აერთიანებს ცალკეულ ექსპერტულ ქვესისტემებს.

სწავლების სისტემა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სისტემა შეიძლება აღიწეროს როგორც განსაკუთრებული ამოცანება ამოხსნის საშუალება. მასწავლი სისტემა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ექსპერტული სისტემა, რომელიც განკუთვნილია დიდაქტიკური ამოცანების ამოსახსნელად.

მასწავლი სისტემების შექმნის პროცესი შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ:

1. ინფორმაციული
2. ფუნქციონალური
3. ოპერაციული
4. რეალიზების.

ინფორმაციულ ეტაპზე მოიცემა სწავლების მოდელი, განისაზღვრება ამ მოდელის არსებითი თვისებები ინფორმაციული მოთხოვნების თვალსაზრისით.

ფუნქციონალურ ეტაპზე მასწავლი სისტემების აღწერა ხდება მეთოდის ენაზე.

ოპერაციულ ეტაპზე სწავლების პროცესი აღიწერება როგორც დიდაქტიკური ამოცანა. აქ აუცილებელია მიეთითოს თუ რა ფუნქციები კვისრება კომპიუტერს სწავლების პროცესში, აგრეთვე სწავლების საშუალებების მართვის ხერხები.

რეალიზაციის ეტაპი კი მოიცავს პედაგოგიურ და პროგრამულ რეალიზაციას. პირველი მათგანი მასწავლი ზემოქმედების სისტემას იერთიანებს, მეორე - სწავლების პროცესის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებს.

მასწავლი სისტემის შექმნის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების აზრი - მეთოდისტიდან და პედაგოგიდან დაწყებული, ფსიქოლოგით და პროგრამისტით დამთავრებული.

იდეალური ექსპერტული სისტემა შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით: ცოდნა+დასკვნა=სისტემა. ეს გულისხმობს იმ ბლოკების ურთიერთქმედებას, რომელთა შორისაა მონაცემთა ბაზა და დასკვნის (შედეგის) მექანიზმი, ამას გარდა არის მომხმარებელთან მაღალი დონის ინტერფეისი და ცოდნის შევსების მოღული.

ექსპერტული სისტემების აგების ტექნოლოგიას ხშირად ცოდ-

ნის ინუინერიასაც უწოდებენ. როგორც წესი ეს პროცესი მოითხოვა ექსპერტული სისტემის შემქმნელის, რომელსაც ცოდნის ინუინერ-საც უწოდებენ და ერთ ან რამდენიმე ექსპერტის (რომელიმე კონკრეტულ სფეროში) ურთიერთქმედების სპეციფიკურ ფორმას.

ექსპერტული სისტემის აგებაში მონაწილეობს: ექსპერტი, ცოდნის ინუინერი, ექსპერტული სისტემის აგების საშუალება და მომხმარებელი.

ცოდნის წყაროდ კონკრეტული ექსპერტული სისტემისათვის შეიძლება იყოს სახელმძღვანელოები, კონკრეტული გამოკვლევების მასალები ამა თუ იმ დარგში და ა.შ. თვით შემქმნელებს კი შეიძლება გააჩნდეთ მოცემულ დარგში თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ ცოდნის კლასიკურ წყაროს წარმოადგენს ექსპერტი-პროფესიონალი, რომელიც რამე სფეროში ავტორიტეტულია და შეუძლია პრობლემის სწორი გადაწყვეტილების მოქმედნა კონკრეტულ საგნობრივ სფეროში.

ცოდნის ინუინერია ორ ძირითად ამოცანას ხსნის: 1. ცოდნის მიღება და დაგროვება, 2. დამუშავება და მისი გამოყენება.

ცოდნის მიღებისა და დაგროვების ეტაპი მთავრდება ექსპერტული სისტემის ცოდნის ბაზის ფორმირებით. ცოდნის ინუინერია არის ადამიანი, რომელსაც როგორც წესი აქვს ცოდნა ინფორმატიკაში და ხელოვნური ინტელექტის სფეროში და რომელმაც იცის თუ როგორ უნდა ააგოს ექსპერტული სისტემა.

ცოდნის ინუინერი გემოიყენებს ექსპერტისაგან იმ პროცედურებს, სტრატეგიას, ემპირიულ წესებს, რომლებსაც ისინი იყენებენ ამოცანების ამოხსნის დროს და ჩართავს ამ ცოდნას ექსპერტულ სისტემაში.

### შეკითხვები, ამოცანები სტრატეგია, პასუხი, შედეგი

ექსპერტული სისტემების აგების საშუალებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. პროგრამირების ალგორითმული ენები
2. ხელოვნური ინტელექტის სისტემების პროგრამირების ენები
3. ექსპერტული სისტემების ინსტრუმენტალური საშუალებები

#### 4. ექსპერტული სისტემების “გარსები”

ექსპერტული სისტემები ორ დიდ კლასად იყოფა: მარტივი და რთული. როგორც წესი მარტივი ექსპერტული სისტემის ქვეშ იგულისხმება ზედაპირული, ტრადიციული და პერსონალურ ეგმ-ზე გამოყენებადი ექსპერტული სისტემები. ამგვარი ექსპერტული სისტემის ცოდნის ბაზა ჩვეულებრივ არ აღემატება ათას წესს, ხოლო სამუშაოს მიზანს გარკვეული სიტუაციის ანალიზი (დიაგნოსტიკა) წარმოადგენს. რთულ ექსპერტულ სისტემას წარმოადგენს სილრმისეული, ინტეგრირებულ ეგმ-ზე ორიერტირებული სამუშაო სადგური ან მძლავრი სტაციონარული ეგმ.

ექსპერტული სისტემების ბევრ კარგ თვისებათა შორის ერთ-ერთია მასში პროგნოსტიკული შესაძლებლობების არსებობა. ასეთი სისტემების სასრგებლო თვისებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ისინი შეიძლება გამოყენებული იქნენ სასწავლოდ და სავარჯიშოდ.

კომპიუტერის, როგორც პროგრამირებული სწავლების საშუალების გამოყენება დღეს უკვე აღიარებულია. მისი საშუალებით შემდეგი სასწავლო ფუნქციების რეალიზაციაა შესაძლებელი: ინფორმაციის წარმოდგენა, მასალის დემონსტრირება, ვარჯიში, შეფასება, უკუკავშირის განხორციელება, კორექტირება და სასწავლო მართვა.

კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელია ლექცია გახდეს უფრო საინტერესო და დამაჯერებელი, ხოლო ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადი - აღვილად მისაწვდომი. კომპიუტერი თვითონ აღლებს მოსწავლეს სავარჯიშოს და ამოწმებს ამოხსნის სისწორეს, რითაც მასწავლებლის დროის ეკონომის ახდენს. კომპიუტერის საშუალებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ტემპით მუშაობა, სწორი პასუხების დაუყოვნებლივ შეფასება, ამასთან I დონის გავლის შემდეგ კომპიუტერი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში შემდეგ დონეზე არ გადაიყვანს სტუდენტს რითაც ისინი საკუთარ შეცდომებზეც სწავლობენ. ამასთან სტუდენტებს კომპიუტერთან მუშაობა უფრო უყვართ ვიდრე ქაღალდთან და ფურცელთან. მათ მოსწონთ, რომ კომპიუტერი მაშინვე აფასებს მათ პასუხებს.

კომპიუტერის დამსახურებაა ის, რომ სასწავლო მასალა განვითარებული და ილუსტრირებული, მობილურია და ვარიატიული. პროცესუალის მები საშუალებას აძლევენ მასწავლებელს აკონტროლოს და დარეგულიროს აღქმის ინდიგიდუალური პროცესი, გაითვალისწინოს მოსწავლეთა მომზადების სხვადასხვა დონეები.

მასწავლებელი დიალოგური პროგრამები ანეიტრალებენ ტრადიციული მასწავლებელი სისტემის ნაკლს - მიმდინარე მასალის აღქმაზე კონტროლის უქონლობა ან არანაირი რეაგირება, რაც არანაირად არ აისახება შემდგომი მასალის აღქმაზე.

ექსპერტული სისტემები ტრადიციული სისტემებისაგან განსხვავდება იმით, რომ ისინი მანიპულირებენ ცოდნით, მაშინ როცა ჩვეულებრივი პროგრამები - მონაცემებით.

მასწავლი სისტემების სასწავლო პროცესში დანერგვის დროს იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების უკვე არსებული საშუალებებისა და მეთოდების ეფექტური დამატება. მასწავლი სისტემების შექმნისას ხელმძღვანელობენ შემდეგი მოთხოვნებით:

• სტუდენტთა შესაძლებლობების აღრიცხვა კონკრეტულ დისკიპლინაში და მათი ინფორმაციული კულტურის დონე; არსებული პროგრამული უზრუნველყოფის პერიოდულად განახლებადი კატალოგის არსებობა, სასურველია კომპიუტერის ოპერაციული სისტემის ტიპის მითითიებით; აუცილებელია ყურადღება მიექცეს შეკითხვების ზუსტ ფორმულირებას; მასწავლი სისტემის შექმნის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების აზრი - მეთოდისტიდან და პედაგოგიდან დაწყებული, ფსიქოლოგითა და პროგრამისტით დამთავრებული.

ამრიგად 1) მასწავლი სისტემების დანერგვა წარმოადგენს სასწავლო პროცესის ინტენსტივუაციის საშუალებას.

2) მასწავლი სისტემების დანერგვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სწავლების კომპიუტერული საშუალებების დიდაქტიკურ და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ დასაბუთებაზე.

3) მასწავლი სისტემების ეფექტურად გამოყენებისათვის აუცილებელია სტუდენტთა ყოველმხრივი მომზადება მათ მიერ სწავ-

ლების კომპიუტერულ საშუალებათა გამოსაყენებლად.

4) კომპიუტერი უნდა მიეხმაროს მასწავლებელს, რათა მან ყურადღება გააძლიეროს იმ საკითხებზე, რომლებიც ითხოვენ პროფესიულ კომპიუტენციას სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გაზრდის პირობებში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა როგორც ჰგუთური, ისე ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს.

Inga Kakhiani

**EXPERT SYSTEMS AND  
THE TECHNOLOGY FOR THEIR CREATION  
SUMMARY**

The article deals with the essence and types of expert systems, also their general characteristics and their consisting parts as well as their means of construction. It's mentioned that the Expert, the engineer of knowledge the means of construction and the user take part in creating of expert systems. It's shown in details how expert systems are used in educational process, how the information may be presented, how the material is viewed, summarized and corrected on the whole the lesson becomes much more interesting and easy-to-understand by using computer.

**ლიტერატურა**

- 1) Готермен Дональд, "Руководство по экспертным системам", изд. мир - 1989.
- 2) Нейлер Крис, "Как построить свою экспертную систему", изд. мир, 1991.
- 3) Нильсон Н., "Искусственный интеллект", изд. мир. 1992.
- 4) Уинстон П., "Искусственный интеллект", изд. мир. 2000.

## ხათუნა კიკალაშვილი

### მკოლოგიური განათლება ზოზიპის სთავლების პროცესში

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ბიოსფეროს დინამიკასა და თვისებებზე ახლა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი შესწავლა და მისგან გამოყვეული არასასურველი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემას. ბიოსფეროს რესურსების რაციონალური გამოყენების ხერხები და მის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევები, გარემოს დაცვა და გაუმჯობესება წარმოადგენს ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების, ამოცანას.

სამყაროს ეკოლოგიური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მნიშვნელოვნად გაიზარდა გარემოზე ადამიანის საქმიანობის გავლენა. ატმოსფეროს, ხმელეთის, წყლებისა და ოკეანეების გაჭუჭყიანებამ, ბუნებრივი მწვანე საფარის განადგურებამ, მრავალი სახის ფრინველისა და ცხოველის გადაშენებამ, განსაზღვრა გარემოს დაცვის პრობლემაზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობა და დაიწყო ფართო მასშტაბის ეკოლოგიური ძიება.

დედამიწის გარკვეული ნაწილის პირობები კარგა ხანია შეიცვალა. თუ აღრე მას ლოკალური ხასიათი ჰქონდა, ახლა გლობალურ პრობლემად იქცა. ერთი რაიონის ეკოლოგიური მდგომარეობის შეცვლა იწვევს ზემოქმედებას ისეთი რაიონის ბუნებრივ პირობებზე, რომელიც მისგან დიდ მანძილზეა მოთავსებული. მაგ: გადამფრენი ფრინველების ან თევზების მოსპობა გავლენას ახდენს დედამიწის იმ ნაწილზე, სადაც ისინი გამოსაზამთრებლად მიღიან.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერულ-ტექნიკური რეკოდების განვითარებამ გააფართოვა ბუნებრივი რესურსების ჰქონის მოყენების შესაძლებლობები, რაც აუცილებელია საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის, საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, ეს ისტორიულად კანონზომიერი პროცესი, საწარმოო ტექნიკური შესაძლებლობების გადიდების არნახული მასშტაბი, გარკვეულ პირობებში აუცილებლად ართულებს ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის საკითხს, მიჰყავს იგი შესამჩნევ, ზოგჯერ კი გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან, რომლებიც ბიოსფეროში მიმდინარეობს. ტექნიკურმა პროგრესმა ბიოსფეროში ენერგიისა და ნივთიერების გადანაცვლების სრულიად ახალი გზა გაიყვანა, დაარღვია ბუნებრივი წონასწორობა. მეცნიერების სხვადასხვა დარგში განსაკუთრებული მიღწევების შედეგად ჩვენს თვალწინ იქმნება სრულიად ახალი სახის ინდუსტრიული წარმოება: სხვადასხვა სახის მანქანათა მშენებლობა, ატომური ენერგიის გამოყენება, ქიმიური მრეწველობა, დღითიდღე იზრდება სინთეზურ მასალათა განვითარების დონე. ღრმა ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში, რომელიც ინდუსტრიალიზაციის რეასებზე დადგა. გაფართოვდა მელიორაციული სამუშაოები, გაიზარდა მოთხოვნილება წყალზე. განსაკუთრებულ როლს სოფლის მეურნეობაში ასრულებს ქიმია. საკმარისია აღინიშნოს, რომ, ჩვენს დროში, მსოფლიოში, ყოველწლიურად, ასობით მიღიონ ტონა სასუქი და სხვადასხვა ქიმიკა-ტები გამოიყენება.

მნიშველოვანი პრობლემაა ატმოსფეროს სწრაფი დაჭუჭყიანება. ჰაერის ოკეანის ზომები უზარმაზარია. ატმოსფერული ჰაერის წონა 5000 ტრილიონ ტონაა და შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასობით მიღიონ ტონა დაჭუჭყიანება ჰაერის წონის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს, როგორც ზღვაში წვეთი, მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, დროის მიხედვით, დაჭუჭყიანება ატმოსფეროში გროვდება, მეორეც, იგი განაწილებულია არათანაბრად და ზოგიერთ ადგილებში მისი კონცენტრაცია უკვე საკმაოდ მაღალია. უანგბადის რაოდენობა ატმოსფეროში ჯერ ჯერობით საკმაოდ დიდია. უანგბადის გამოყოფას ემსახურება, ძირითადად, მწვანე ნარგავები. გამოკვლე-



ვებმა აჩვენა, რომ უანგბადზე მოთხოვნა მეტია, ვიდრე მას გამოიმუშავებს მცნიერებმა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ უანგბადის ერთ-ერთ წყაროს დედამიწაზე წარმოადგენს წყლის ორთქლი, რომ მელიც ატმოსფეროს ზედა ფენაში მზის ულტრააიისფერი გამოსხივებით იშლება უანგბადად და წყალბადად. არ არის გამორიცხული, რომ, ამ შემთხვევაში, უანგბადი გამოიყოფა უფრო მეტი, ვიდრე ამას გამოყოფს დედამიწის ყველა მცენარე.

უოველივე გამოთქმულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური გამოკვლევების მთავარი მიზანი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სახით: მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის პირობების ოპტიმიზაცია გარემოს თვისებების შენახვისა და გაუმჯობესების გზით, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების გადაყვანა უნარჩენო ტექნოლოგიაზე, ისე რომ მავნე ნარჩენებმა არ გამოიწვიოს გარემოს გაჭუჭყიანობა; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მათი აღდგენა და კვლავწარმოება.

ცოცხალი ბუნების ეკოლოგიური მიღობა დიდი ხანია გამოვიდა ბიოლოგიური მეცნიერებების საზღვრებიდან. იგი მეცნიერების სხვა დარგების კვლევის საგანიც გახდა. ცოცხალი ორგანიზმები მჭიდრო კავშირში არიან გარემოსთან, რომელიც სხვადასხვა ფიზიკური პარამეტრებით ხასიათდება. ეკოლოგია დაკავშირებულია ამ პარამეტრების შესწავლელ მეცნიერებებთან. ეკოლოგიური კვლევისას აუცილებელია ისეთი ფაქტორების ცოდნა, როგორიცაა წყალი ნიადაგი, სინათლე, ტემპერატურა, აირის შემცველობა და სხვა. ცხადია, რომ ეკოლოგიისათვის ფიზიკასთან, ქიმიასთან, გეოგრაფიასთან, ასტრონომიასთან და სხვა მეცნიერებებთან კავშირი აუცილებელია.

ბუნებრივი რესურსების დაცვის გაუმჯობესების შესახებ დაყენებული ამოცანებისა და მრავალი ეკოლოგიური პრობლემის დადებითად გადაწყვეტის საქმეში სხვა მეცნიერებათა შორის უდიდეს როლს თამაშობს ფიზიკაც. როგორც საშუალო სკოლებმა, ისე უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეაბალგაზრდობისა და სტუდენტების ეკოლოგიური განათლება. ფიზიკის კურსში არის ისეთი მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა ავხსნათ ეკოლოგიის საფუძვლებში მოცემული ფიზიკური და ბიო-

ლოგიური საკითხების ურთიერთყავშირი, რადგანაც ეკოლოგიურ  
სისტემაში შედის არა მარტო ორგანიზმების კომპლექსი, არამედ  
ფიზიკური ფაქტორებიც.

ბუნების დაცვის საკითხები განიხილება ხელოვნური თანამეზავ-  
რებისა და კოსმოსური პარატების, ბგერითი მოვლენების, თბოძ-  
რავების მუშაობის პრინციპის, სითხეებისა და აირების მოძრაობის,  
აორთქლების მოვლენის, ზეგამტარობის, ნახევარგამტარების, ელექ-  
ტრომაგნიტური ტალღების, ელექტრომაგნიტური ველის, სინათ-  
ლის ბუნების, ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივების, რადი-  
აქტივობის, ბირთვული რეაქციების, თერმობირთვული რეაქციების,  
ატომური ენერგიისა და სხვა საკითხების შესწავლისას.

განვიხილოთ კონკრეტულად თბოძრავები და გარემოს გაჭუჭყია-  
ნებისაგან დაცვის პრობლემები.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად  
ვაზარდა თბოძრავებიანი მანქანების რიცხვი. იგი დაახლოებით  
300 მლნ-ზე მეტია. საავტომობილო პარკს საშუალოდ წელიწად-  
ში ემატება 13 მილიონი ავტომობილი. ერთად აღებულ თვით-  
მფრინავებს, გემებსა და ავტომობილებს და მათ ფართო მასშტაბურ  
მოძრაობას ჩვენი პლანეტის ზედაპირზე, ჰაერსა და წყლებში, კო-  
ლოსალური რაოდენობის ბუნებრივი საწვავი სჭირდება. თანამედ-  
როვე პირობებში თბოძრავებიანი მანქანების მშენებლობას დიდი  
ურადღება ექცევა. ბევრი სიქეთე მოგვიტანა ასეთმა მანქანებმა,  
მაგრამ გამოიწვია უარყოფითი შედეგებიც, რომელთა პროფილაქ-  
ტიკა ამჟამად ერთ-ერთი საკაცობრიო პრობლემაა.

თბოძრავებში საწვავის წვისათვის აუცილებელია უანგბადი. ეს  
კი ამცირებს ატმოსფეროს მის მარაგს.

საშუალო სიმძლავრის თითო მანქანა ყოველი 100 კმ-ის გავ-  
ლისას შთანთქავს იმდენ უანგბადს, რამდენიც წლის განმავლობაში  
ერთი აღამიანისთვისაა საჭირო. მხოლოდ მანქანები არ იწვევს ატ-  
მოსფერული უანგბადის ხარჯს. ნებისმიერი საწვავის (შეშა, ნახში-  
რი, ნავთობის პროდუქტები) წვისათვის იგი აუცილებელია. მაგ:  
ერთი ტონა ნახშირის დაწვისათვის საჭიროა იმდენი უანგბადი, რაც  
10 აღამიანს დააკმაყოფილებს ერთი წლის განმავლობაში.

მანქანების მიერ გამოყენებული საწვავის გამონაბოლქვი აირები

შეიცავს ტოქსიკურ კომპონენტებს (ნახშირორჟანგი, ნახშირუანგი, აზოტი, გოგირდის უანგელულები, ქლორი), რომელთა დიდი კონცენტრაცია წამლავს ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმს, გამანადგურებლად მოქმედებს მცენარეებზე. მაგალითად, თუ ჰაერში ნახშირორჟანგის რაოდენობა 0,2%-ს აღწევს, ადამიანი კარგავს ორიენტაციის უნარს, ეხვევა თავბრუ. აზოტის უანგელულები 50-შერ უფრო მავნებელია, ვიდრე ნახშირჟანგი. ისინი ურთიერთქმედებენ წყლის ორთქლთან და წარმოქმნიან აზოტმჟავას, რომელიც ადამიანის ფილტვებში მოხვედრისას, იწვევს ქსოვილის დაშლას. საქმაოდ ტოქსიკურია ჭვარტლი და ბენზინის ორთქლი. სამედიცინო გამოკვლევებით დადგენილია, რომ ნავთობის საწვავით მომუშავე ძრავების გამონაბოლქვი აირები კიბოთი დაავადებას იწვევს.

ბუნების დასაცავად, სხვა ოონისძებასთან ერთად, აუცილებელია სამრეწველო ტექნოლოგიური პროცესების მაქსიმალური სრულყოფა, თბოძრავებთან მანქანებში გამოსაყენელები ახალი სახის სუფთა საწვავის მოპოვება, ან ისეთი ძრავების შექმნა, რომ მანქანები ნაკლებად აჭუჭყიანებდეს გარემოს, უზრუნველყოფდეს სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას.

ახალი სახის საწვავის მიღებისათვის ზრუნვა კიდევ უფრო აქტიური ხდება ენერგეტიკული კრიზისის გამო, რაც უკვე მთელ მსოფლიოს აღელვებს.

ამჟამად, თბოძრავებისათვის საწვავად გამოყენების მიზნით დიდი იმედებს იძლევა წყალბადი, რომლის წვის შედეგად მიიღება სუფთა წყალი და გარემოს გაჭუჭყიანება არ ხდება. წყალბადის საწვავად გამოყენება იმიტომაცაა ხელსაყრელი, რომ მისი თბოუნარიანობა თითქმის რვაჯერ მეტია ბენზინისაზე.

თანამედროვე ეტაპზე საწვავად წყალბადის გამოყენების სამუშაოები შესწავლის პროცესშია. ჯერჯერობით, მის ექსპლოატაციას ხელს უშლის დიდი რაოდენობით წარმოების სიძნელე, ამით გამოწვეული სიძვირე და აკუმულირების სირთულე. ეჭვს არ იწვევს, რომ მოინახება ყველა ამ სიძნელის დაძლევის ოპტიმალური გზები და წყალბადი სულ მალე ჩადგება ენერგიით კაცობრიობის მომარაგების სამსახურში.

დედამიწაზე, ოკეანეებსა და ზღვებში წყალბადის დიდი რაოდე-  
44

ნობით შემცვლელობა (1,3. 10. 14 ტ) იმის გარანტიას იძლევა რომ კაცობრიობას იგი მთელი ენერგეტიკული მოთხოვნილების და-საქმაყოფილებლად მიღიონ წლების განმავლობაში ეყოფა.

პერსპექტიულ საწვავად ითვლება ასევე მეთანოლი ( $\text{CH}_3\text{OH}$ ), მეთილის სპირტი. იგი შეიძლება მივიღოთ ქვანახშირისაგან, რომლის მარაგი მსოფლიოში ჯერჯერობით საკმაოდ დიდია. მეთანოლის წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენების ტოქსიკურობა ძალზე მცირეა. ეს კი გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვას დიდად უწყობს ხელს.

დღეისათვის დიდი რაოდენობით მეთანოლის მიღების სიძვირე და ორთქლისა და ჰარევის აფეთქების საფრთხე ერთ-ერთი მიზეზია, რაც ხელს უშლის მის გამოყენებას. არსებობს ვარაუდი, რომ ამ საწვავის მასობრივი წარმოება და გამოყენება უახლოეს დროში მასშტაბური გახდება.

გარემოს დაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით, უტოქსინო საწვავის მიღება-გამოყენებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ძრავების შექმნას, რომლებშიც დასახელებული არც ერთი სახის საწვავი არ იქნება გამოყენებული, როგორც ენერგიის წყარო. ისეთ ძრავიან ავტომობილებად გვევლინება ელექტრო-მობილები, რომელთა გავრცელებას ხელს უშლის პირველადი ენერგიის წყაროს-აკუმულატორის მცირე ენერგოტევადობა და დიდი მასა.

სანამ უტოქსინო წარმოება-გამოყენებისა და ელექტრო-მობილების პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილი არ არის, საჭიროა მანქანებში ამჟამად გამოყენებული საწვავის ეკონომიკურად და მიზნობრივად ხარჯვა. გარდა აღნიშნულისა, უნდა გაშენდეს ჟანგბადის ბუნებრივი და ძირითადი მწარმოებელი-ტყე და მწვანე ნარგავები. ერთი ჰექტარი ტყე იმდენ ჟანგბადს გამოიმუშავებს, რაც 300-500 ადამიანს უზრუნველყოფს წლის განმავლობაში.

1. Одум Ю. - "Основы экологии", М., 1986.
2. Чернова Н.М., Былова А.М. - Экология, М., 1981.
3. Риклефе Р. - Основы общей экологии. М., 1979.
4. ჭულაყიძე ჟ., „ფიზიკა“. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1995.
5. ელიავა ი., ნახურციშვილი გ., ქაჯაია გ., „ექოლოგიის საფუძვლები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1992.

X.P. კიკალიშვილი

## ЭКОЛОГИЧЕСКОЕ ОБРАЗОВАНИЕ В ПРОЦЕССЕ ОБУЧЕНИЯ ФИЗИКЕ

### РЕЗЮМЕ

В статье "Экологическое образование в процессе обучения физике" Рассматривается актуальная проблема защиты окружающей среды и рационального использования природных ресурсов. Отмечено, что экологический подход к живой природе давно вышел за пределы биологической науки и стал предметом исследования других наук.

В курсе физики есть материал, который позволяет объяснить взаимосвязь вопросов физики и биологии, представленных в основах экологии.

В работе конкретно рассмотрены теплодвигатели и проблемы защиты окружающей среды от загрязнения.

## ნინო კოსტაფა

### სინტაქსისა და პუნქტუაციის საკითხების სტაზება II-III კლასებში

სინტაქსის უმარტივესი საკითხების გაცნობით საფუძველი ეყრება მშობლიური ენის გრამატიკული წყობის ელემენტარული წესების შესწავლას, მოსწავლები ეუფლებიან მართლწერისა და მართლწარმოთქმის წესებს, ეჩვევიან სხვადასხვა ფორმაში აზრის გადმოცემას, სრულყოფილ კითხვას, იძენენ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს.

მეორე კლასიდანვე ბავშვისათვის პრაქტიკულად ნათელი ხდება, რომ წინადადება აზრს გამოხატავს, აზრი კი შეიძლება გადმოიცეს ერთი სიტყვითაც, ორითაც და ა. შ. ზეპირი მეტყველებისას წინადადების ბოლოს ვჩერდებით, ნაწერში კი სათანადო სასვენი ნიშანი იწერება... ამით იქმნება პირობები შემდგომში წინადადების შესახებ ელემენტრული ცნების მისაწოდებლად, რომ წინადადება დასრულებულ აზრს გამოხატავს. ცხადია, აღნიშნული საკითხის სწავლება ორგანულად უკავშირდება ლექსიკა-ფსიქოლოგიაზე მუშაობას. სწავლების პროცესებზე უშუალო დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შესარჩევი სიტყვების მიხედვით წინადადების შედგენაზე ვარჯიშობისას თანდათანობით ეყრება საფუძველი გაბმული მეტყველების ჩვევათა გამომუშავებას.

ამავე (II) კლასიდან ეჩვევიან მოსწავლეები თხრობითი და კითხვითი წინადადებების შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმას. ამგარი მუშაობა გამიზნულია კითხვის სათანადო ჩვევის გამოსამუშავებლად; წერტილისა და კითხვის ნიშნების მართებულად ხმარების შესათვისებლად. ამ ეტაპზე მოსწავლეთათვის ნათელია, რომ

თხრობით წინადადებას ვიწყებთ ხმამაღლა და ხმას თანდათან გადაბლებთ, ხოლო მის ბოლოს წერტილს ვწერთ. საამისოდ გრძელებული ტიკის ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოში შესაბამისი სავარჯიშოებია მოცემული. ცხადია, იგი საკმარისი არ არის. სწავლების პროცესზე უშუალო დაკვირვებით ჩვენ იმის უამრავი ფაქტიც ვნახეთ, რომ კითხვის გაკვეთილებამდე მასწავლებელთა ერთი ნაწილი თხრობითი წინადადების მართებულად წარმოთქმის ჩვევებზე ყურადღებას არ ამახვილებს. მეორე კლასში ისწავლება არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება. როგორც ვიცით, ამ შემთხვევაში ზმნა-შემასმენლის უკანასკნელ ხმოვანზე ვამაღლებთ ხმას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კითხვითი წინადადება და მართლწარმოთქმა მახინჯდება თვით მასწავლებელთა ერთი ნაწილის მიერაც. განსაკუთრებით კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების წაკითხვისას.

ბუნებრივია, ამ პირობებში, ზედმეტია ლაპარაკი სრულყოფილი კითხვის ჩვევების გამომუშავებაზე.

მოსწავლეთა მეტყველებაზე მრავალგზის დაკვირვება ადასტურებს, რომ პატარების მეტყველებას თავიდანვე უნდა მიეცეს სწორი მიმართულება მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რადგანაც „სწორი ზეპირი“ და წერითი მეტყველება ადამიანის კულტურული დონის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია, ვინც სწორად აზროვნებს, სწორად მეტყველებს და პირიქით. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ სავსებით გასაგებია ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც სწორ მეტყველებას (ზეპირსა და წერითს) ენიჭება ყოველმხრივ განვითარებული მოქალაქის ჩამოყალიბების საქმეში“.<sup>2</sup>

მე-3 კლასშიც, უმეტესად კვლავ პრაქტიკულად მიმდინარეობს მუშაობა თხრობითი და კითხვითი წინადადებების მართლწარმოთქმასა და სასვენი ნიშნების ხმარებაზე, რაც აუმჯობესებს მოსწავლეთა სრულყოფილი კითხვის დაუფლებასა და ხელს უწყობს მართებული გაბმული მეტყველების ჩვევათა გამომუშავებას. ამ მი-

გართულებით სათანადო შედეგს იძლევა ამ კლასის პროგრამის გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: თხრობითი წინადაღების გადაკეთება კითხვითად, კითხვითი წინადაღების გადაკეთება თხრობითად.

დადასტურებულია, რომ ამ მიმართებით ვარჯიშობა მოსწვალეებს უღრმავებს აღნიშნულ წინადაღებათა მართებულად წაკითხვის ჩვევებს. აქვეა გათვალისწინებული ვარჯიში კითხვით-სიტყვიანი კითხვითი წინადაღებისა და არაკითხვითისიტყვიანი კითხვითი წინადაღების წარმოთქმაზე. განსაკუთრებული ყურადღება აქაც მართლწარმოთქმაზე მახვილდება.

მე-3 კლასში ისწავლება ბრძანებითი წინადაღება. ამ ეტაპზე ბავშვებისათვის ნათელი ხდება, რომ ბრძანებითი წინადაღება ორგვარია: საკუთრივ ბრძანებითი და თხოვნითი. პირველი ტიპის წინადაღება აწეული (ხმამაღალი) ტონით წარმოითქმის; მეორე ტიპისა - დაბალი (თხოვნით) ტონით. ბრძანებითი წინადაღების ბოლოს ძალილის ნიშანს ვსვამთ. მაგრამ, აუცილებელია უფრო გავამარტივოთ და მეტი პრაქტიკული ხასიათი მივცეთ!

III კლასშივე ეცნობა ქვემდებარე და შემასმენელი. ამ შემთხვევაში თითქოს კიდევ უფრო მტკიცდება ცოდნა საგნისა და მისი მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე. მაგრამ აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან მოსწავლეთა მიერ ქვემდებარისა და შემასმენლის რაობა ასე მარტივად ვერ გაცნობიერდება.

ვიცით, რომ შემასმენელი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვაა, იგი ქართული მეტყველების ხერხემალია. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, - ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით<sup>3</sup>. ხოლო არნოლდ ჩიქობავას აზრით „ქართული ფრაზის აგებულება ზმნაზეა დამოკიმიდებული“. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ შემასმენელის შესწავლა ბავშვისათვის უფრო ხდის ცნობიერს, რომ იგი წინადაღების ხერხემალია. შემასმენელის შემდეგ ქვემდებარის შესწავლით უფ-



რო ნათელია, რომ შემასმენელი და ქვემდებარე წინადადების შედეგის ძირითადი კომპონენტია. ამის შემდეგ ბავშვისათვის ცხობიერია, რომ წინადადებაში შემაგალ სიტყვებს თავ-თავიანთი ფუნქცია აქვთ. ხოლო ამავე კლასშივე „ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვის სწავლება სტილისტიკურად კიდევ უფრო ხერავს მერვეკლასელთა მეტყველებას. ამ ეტაპზე ბავშვებისათვის ნათელია, რომ, როცა ქვემდებარე მრავლობითშია და სულიერ საგანს აღნიშნავს, შემასმენელიც მრავლობით რიცხვში იხმარება. „მერცხლები ჭიკჭიკებენ“, „გოგონები მღერიან“ და ა.შ..

მოსწავლეთა ზეპირსა და წერით მეტყველებას სტილისტიკურად კიდევ უფრო ხერავს გავრცობილ და გაუვრცობელ წინადადებათა შესწავლა. ამ ეტაპზე მისი შესწავლა განპირობებულია ჩამოთვლილ სიტყვათა შორის მძიმის სწავლებისათვის, ხოლო შემდგომში იგი საფუძველს წარმოადგენს შერწყმული წინადადების გააზრებისათვის. ბუნებრივია, ერთგვარი წევრების შესწავლა მესამე კლასების უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს, ხოლო თვით ტერმინი „ერთგვარი წევრები“ მარტივად უმუშავებს ცნების განზოგადების უნარს, რაც აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ყველაფერი ეს კი ხელს უწყობს მართებული სტილის გამომუშავებას.

დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სწავლების პროცესზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სინტაქსის ცალკეული საკითხების სწავლებისას საგრძნობლად ჩამოშორდა ელემენტარული სტილისტიკის საკითხებზე მუშაობა, მაშინ როცა ქართველი და რუსი მეთოდისტები გამართული სტილის ჩვევის გამოსამუშავებლად ზეპირსა და წერით მეტყველებაში არსებით მნიშვნელობას სიტყვების, წინადადებისა და გრამატიკული ფორმებისა მართებულად გამოყენებაზე ვარჯიშს ანიჭებს.<sup>4</sup>

მე-3 კლასელთა ზეპირსა და წერით მეტყველებას უფრო გამართულს ხდის წინადადებაში სიტყვათა გარკვეული რიგით და-

ლაგება, დეფორმირებული წინადადების აღდგენა და წინადადებისათვის შესაფერისი სიტყვის შერჩევა ამ მიმართებით სისტემატურად უნდა ჩატარდეს მიზნობრივი სავარჯიშოები, ამ კლასის საკითხავი ტექსტების გამოყენებით.

ცხადია, მე-3 კლასში სინტაქსისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების მაქსიმალურად გააზრება და მათი ოელიზაცია ზერპირისა და წერითს მეტყველებაში შეუძლებელია. ამიტომაა, რომ შემდგომ კონცენტრში (მე-4 კლასში) ამ საკითხების სწავლება მე-3 კლასში განვლილი მასალის განმეორებით იწყება. კერძოდ, წინადადება, თხრობითი წინადადება, წერტილის ხმარება მის ბოლოს, კითხვითი წინადადება და კითხვის ნიშნის ხმარება მის ბოლოს, ბრძანებითი წინადადება და ძახილის ნიშნის ხმარება მის ბოლოს, მძიმის ხმარება ერთგვარ წევრებთან, წინადადების წევრები, შინარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა.<sup>5</sup>

ცხადია, ამ საკითხების კვლავ გააზრება, გაგება გახლავთ ფუნდამენტალური საფუძველი, რომ მეოთხეკლასელმა შეძლოს შინაარსის ვრცლად და მოკლედ გადმოცემა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს, რომ მოსწავლემ შეიძლოს ნანახის, წაკითხულის ან განცდილის გადმოცემა.

შინაარსის ზეპირად და წერით გადმოცემას კიდევ უფრო შეუწყო ხელი წერტილის, კითხვის ნიშნისა და ძახილის ნიშნის მართებულად ხმარებაზე ვარჯიშობამ.

ამდენად, II, III კლასებში სინტაქსისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების სწავლება მყარი ნიადაგია მე-4 კლასის სინტაქსისა და პუნქტუაციის საკითხების მიზნობრივად შესწავლისათვის.

#### ლიტერატურა:

1. შალამბერიძე გ., ქართული მართლწერა, თბილისი, 1961. გვ. 23. 5;
2. ი. ჭავჭავაძე. წერილების კრებული, ტ. 5 1927, გვ. 260;
3. ვალ. რამიშვილი. „სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების

სტილზე მუშაობის საკითხები", თბილისი, 1966;

4. რამიშვილი ვალ., ქართული ენა - გრამატიკა, მართლწერა  
და მეტყველების განვითარება. თბილისი, 1992;

5. რამიშვილი ვალ., პუნქტუაციის სწავლება დაწყებით კლა-  
სებში, თბილისი, 1987.

Nino Kostava

## TEACHING THE PROBLEMS OF SYNTAX AND PUNCTUATION IN THE II-III FORMS

### SUMMARY

The work "Teaching the Problems of Syntax and Punctuation in the II-III Forms" represents the viewport of the oral and Written Speech culture development, the target teaching of syntax and punctuation programme. Effective methodical means are investigated for this purpose.

## თნგა მაღლაციურობე

### ზეპირი ლექსიკური გურსის პროგლემა ჟართული სტრუქტურის რუსული ენის პირგმლდაწყვეტილობის სახელმძღვანელოში

არამშობლიური ენის სწავლების ისტორია უძველესი დროიდან იწყება. ამ ისტორიამ მეტად რთული და შინაარსიანი გზა განვლო დღემდე. მიუხედავად ამისა ზეპირი ლექსიკური კურსის პრობლემა არც უძველეს დროში(ძველი აღმოსავლეთი და ანტიკური პერიოდი -საბერძნეთი და ძველი რომი), არც აღორძინების ეპოქაში (შუა საუკუნეების ევროპა) და არც კაპიტალიზმის აყვავების პერიოდში არ დასმულა და მითუმეტეს არც გადაჭრილა.

მეორე (არამშობლიური) ენის შესწავლა-დაუთვლებისათვის ამ პრობლემის სათანადოდ გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამაზე ნათლად მეტყველებს ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის სპეციალური შრომა, რომელიც მან რუსული ენის მასწავლებელთათვის შეადგინა და გამოსცა "Методика преподавания русского языка для учителей и учительниц(1986)"

ქართველი ინტელიგენციის ის შესანიშნავი წარმომადგენლები, რომელთაც უხდებოდათ ამ დარგში მუშაობა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შედეგენა, ამ რთულ პროცესში გრძნობდნენ ზეპირი ლექსიკური კურსის აუცილებლობას. სწორედ ამ უკიდურესად ძნელმა პროცესმა მიიყვანა ისინი ზეპირი ლექსიკური კურსის სათანადო ორგანიზაციის აუცილებლობამდე.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში, ზეპირი ლექსიკური კურსის პრობლემა სამ პიროვნებასთანაა დაკავშირებული.

ესენი არიან: გერასიმე კალანდარიშვილი: (1836-1874), ლატო გონიშვილი (1860-1904) და იაკობ გოგებაშვილი (1840-1912). შექადარი ლექსიკური კურსის პრობლემა დეტალურად განვიხილეთ გერასიმე კალანდარიშვილის "Начальный курс русского языка для грузин по практическому методу (1866 г. Кутаиси), ლ. აღნიაშვილის "Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ" (1883г. Тифлисъ)და იაკობ გოგებაშვილის "Русское слово"-მიხედვით.

ი.გოგებაშვილმა კალანდარიშვილის სახელმძღვანელო ოთხერ გამოსცა და შემდეგ თვითონ შეადგინა უფრო სრულყოფილი, ყოველმხრივ მეცნიერულად დასაბუთებული „რუსკო სლოვო“, რომელმაც ფართოდ გაითქვა სახელი მაშინდელ რუსეთის მაცერაში. პროფესორმა, ვასილ ჩისტიაკოვმა ი.გოგებაშვილს მიაწერა ზეპირი ლექსიკური კურსის შემოღება რუსული ენის პირველდაწყებით სახელმძღვანელოში. მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა კალანდარიშვილისა და ლადო აღნიაშვილის ამ აღმოჩენის შესახებ, რადგან კალანდარიშვილის სახელმძღვანელოები საქართველოს ფარგლებს არ გასცილებია და ისეთი პოპულარობა, როგორც წილად ხვდა ი.გოგებაშვილის „რუსკო სლოვო“-ს მას არ ღირსებია. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოში მოსწავლეები 2000-ზე მეტ სიტყვას შეითვისებენ. ეს, რა თქმა უნდა, წინასაანბანო ზეპირი ლექსიკური კურსისათვის ძალიან ბევრია და შეუძლებელია მოსწავლე თორმეტი გაკვეთილის პროცესში ამ სიტყვებს დაეუფლოს.

ეს წიგნი ი. გოგებაშვილის აღიარებით წინ აღუდგა მუნჯური მეთოდით შედგენილ სახელმძღვანელოებს. ის წერდა: „მუნჯური მეთოდის გაბატონება რუსული ენის სწავლებაში წინ ეღობებოდა გ. კალანდარიშვილის სინთეზური მეთოდით აგებული სახელმძღვანელოს და ფრთას ჰქვეცდა ამ მიმართულებას. იგი რუსული ენის სწავლებას იმ ფეხზე აყენებდა, როგორზედაც უნდა დადგეს უცხო ენის სწავლება. ერთი სიტყვით, წიგნი იყო ნამდვილი ნაყოფი ჩვე-

ნის პედაგოგიკისა...”(10გვ. 428-429)

რუსული ენის მეორე სახელმძღვანელო “Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ” ( ლადო აღნიაშვილი) შედგება ლექსიკური კურსის 25 გაკვეთილისაგან. ამ კურსში მოცემულია მოსწავლეთათვის ნაცნობი ლექსიკა და ფრაზები. აქვე საჭირო რაოდენობითაა მათთვის მისაწვდომი, ცხოვრებისეული და ამ ლექსიკასთან დაკავშირებული მარტივი წინადაღებები. წინასამბანო ლექსიკა სახელმძღვანელოს რვა გვერდზეა განლაგებული და მეთოდურად დალაგებული.

ლექსიკური-მინიმუმი ქართულ ენაზეა შედგენილი. მასწავლებლის მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ მას მშობლიურ ენაზე (დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის) უნდა გაეანალიზებინა და წესრიგში მოეყვანა კუთხური სამეტყველო ენა, ლექსიკა, საგანთა სახელები, რათა ყველა მოსწავლეს ერთნაირად გაეგოთ ლიტერატურული ენის ცნებები, განმარტებანი, საკუთარი სახელები, სამეტყველო სტილი.

მოცემული ლექსიკური კურსი ლ. აღნიაშვილის სახელმძღვანელოს მიხედვით ჯერ მასწავლებელს ქართულად სათანადოდ უნდა დაემუშავებინა, ხოლო ამის შემდეგ მოეწოდებინა რუსულ ენაზე. ეს კურსი დაახლოებით 120 სიტყვისა და 5 ნაწილისაგან შედგება. ეს არის უაღრესად დახვეწილი ელემენტარული მეტყველებისათვის აუცილებელი, მოსწავლეებისათვის მშობლიურ ენაზე მახლობელი, წარმოსათქმელად მარტივი სიტყვები და ფრაზები.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში (საანბანო ნაწილშიც მოსწავლეებს უფრო რთული სამუშაო აქვთ შესასრულებელი) ანბანის შესწავლა წინასაანბანო ლექსიკური კურსის სიტყვებზეა აგებული, მაგრამ, ამის გარდა, მოსწავლე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ასოსა და ბგერას უნდა გაეცნოს, რაც იოლი საქმე არაა. ამასთანავე, მოსწავლეები რუსული ასოების წერასაც ეცნობიან. ეს კიდევ უფრო ართულებს სწავლების პროცესს, აქვე არის მოცემული ახალი სიტყვები, საგნების სახელმძღვანელოები, რომელთაც

მოსწავლე პირველად ხვდება საანბანო ნაწილში. მიუხედავად ამის გამო მასწავლებლის აქტიური დახმარებით ისინი აღვილად მომდევნობის საანბანო ნაწილის სირთულეებს.

სახელმძღვანელოს მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილები მჭიდროდაა დაკავშირებული ზეპირ ლექსიკურ გაკვეთილებთან.

ქართული სკოლისათვის ჯერ არ დაწერილა სახელმძღვანელო რუსულ ენაში, რომელიც ასე კონდენსირებულად და ზედმიწვნით სისტემატურად ახერხებდეს უაღრესად მცირე მოცულობის ლექსიკის (სულ 150-მდე სიტყვაა სახელმძღვანელოში) ხმარების სიხშირეს.

სახელმძღვანელოს დართული აქვს ორი ანბანური ლექსიკონი: ერთი ქართულ-რუსული, მეორე რუსულ-ქართული. ამ ლექსიკონებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. ქართულ-რუსული ლექსიკონი 120 ერთეულს შეიცავს. ეს წინასაანბანო ლექსიკური კურსის სიტყვებია და მოსწავლეებს გამოადგებათ შინ ზეპირ კურსზე მეცადინეობისათვის.

მეორე ალფავიტური ლექსიკონი მთელი სახელმძღვანელოს ლექსიკის შეიცავს. მისი რაოდენობა სულ 450 სიტყვას უდრის.

გოგებაშვილის სახელმძღვანელო კი 18 ლექსიკური გაკვეთილი-საგან შედგება, ამ ლექსიკურმა კურსმა ავტორის სიცოცხლეშიც დიდი ცვლილებები განიცადა. 1887წ. გამოცემაში ლექსიკურ კურს-45 გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. საქმე იმაშია, რომ იაკობ გოგებაშვილი გამუდმებით ზრუნავდა თავისი სახელმძღვანელოების სრულყოფაზე.

„რუსულ სლოვო“-ში სამი ძირითადი ნაწილია: 1) ლექსიკური გაკვეთილები; 2) საანბანო ნაწილი და 3) საკითხავი მასალა.

ლექსიკური გაკვეთილები თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფა:

1) ახალი სიტყვის ახსნის გაკვეთილები, 2) პატარა ხელოვნური მოთხრობები, საღაც ახალი სიტყვები ჩართულია წინადადებებში და 3) სამეტყველო კითხვა- პასუხის გაკვეთილები. ზეპირი ლექსიკური კურსი 18 გაკვეთილადაა დაყოფილი სახელმძღვანელოში და

შეიცავს 120- მდე სიტყვას. ყოველ გაკვეთილზე მოსწავლემ უნდა შეისწავლოს 5-8 სიტყვა. მოსწავლეები ლექსიკურ გაკვეთილებში არც კითხულობენ და არც წერენ. მათ მხოლოდ ზეპირად უნდა დაიმახსოვრონ სიტყვები. და დაუკავშირონ ეს სიტყვები საგნებს, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოტანილი, მასწავლებელმა კი უნდა მოიმარაგოს ისინი (ნივთები) სწავლის პროცესში. ყველა ლექსიკური გაკვეთილის შემდეგ პატარა ხელოვნური ტესტებია მოცემული. ასეთი ვარჩიშები ამზადებენ მოსწავლეებს სამეტყველო პრაქტიკისათვის.

ასეთია იყობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოში ზეპირი ლექსიკური კურსი.

იყობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთათვის მდიდარი რუსული კულტურის, რუსული ლიტერატურის საფუძვლიანად შეთვისებას და ამ მიზნით რუსული ენის ღრმად დაუფლებას. თავის ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ გოგებაშვილი წერდა: „რაც შეეხება, კერძოდ რუსული ენას, ჩვენთვის ქართველებისათვის, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომი ხალხისათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულ განათლებას და რომელსაც მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა, მეორედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეუერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ, რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენას, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველნი უნდა ვცილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა“.

### ლიტერატურა

1. გოგებაშვილი ი.ს., რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად) ტომი მე-5, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“ 1997.
2. იმედაშვილი ი.- ლადო აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვა-

წეობა (გარდაცვალებიდან 25 წლის გამო).

3. ცაიშვილი ს.- გერასიმე კალანდარიშვილი (მოხვევა  
ფია), 1947, თბილისი, გვ. 67.

4. Мачарашвили К. Ш. - Основные принципы составления  
первоначального учебника русского языка для грузинской школы, изд.  
"Цодна". Тбилиси, 1963, 153 стр.

5. Гогебашвили Я. С. - "Русское слово", издания 1887 по 1913 г.,  
27 изданий. Тбилиси.

Inga Maghlaperidze

" THE PROBLEM OF ORAL LEXICAL COURSE IN THE  
PRIMARY TEXTBOOKS OF RUSSIAN LANGUAGE IN  
GEORGIAN SCHOOLS"

ABSTRACTS

In the work "The Problem of Oral lexical course in the Primary Textbooks of Russian Language in Georgian Schools" are discussed the questions and developing problems of Oral lexical course in the Russian Primary textbooks.

## თინათინ შაქაფარიანი

### დეცემბრი პლასტიკი შესიკალურ-რიტმული აღზრდა (რიტმიკა)

რიტმიკა მუსიკალური საქმიანობის ერთ-ერთი სახეა, რომელ-  
შიც მუსიკის მხატვრული შინაარსი, მისი ხასიათი, სახეები გად-  
მოიცემა სხვადასხვა მოძრაობით. რიტმიკაში მუსიკა საწყისს წარ-  
მოადგენს, ხოლო ფიზიკური ვარჯიშები, ცეკვები და სიუჟეტურ-  
ხატოვანი მოძრაობები გამოიყენება მუსიკალური ნაწარმოების უფ-  
რო ღრმად აღქმისა და გაგებისათვის.

მოძრაობები მუსიკის თანხლებით ცნობილია უძველესი დროი-  
დან (ინდოეთი, ჩინეთი, საბერძნეთი და სხვ.) მათ ყოველთვის აღ-  
მზრდელობითი მნიშვნელობა პქონდა დაკისრებული, უპირველეს  
ყოვლისა, ადამიანში გრძნობებისა და წარმოსახვის განვითა-  
რებისათვის.

შვეიცარიელმა პედაგოგმა და კომპოზიტორმა ემილ ჟაკ დალ-  
კროზმა (1865-1950), კი, პირველმა მიიჩნია რიტმიკა მუსიკალური  
აღზრდის მეთოდად და ეფექტურად გადაწყვიტა აღამიანის მუსი-  
კალური ნიჭის, აგრეთვე, მოძრაობათა პლასტიკურობისა და გა-  
მომხატველობის განვითარების ამოცანები. ეს სისტემა პოპულა-  
რული გახდა შვეიცარიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში,  
საქართველოსა და სხვა ქვეყნებში.

რიტმიკის მიზანს შეადგენს მუსიკის სხვადასხვაგვარად აღქმის  
გაღრმავება, დიფერენციაცია და ამის საფუძველზე გამომხატვე-  
ლი სამოძრაო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

რიტმიკის ამოცანებია:

ვასწავლოთ ბავშვებს მუსიკის სახეების აღქმა და მათი მოძ-  
რაობებით გადმოცემა ხასიათისა და ყველაზე მნიშვნელოვანი გა-  
მომხატველი საშუალებების შესაბამისად; განვუითაროთ მუსიკა-



ლური მონაცემები (მუსიკაზე ემოციური გამოხმაურება, მიკროფონი წარმოდგენები, რიტმის გრძნობა). ვასწავლოთ მუსიკის ჟაზონების (მარში, სიმღერა, ცეკვა), რიტმიკის სახეების (თამაში, ვარჯიში, ცეკვა) გამოცნობა და იგრეთვე მარტივი მუსიკალური ცნებების განსაზღვრა (მაღალი და დაბალი ბეჭერები. ტემპი ჩქარი, ნელი, ზომიერი; უღერადობა ხმამაღალი, ხმადაბალი და სხვა); თამაშის, ცეკვის, ფერხულის, ვარჯიშის დროს გამომხატველად, პლასტიკურად მოძრაობა, რაც ლამაზი ტანადობის ჩამოყალიბებას ემსახურება.

რიტმიკის მთავარ ამოცანათა რიგში შედის პატარებში საკუთარი და ამხანაგების მოძრაობის შეფასების უნარის განვითარება, მარტივი ცეკვის, თამაშისა და ვარჯიშის გამოყენება სხვადასხვა მოძრაობათა კომბინირების საშუალებით. ყოველივე ეს განაპირობებს რიტმიკის შინაარსს და შეტანილია მუსიკალური აღზრდის პროგრამაში, რომელიც უმცროს სასკოლო ასაკში ითვალისწინებს ბავშვთა მუსიკალურ-რიტმული და სამოძრაო უნარ-ჩვევების განვითარებას

დაწყებით კლასებში მუსიკა გამოკვეთილია, როგორც დამოუკიდებელი საგანი. გაკვეთილზე მუსიკალური აღზრდის ძირითადი მიზანია კულტურული მსმენელის ჩამოყალიბება და აღზრდა იმისათვის, რომ ბავშვებს განუვითაროთ მუსიკისადმი ინტერესი, დასაწყის ეტაპზე, სწავლების პირველ წლებში, უნდა გამოვიყენოთ მრავალფეროვანი მუსიკალური ხერხები და მეთოდები. მუსიკალური აღზრდა მხოლოდ მუსიკალობას არ გულისხმობს. ბავშვი ისე ღრმად უნდა ჩაწვდეს მუსიკას, თითქოს თვითონ შექმნა ესათუ ის ნაწარმოები.

მუსიკის თანხლებით მოძრაობა ბავშვის მუსიკალობის განვითარების ეფუძნული საშუალებაა და ეს მეთოდი ეყრდნობა ბუნებრივ რეაქციას. უმცროს კლასელთათვის დამახასიათებელია მოძრაობების კარგი კოორდინაცია სიარულის, სირბილისა და ხტომის დროს. ბავშვები საკუთარი ინიციატივით სიამოვნებით იმპროვიზირებენ. მუსიკის მოსმენის დროს ისინი იყენებენ: ჭაშს, ფეხის ბაკუნს, საგნებით მოძრაობას (ბურთი, ჭოხი, ლენტი). ამ შემთხვევაში მათ-თვის მნიშვნელოვანია მუსიკისა და მოძრაობის ერთიანობის შეგ-

აძნება. ეს თვისება ძირითადია ბავშვის მუსიკალურ-რიტმული მოქმედების განვითარებისათვის.

ვინაიდან სკოლაში დღო შეზღუდულია და არ არის მუსიკის გაკვეთილისათვის განკუთვნილი ოთახი, რიტმიკას, მუსიკის გაკვეთილზე სამწუხაროდ მცირე დღო ეთმობა. მასწავლებლები იყენებენ რიტმიკის ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც მუსიკალური მოქმედების სხვა სახეებთან ერთად უზრუნველყოფს ბავშვთა მრავალმხრივ მუსიკალურ განვითარებას. მუსიკალურ-რიტმული მოძრაობები ხელს უწყობს მუსიკის ემოციურ ზემოქმედებას. გამომსახველობით საშუალებებზე განვითარების წარმოდგენას, მუსიკალური მეტყველების ელემენტების გაგებას.

ბავშვთა მუსიკალურ-რიტმულ მოძრაობას აქვს სამი მიმართულება:

- ხელს უწყობს მუსიკალური სმენის განვითარებას და უყალიბებს მუსიკისადმი მოძრაობების დაქვემდებარების ჩვევას.

- უყალიბებს მოძრაობის სწორ უნარ-ჩვევებს (სიარული, ნახტომები, წყობა და გადაწყობა, ტაში, მოძრაობები საგნებით, ცეკვის ელემენტები და ა.შ.).

- უვითარებს სხეულის ზუსტ მოძრაობებს, ჩქარ და ზუსტ გაჩერებას, მოძრაობების შეცვლას და ა.შ.

მასწავლებელი, როდესაც ემზადება მუსიკის გაკვეთილისათვის, უნდა გაითვალისწინოს მუსიკალურ-რიტმული ჩეპერტუარი გაკვეთილის თემატიკიდან გამომდინარე. ყველა მოძრაობა მასწავლებელმა, თავდაპირველად, თვითონ უნდა უჩვენოს მოსწავლეებს, განსაკუთრებით პირველ, მეორე კლასებში, ვინაიდან სიტყვიერი ასსნა არ იძლევა ეფექტურ შედეგს.

მოძრაობების სწავლების პროცესში გამოიყენება ტექნიკური საშუალებები, რითაც ბავშვები ეჩვევიან მათთვის უკვე ნაცნობი ნაწარმოებების ახლებურ ჟღერადობას, შესრულებას, მასწავლებელს კი საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს მოსწავლეთა მოძრაობების ხარისხს, მოახდინოს კორექტირება და მიიღოს უშუალო მონაწილეობა მუსიკალურ-რიტმულ მოძრაობებში.

მუსიკალურ-რიტმულმა მოძრაობებმა რომ მოსწავლეთა შხატვრულ განვითარებას შეუწყოს ხელი, საჭიროა მათი მომზადება

მუსიკალური მოქმედებისათვის. თავდაპირველად ბავშვები იღებდნენ წარმოდგენას მოძრაობის ჩვევებზე, სწავლობენ მუსიკის თანხლებით მარშირებას, მსუბუქად სირბილს, რეაგირებას პირობით მუსიკალურ სიგნალებზე. როგორც აღვნიშნეთ, მუსიკალურ-რიტმული მოძრაობების ელემენტებია ტაში და ფეხის ბაჟუნი. მათი დახმარებით ბავშვებს უყალიბდებათ წარმოდგენა გრძლიობებსა და მელოდიის რიტმზე. ამავე დროს, ხელსაყრელია მუსიკალურ-რიტმული მოძრაობების გაღმოცემა. მოძრაობების მეშვეობით ბავშვებს უყალიბდებათ მთელი რიგი მუსიკალური წარმოდგენები, მაგალითად მეტრო-რიტმი. ბავშვები დგანან თვლაზე ერთი 2/4 ზომაზე, აიწვიან ფეხის ცერებზე და თვლაზე ორი-დაბრუნდებიან საწყის მდგომარეობას. 3/4 ზომაზე, თვლაზე-ერთი, აიწვიან ცერებზე, თვლაზე ორი, სამი-დაბრუნდებიან საწყის მდგომარეობაში. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუსიკალური ვარჯიშების, ანდა, თამაშის დროს, მაგ.: „გამოიცან შენი ცეკვა“. ბავშვები უნდა გავყოთ ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს აქვს თავისი ცეკვა. მუსიკის მოსმენისას ისინი გამოიცნობენ და ასრულებენ თავიანთ ცეკვას. შემდეგ მასწავლებელი ორივე ჯგუფს შეაფასებს რიტმულობისა და შესრულების მიხედვით.

მუსიკალური სიმღერებისა და პიესების ინსცენირება მოძრაობის მეშვეობით არა მარტო ავთარებს მუსიკალურ-რიტმულ წარმოდგენებს, არამედ ხელს უწყობს შემოქმედებითი მონაცემების გააქტიურებას და მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებას. მასწავლებელი მოსწავლეებს თავაზობს თვითონ შეარჩიონ მოძრაობა მუსიკის ხასიათის შესატყვისად. უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ხვეწენ ამა თუ იმ მოძრაობას, რაც მათ საშუალებას აძლევს უკეთ მოახდინონ მოძრაობების კომბინირება და იმპროვიზირება.

უმცროსკლასელთა მუსიკალურ-რიტმული აქტივობა უნდა დაიგეგმოს შემდეგნაირად: თავდაპირველად მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ბავშვების სკოლამდელი გამოცდილება, ვინაიდან სკოლამდელ დაწესებულებაში მუსიკას, ცეკვებსა და მუსიკალურ ვარჯიშებს დიდი ყურადღება ეთმობა. ამის შემდეგ მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს მოძრაობის გამომხატველობას. იმპროვი-

ჭირების დროს ბავშვებმა სწრაფად უნდა მოახდინონ რეაგირება  
მუსიკის ხასიათის შეცვლაზე და გამოხატონ შესაბამისი მოძრაობებით. პირველ კლასში მასწავლებელმა ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმოს მუსიკალურ თამაშობებს, ვარჯიშებსა და ცეკვებს, რაც ააქტიურებს ბავშვთა ინტერესებს.

მუსიკალურ-რიტმული მოქმედება მეორე კლასში უფრო გაღრმავებულია. მიმდინარეობს წინა პერიოდში მიღებული უნარ-ჩვევების განმტკიცება და უფრო რთული ამოცანების დასახვა. მაგ.: ბავშვებს მიღებული აქვთ მარშისა და საცეკვაო მუსიკის მოძრაობების გამოცდილება. ამ მოძრაობების საშუალებით სწავლობენ მუსიკაში ძლიერი და სუსტი დროის პულსაციას და ასევე ორი რიტმული ერთეულის გააზრებას: მეოთხედი ( ) და მერვედი ( ) ან ნახევარი ( ) და მეოთხედი ( ).

ყოველივე ამას მოსწავლეები აკეთებენ ნებისმიერი მოძრაობით. აანალიზებებნ და აფიქსირებენ სანოტო ჩაწერით. მესამე კლასში მოსწავლეებს მუსიკალურ-რიტმული მოძრაობის დიდი გამოცდილება აქვთ და შეუძლიათ მუსიკალური ფრაზებისა და ნაწილების გააზრება, გადმოცემა მოძრაობების მეშვეობით. მათ უვითარდებათ წარმოდგენები მუსიკის განვითარების პრინციპებისა და მუსიკალური ფორმების შესახებ.

ამრიგად, მუსიკის გაკვეთილზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი მუსიკალური ნაწარმოებების შერჩევას, რომლებიც უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს განუვითარებს სამოძრაო უნარ-ჩვევებს და ჩამოუყალიბებს მუსიკალურ მონაცემებს. ამასთან, საჭიროა, გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი.

### ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი ქ. მუსიკა პატარებისათვის ( შემდეგ. ი. თეთრაშვილი -გორდელაძე; რედ. მ. ფალავანდიშვილი),- თბ. 1994
2. ანდრონიკაშვილი ქ. ბუსურაშვილი ქ. მუჯირი ქ. სახელმძღვანელო მუსიკაში მოსამზადებელი კლასებისათვის. თბილისი, 1980.
3. ბუსურაშვილი ქ. მუსიკალური გემოვნების აღზრდა სკოლა-



ში-თბილისი, 1971.

4. მერაბიშვილი მ. ფალავანდიშვილი მ. რიტმიკა ბავშვებისათვის (რედ. მ. ფალავანდიშვილი), თბილისი, 1995.
5. მუსიკა და რიტმიკა (პროგრამა და მეთოდური რეკომენდაციები დაწყებითი კლასებისათვის. შემდ. კ. ჭოხონელიძე, ს. სხირ-ტლაძე. ქ. ცაგარელი, ლ. სამსონაძე. თბილისი, 1990).

Tinatin Machavariani

**THE MUSICAL-RHYTHMIC EDUCATION  
IN THE PRIMARY CLASSEC  
SUMMARY**

The rhythmic is one of the most important spheres of Musical education. The music is the basic in rythmuc, but physical training, dnces and subjectfigurative motion is used for deep understanding of musical composition. At the lesson of musical education much attention should be given to the selection of the proper musical composition for pupils, it will help them to develope their musical skills and abilities.

მადონა მეგრელიშვილი  
რუსუდან გვილავა

მოდულებით სტავლების სისტემა

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ მოდულებით სწავლების სისტემა, როგორც სწავლების ყველაზე გავრცელებული ფორმა ყველა ცივილური ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ უნივერსიტეტში გატარებული წლები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ შესაბამისი მოდულები და დაგეგმონ სწავლების ინდივიდუალური პროგრამა მათი დონის, მოთხოვნილებისა და საჭიროების მიხედვით. შეიძლება. ითქვას, რომ კონკრეტულად ინგლისური ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით მიზანშეწონილია მოდულებით სწავლების ფორმის გამოყენება, რადგანაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ენის შესწავლა დაიწყონ ნებისმიერი დონიდან მათი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, რაც მაქსიმალურად ავლენს მათ შესაძლებლობებს (1).

ასე, მაგალითად დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის უნივერსიტეტებში უცხოური ენების მოდულებით სწავლების შემდეგი სისტემაა. სწავლის ხანგრ)ლივობის (3 წელი) გათვალისწინებით გამოიყოფა სულ 6 დონე (A, B, C, D, E, F დონე) დაწყებითი A ელემენტარული დონიდან დამთავრებული F უმაღლესი დონით. აუცილებელი არაა, ყველა სტუდენტმა A დონიდან დაიწყოს ენის შესწავლა. სტუდენტებს აქვთ უფლება, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ენაში მათი ცოდნის შემოწმების (ტესტირების) საფუძველზე, სწავლა დაიწყონ უფრო მაღალი B ან C დონეებიდანაც და ამის მიხედვით შესაბამისი მოდულები აირჩიონ (2).

სწავლების კურსის დასრულების შემდეგ შესაბამისი სერთიფიკატის მისაღებად სავალდებულოა, ყველა სტუდენტმა მიაღწიოს F (უმაღლეს) დონეს მაინც. სწავლის ხანგრძლივობა

ამის საშუალებას იძლევა იმ სტუდენტებისათვისაც, რომლებმაც  
**A** დონიდან დაიწყეს სწავლა. მესამე წელს ისინი ასრულებენ **F**  
 დონეს. ის სტუდენტები, რომლებმაც სწავლა შედარებით უფრო  
 მაღალი **B** ან **C** დონეებიდან დაიწყეს, უფრო ადრე იღწევენ უმაღლეს  
 ა დონეს. იმ სტუდენტებს, რომლებიც იწყებენ **B** დონიდან ჩემთვის  
 1 სემესტრი თავისუფალი, ხოლო **C** დონის სტუდენტებს 1 წელი.  
 დარჩენილი სემესტრის ან წლისათვის მათ შეუძლით შეარჩიონ  
 დამატებითი მოღულები, როგორიცაა ბიზნესის ენა, ესე, უცხო ენის  
 სწავლება, კულტურა და საზოგადოება ამ ენაზე შექმნილ  
 ლიტერატურის მიხედვით და ა. შ.

კათედრა, რა თქმა უნდა, მოღულთა სწავლების სისტემას დიდ  
 ბრიტანეთსა და აშშ-ში არსებულ სისტემაზე დაყრდნობით აგებს,  
 მაგრამ, ამასთანავე, სათანადო ცვლილებები შეაქვს მასში,  
 მიუსადაგებს რა მას ქართული უმაღლესი სკოლის სტრუქტურას  
 (სწავლების 4 ან 5 წელი, დონეთა რაოდენობა, დიპლომში მათი  
 ასახვის პრინციპით და ა.შ.). სახელდობრ, ვითვალისწინებთ რა ამ  
 სპეციალობებზე შემოსულ სტუდენტთა მომზადების დონეს,  
 ვთვლით, რომ პირველი კურსის პირველ სემესტრში უნდა გაიხსნას  
 მხოლოდ **A** და **B** დონის ჯგუფები. თავიდანვე **C** დონის ჯგუფის  
 გახსნა მიზანშობნილად არ მიგვჩინია. მიუხედავად სტუდენტთა  
 სათანადო დონისა, სერიოზულ საუნივერსიტეტო მუშაობას  
 მოითხოვს გრამატიკის, ფონეტიკის, საუბრის ხელოვნებისა და სხვა  
 ასპექტების საკითხები. იმასთან დაკავშირებით, რომ სწავლების  
 ხანგრძლივობა ქსუ-ში ამ სპეციალობებზე 4 ან 5 წელია,  
 შესაბამისად გაიზრდება დონეების რაოდენობა, ასევე სავარაუდოა,  
 რომ მოიმატოს სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით  
 სწავლების ბოლო ეტაპზე შემოთავაზებული დამატებითი  
 მოღულების რაოდენობა.

სავალდებულო მოღულთა სია შემდეგია:

- A** დონის მოღულები
- B** დონის მოღულები
- C** დონის მოღულები
- D** დონის მოღულები
- E** დონის მოღულები
- F** დონის მოღულები
- G** დონის მოღულები

- Н** დონის მოდულები  
 საუბარი - მოდული  
 აუდირება - მოდული  
 კითხვა - მოდული  
 წერა - მოდული  
 პრესა - მოდული

იმ სტუდენტებს, რომლებიც უფრო ხანმოკლე ვადაში დაძლევენ საფალდებულო მინიმუმს, შეუძლიათ აირჩიონ მათთვის საჭირო მოდულები შემდეგი ჩამონათვალიდან:

1. ბიზნესის ენა
2. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა
3. თარგმნის თეორია და პრაქტიკა
4. ანოტირება, რეფერირება, რეცენზირება
5. კომუნიკაციური გრამატიკა
6. ფუნქციონალური სტილისტიკა
7. კულტუროლოგია
8. ინფორმაციული ტექნოლოგიის ენა
19. არქეოლოგია
11. საქართველოს ისტორია
12. ბრიტანეთის ისტორია
13. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია
14. უელსის ისტორია
15. ქვეყანათმცოდნეობა (ინგლისურენოვანი ქვეყნები).
16. საზოგადოებასთან ურთიერთობა (Public relations).

ცხადია დამატებითი მოდულების ათვისება უნდა აისახოს უნივერსიტეტის დამთავრების სერтиფიკატში.

ინგლისური ენის კათედრაზე მოდულებით სწავლების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მუშაობა უკვე რამდენიმე წლის წინ დაიწყო. შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც დაევალა ბრიტანეთსა და აშშ-ის უნივერსიტეტებში უცხოური ენების მოდულებით სწავლების არსებული სისტემების შესწავლა და ამ გამოცდილების საფუძველზე და, რა თქმა უნდა, ქართული უმაღლესი სკოლის თავისებურებათა გათვალისწინებით, სწავლების ს ფორმის დანერგვა ინფორმაციული ტექნოლოგიები - ინგლისური ენის, ქართული ენა, ლიტერატურა - ინგლისური ენის, ისტორია-

ინგლისური ენისა და დაწყებითი-ინგლისური ენის სპეციალობების  
A ჩატარებული მუშაობის შედეგად 1998-1999 სასწავლო წლიდან  
ინგლისური ენის კათედრა მთლიანად გადავიდა სწავლების ამ ახალ  
სისტემაზე.

ამ მიმართულებით ბოლო ოთხ წელიწადში მეტად სერიოზული  
მუშაობა ჩატარდა და სწავლების ეს ფორმა კიდევ უფრო დაიხვეწა.  
განისაზღვრა სავალდებულო და /სწავლების ბოლო ეტაპზე  
შემოთავაზებული არჩევითი მოდულები და მათი რაოდენობა.  
დაიწყო მასწავლებელთა სპეციალიზაცია დონეების მიხედვით.  
გამოიყო თითოეული მოდულის ხელმძღვანელი მასწავლებელი,  
რომელსაც ამ მოდულზე მომუშავე ჯგუფთან ერთად დაევალა  
სასწავლო პროგრამის შედგენა მოდულის მიზნების, ამოცანების,  
სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით.

თითოეული მოდულისათვის განისაზღვრა სააუდიტორიო,  
დამოუკიდებელი მუშაობისა და საკონსულტაციო საათების  
რაოდენობა. დამუშავდა მოდულებით სწავლებასთან დაკავშირებით  
კათედრაზე არსებული მასალები და ლიტერატურა. ამჟამად  
მიმდინარეობს მუშაობა პენი ერის სახელმძღვანელოზე, რომელიც  
სწორედ სწავლების ამ ფორმას შექება. რეგულარულად ეწყობა  
სემინარები, რომლებზედაც კათედრამ უკვე განიხილა წარმოთქმის,  
მოსმენის, კითხვის, წერისა და საუბრის მოდულები და მათი  
სწავლების სპეციფიკა სხვადასხვა დონეზე.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, ტემპუს-ტასისის პროექტის  
კოორდინატორებმა უელსის უნივერსიტეტის ნიუპორტის  
კოლეჯიდან და ჰოლანდიის ფონტის უნივერსიტეტიდან. მათ  
კათედრაზე ჩატარებულ ერთ-ერთ ასეთ სემინარში მიიღეს  
მონაწილეობა. სემინარის მონაწილეთა კარგად ორგანიზებულმა  
მოხსენებებმა და საკითხის შესახებ გამართულმა დისკუსიამ  
სტუმართა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

მოდულებით სწავლების სისტემაზე გადასვლამ შესაძლებელი  
გახდა უკვე ფართოდ აღიარებული სტუდენტზე ორიენტირებული  
სწავლების დანერგვა, რაც მაქსიმალურად გამოავლენს როგორც  
შედარებით სუსტ, ისე ძლიერ სტუდენტთა შესაძლებლობებს.

ცხრილი მოდულების სიტემა წლებისა და დონეების მიხედვით  
თან ერთვის.

No	მოდულების დასახელება	წე- ლი	სემე- სტრუ	დონე	საუკუ- ნტო- სათვის რაოდენობა		საკონსულ- ტოცო სათვი	დაშვილი დენტიფი- ზებარისა
					საუკუ- ნტო- სათვის რაოდენობა	საკონსულ- ტოცო სათვი		
1	წარმოადგინ საუკუნტო- მონიტორი აუდიორება	I	1,2	A,B,(C)	32+32	2+2	20+20	
		II	3,4	C,D	32+32	2+2	20+20	
		III	5,6	E,F	16+16	2+2	16+16	
		IV	7,8	g,h	16+16	2+2	16+16	
2	გრამატიკის საუკუნტო- კონტაქტური კონტაქტური გრამატიკა	I	1,2	A,B	32,32	2+2	20+20	
		II	3,4	C,D	32,32	2+2	20+20	
		III	5,6	E,F	32,+32	2+2	20+20	
		IV	7,8	G,H	32,+32	2+2	20+20	
3	ტერის საუკუნტო- დესკრიპტური ტერი ტერიტორიული ტერი ტერიტორიული ტერი	I	1,2	A,B	32,+32	2+2	20+20	
		II	3,4	C,D	32,+32	2+2	20+20	
		III	5,6	E,F	32,+32	2+2	20+20	
		IV	7,8	G,H	32,+32	2+2	20+20	
4	ინტერსური კონტა აპლებიური კონტა კონტენტური კონტა	I	1,2	A,B	32,+32	2+2	20+20	
		II	3,4	C,D	32,+32	2+2	20+20	
		IV	7,8	G,H	32,+32	2+2	20+20	
5	საუკუნტო ნეკონტა ინტენსური გრის ფუნქციები კონტა აკუსტიკი კონტროლისტიკა	I	1,2	A,B	32,+32	2+2	20+20	
		II	3,4	C,D	32,+32	2+2	20+20	
		III	5,6	E,F	32,+32	2+2	20+20	
		IV	7,8	G,H	16+16	2+2	10+10	
6	მსატერიული ტექსტის კონტა (საშეღა დონე) მსატერიული ტექსტის კონტა (საშეღა დონე) მსატერიული ტექსტის კონტა (საშეღა დონე)	II	3,4	C,D	16+16	2+2	10+10	
		III	5,6	E,F	16+16	2+2	10+10	
		IV	7,8	G,H	16+16	2+2	10+10	
7	პრენს ქა მულტიკულ II	II	3,4	C,D	16+16	2+2	10+10	
		III	5,6	(D), E,F	16+16	2+2	10+10	
		IV	7,8	(F), G,H	16+16	2+2	10+10	
8	ბინდის ქა	III	5,6	(F), G,H	16+16	2+2	10+10	

### ლიტერატურა

- Ur Penny. A Course in Language Teaching . Practice and theory. Cambridge University Press, 2001.
- Richards J. C., Lockhart Ch. Reflective Teaching in Second Language Classrooms. Cambridge University Press, 2000.

Professor Madonna Megrelashvili  
Assistant Professor Rusudan Gvilava

## ON MODULE-BASED TEACHING

### SUMMARY

Module teaching has proved to be a commonly acknowledged and well tested teaching approach in many countries. It makes university syllabi more flexible and enables students to choose modules they like and schedule their studies in accordance with their level and interests. Module-based teaching of the English language is particularly effective for reasonable language learners as they are provided with an opportunity to start learning it at any level required and further developing their language skills.

British and American Universities have a module-based system of a three-year course comprising six levels (A, B, C, D, E, F) from A - elementary to F – proficient. According to the results of testing students are graded into different levels.

To get a certificate after completing the course, it is compulsory for each student to reach F level. The duration of the course makes it possible even for students who start with A level to finish at F level in their third year. The students who start learning the language from B and C levels may reach F level earlier. They have one or two semesters free respectively and during this period can choose extra modules (Business language, Essay writing, Teaching foreign languages, Culture and Society, etc.).

The KSU English Studies Department builds its module teaching system on the basis of existing system in Great Britain amending it to fit the system to Georgian Higher Education (a 4-year study course and the principle of its certification in University diploma).

მანანა მიქაელი

## ინიციატის სრავლება საშამოო სპოლაში

ქართული ენის ზმნაში ზოგჯერ პირის ნიშანთა შებრუნებაცაა შესაძლებელი. ცალკეულ შემთხვევაში სუბიექტური პირი გადმოიცემა ობიექტის ნიშნით და ასეთ მოვლენას ინვერსია ეწოდება.

ვ-სა და მ-ს რიგების სხვაობა ქართულ გრამატიკებში ძველთა-განვე შემჩნეული იყო. ჯერ კიდევ ანტონ I ლაპარაკობდა დეფექტურ ზმნებზე. ეს იყო ობიექტურ ნიშნიანი მაქებს, გაქებს ტიპი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ინვერსიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ა.შანიძის აზრით, ინვერსია ახასიათებს გარდამავალ ზმნებს III სერიაში, იგი არ იცის გარდაუვალმა ზმნებმა. ა.შანიძისათვის გარდამავლობა და III სერია არის მიჩნეული გარდამავლობის აუცილებელ პირობად.<sup>2</sup> ა.შანიძის ამ მოსაზრებას იზიარებს ლ.კვაჭაძეც.<sup>3</sup>

ა.შანიძეს ინვერსიულად მიაჩნია აგრეთვე „მაქეს“, „მყავს“ ზმნა და ზმნისწინიანი ფორმები ( მიმაქეს, მომაქეს, მიმყავს, მომყავს).

ენათმეცნიერთა ერთ ჯგუფს ქვემდებარედ მიცემითი მიაჩნია. ესენი არიან: ნ.მარი<sup>4</sup>, ი.ყიფშიძე, დ. ჩუბინაშვილი<sup>5</sup>, ს. ხუნდაძე<sup>6</sup>, მ. ჯანაშვილი<sup>7</sup>, თ. უორდანია<sup>8</sup>, ი.ნიკოლეიშვილი, არნ.ჩიქობავა<sup>10</sup>, ვ.თოფურია<sup>11</sup>, ბ. ჯორბენაძე<sup>12</sup>, დ. მელიქიშვილი, <sup>13</sup> ნ. ნათაძე<sup>14</sup>.

„ჰყავს“ ტიპის ზმნებთან ქვემდებარედ სახელობითში დასმულ სახელს მიიჩნევდა პ.მირიანაშვილი. იგი III სერიის გარდამავალ ზმნათა ქვემდებარესაც ასე აფასებდა. იგივე შეხედულება აქვს

გაზიარებული ე.ლიოზენს, ფ.ფინკს, და მასზე დაყრდნობით განდრიესს, ა.დირს, ბ.რუდენკოს, ა.შანიძეს.

მაშასადამე, III სერიაში გარდამავალი ზმნების ინვერსიულობაზე ერთიანი აზრი არსებობს, ხოლო ზოგიერთი საშუალო გვარის გარდაუგალ ზმნებს განიხილავენ როგორც ინვერსიულად, ასევე არა-ინვერსიულად (ე.ი. შებრუნებული და პირდაპირი წყობისად).

მ-აქვს ის მე ა.შანიძის მიხედვით.

მ-აქვს მე ის არნ. ჩიქობაგის მიხედვით.

VII კლასის ქართული ენის პროგრამასა და სახელმძღვანელოში ინვერსია გათვალისწინებულია: „ზმნის ობიექტური პირისა და რიცხვის ფორმათა მართლწერის შემდეგ (ზოგადად) და ინვერსია მესამე სერიის ფორმებში“, სახელმძღვანელოში მას ეთმობა ორი პარაგრაფი და სამი სავარჯიშო.

1984 წლამდე სახელმძღვანელოს გამოცემაში ინვერსია ზმნის პირისა და რიცხვის საკითხებში არ იყო გათვალისწინებული, იგი შედიოდა ქვეთავში „III სერიის მწკრივები“.

რაც შეეხება მეთოდიურ ლიტერატურას, იგი ინვერსიის საკითხებზე მეტად ღარიბია. მ.თალაკვაძე წიგნში „ზმნის სწავლება სკოლაში“ მცირე მასალას იძლევა, უფრო ღარიბია ამავე ავტორის „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა“. პერიოდულ პრესაში ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ვ. თოფურია თვლის, რომ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს გრძნობა-აღქმის ზმნათა ინვერსიულობა, იმავე აზრს იზიარებს დ. მელიქიშვილი.

მოსწავლებს უჭირთ ინვერსიის საკითხის გაგება სერიებისა და მწკრივების შესწავლის გარეშე, თანაც ამ საკითხზე მათ დაწყებითი კლასებიდან ელემენტარული მასალის ცოდნაც არ მოჰყვებათ. არც თუ იშვიათად მოსწავლეები III სერიის ფორმებს განიხილავენ და საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას პირის ნიშანთა შებრუნებულ ფუნქციას. ინვერსიის სწავლებას პროგრამასა და სახელმძღვანელოში ადგილი უნდა დაეთმოს სერიებისა და მწკრივების შემდეგ,

ისე, როგორც ეს წინა გამოცემებში იყო.

სასურველია, მოსწავლეებს გაეცნოს ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ინვერსიის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო სწავლებაში დავეყრდნოთ ა. შანიძის მოსაზრებას, რადგან იგი შედარებით მარტივია.

ინვერსიის საკითხი განხილული უნდა იქნეს სერიებისა და მწერი-ვების შემდეგ და დაეთმოს ორი საათი. მოსწავლეებს პირთა როგორობის, რაოდენობის შემდეგ უნდა მიეწოდოს საილუსტრაციო მასალა ტაბულით, რომელზეც გარდამავალი ზმნები, ჩამოიწერება სამივე სერიის ფორმით.

- |     |       |           |           |            |
|-----|-------|-----------|-----------|------------|
| I   | სერია | ვაკეთებ   | აკეთებ    | მხატვას    |
| II  | სერია | ვაკეთე    | აკეთე     | დამხატა    |
| III | სერია | მიკეთებია | გიკეთებია | დაუხატივარ |

მოსწავლეებს დაევალებათ ზმნები მორფოლოგიურად გაარჩიონ პირების მიხედვით, რის შემდეგაც დაისმება პრობლემური კითხვა: რა შეამჩნიეთ ამ ზმნაში? მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ასეთი დიალოგი გაიმართება:

მოსწავლე: ზმნაში „ვაკეთებ“ I და II სერიაში I სუბიექტური პირი გადმოცემულია პრეფიქსით ვ-, III სერიაში კი სუბიექტური პირი პირველია და გადმოცემულია ნიშნით მ-.

მასწავლებელი: პრეფიქსი ვ-რისი ნიშანია?

მოსწავლე: პრეფიქსი ვ- არის I სუბიექტური პირის ნიშანი.

მასწავლებელი: მ- პრეფიქსი რისი ნიშანია?

მოსწავლე: პრეფიქსი მ- I ობიექტური პირის ნიშანია.

მასწავლებელი: როგორ ფიქრობთ, რა მომხდარა?

მოსწავლე: III სერიაში I სუბიექტური პირი გამოიხატა I ობიექტური პირის ნიშნით.

მასწავლებელი: პირის ნიშანთა შებრუნებით გამოხატვას ინვერსია ეწოდება. შემდეგ კი ეპილიასკოპით მიეწოდებათ ტაბულა:



აწმყოს წრე:

აწმყო: რას ვშვრები? ვწერ მე მას მას ვხატავ მე მას  
 უწვევთელი: რას ვშვრებოდი? ვწერდი მე მას მას ვხატავდი მე მას  
 აწმყოს კავშირებითი: რას ვშვრებოდე? ვწერდე მე მას მას ვხატავდე მე მას

I. Mindreys J., La Langue Grecque, 1971.

მყოფადის წრე:

მყოფადი: რას ვიზამ? მივწერ მე მას მას დავხატავ მე მას  
 ხოლმეობითი: რას ვიზამდი? მივწერდი მე მას მას დავხატავდი მე მას  
 მყოფ. კავშირებითი: რას ვიზამდე? მივწერდე მე მას მას დავხატავდე მე მას

II. Mindreys J., La Langue Grecque, 1971.

## II სერია

წკვეტილი: რა ვქნი? მივწერე მე მას ის დავხატე მე ის

III კავშირებითი: რა ვქნა? მივწერო მე მას ის დავხატო მე ის

TEACHING INVERSION AT SECONDARY SCHOOLS

## III სერია

I თურმეობითი: რა მიქნია? მიმიწერია მე ის დამიხატავს მე ის

II თურმეობითი: რა მექნა? მიმეწერა მე ის დამეხატა მე ის

III კავშირებითი: რა მექნას? მიმეწეროს მე ის დამეხატოს მე ის

are different epithets about the same kind of verbs.

მოსწავლეები უნდა გაერკვნენ, რომ ტაბულაზე III სერიაში წითელი ფერით აღნიშნული იყო ობიექტური პირის ნიშნები, მწვანით — სუბიექტურისა. მათ განემარტებათ, რომ გარდამავალი ზმნების III სერიაში ხდება პირის ნიშანთა შებრუნება, ანუ ინვერსია.

ახსნილის განსამტკიცებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ზმნების I, II, III სერიის ფორმების შედარება—შეპირისპირებისა და პირის ნიშნებზე დაკვირვების ხერხი, ამავე დროს მოსწავლეთა ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ინვერსიისათვის აუცილებელია გარდამავლობა და III სერია.

კოდოსკოპით მოსწავლეებს უნდა მიეწოდოთ წინადადებები, რომელთა ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები სხვადასხვა ფერით იქნება აღნიშნული: 1. შენს ქვიან გზებზე, აქაც და იქაც სიმართლის მეტი რა მიძებნია, თურმე რამ-

დენი სიმღერაც მითქვამს, სუყველა შენთვის დამიწერია (პ.ქვლი-  
ვიძე). 2. ჩემი ქვეყნის მთა და მდელო ნაირფერად მომიხატვული  
(მ.ფოცხიშვილი). 3. ჩემი ქვეყნის კუთხე-კუნჭული სულ იებით და-  
მიქარგვას (ს.ქვარიანი).

გამოვიყენებთ მორფოლოგიური გარჩევის ხერხს, სათითაოდ გა-  
ანალიზდება ზმნები, გაირკვევა გარდამავლობა, სერია და ინვერ-  
სიულობა.

გაკვეთილზე უნდა გაანალიზდეს 10 ზმნა მაინც. ვარჯიშობის  
შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად დაასკვნიან, რომ თუ ზმნა  
გარდამავალია, მას III სერიაში ახასიათებს ინვერსია, ანუ პირის  
ნიშანთა შებრუნება, სუბიექტური პირის ნიშნით გადმოცემულია  
ობიექტური პირი, ობიექტური პირის ნიშნით — სუბიექტური პი-  
რი.

### ლიტერატურა

1. ანტონ I., ქართული ღრამატიკა, გვ. 33.
2. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 37.
3. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, გვ. 232.
4. Mapp H., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПБ, 1908.
5. Чубинов Д., Краткая грузинская грамматика, СПБ, 1887.
6. ხუნდაძე ს., ქართული გრამატიკა, ტფ., ქუთაისი, 1904, გვ. 61.
7. ჯანაშვილი მ., ქართული გრამატიკა, ტფ., 1906.
8. უორდანია თ., ქართული გრამატიკა, ტფ., 1889.
9. ნიკოლაიშვილი ი., ქართულის მოკლე გრამატიკა, ქუთაისი,  
1912.
10. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ,  
გვ. 052.
11. თოფურია ვ., ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები,  
„ქელს“ №3, 1977.
12. ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნ-  
ქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
13. მელიქიშვილი დ., „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭი-

რი,ქელს, 1978, N4.

14. ნათაძე ნ., III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის გენერატორი, თუღში, იყე, ტ. VII, 1955.
15. Мирианашвили П., Практический курс грузинского языка, СПБ.
16. Fink F., Die Haupttypen des Sprachbaues, Leipzig, 1910.
17. Vtndryes J., La Langue, Paris, 1921.
18. Dirr A., Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928.
19. Руденко В., Грамматика грузинского языка, М., 1940.
20. ჭანიძე ა., პრეფიქსები: სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსები III პირისა ქართულ ზმებში, 1920.

**Manana Mikadze**

## TEACHING INVERSIA AT SECONDARY SCHOOL SUMMARY

In Georgian language some verbs may be inversion. In Lingvistik there are different opinion about such kind of verbs.

Methodical literature about inversia is very poor.

## თამაზ მონაცლიშვილი

### ამოცანაში არსებული სუბიექტები და ობიექტები ინფორმაციის არსი

წინამდებარე ნაშრომის მიხედვით მათემატიკურ ამოცანაში იგულისხმება სასკოლო მათემატიკის ამოცანა, რამეთუ ამ უკანასკნელის ამოხსნის სწავლების თეორიული საფუძვლების დამუშავება უშუალოდაა დაკავშირებული ამ ამოცანებში არსებულ ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათი სტრუქტურის გამოვლენასა და შესწავლასთან.

ამოცანების როლი მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაში აზროვნების პროცესის ზოგადი თეზისით განისაზღვრება. ეს თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ ამოცანის ამოხსნის მსვლელობა, უპირველეს ყოვლისა, თვით ამოცანით განისაზღვრება, რომელიც რაღაც გზებით ქმნის აზროვნების საწყის დეტერმინაციას (მიზეზობრივ განპირობებულობას), ეს კი, თავის მხრივ უცნობის ძიების ზოგადი „მიმართულების“ მიმანიშნებელია [1].

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აზროვნების დეტერმინაცია წინასწარ მთლად ამოცანით არ არის განსაზღვრული. აზროვნების დეტერმინაცია ხორციელდება როგორც პროცესი, ე.ი. მისი ფორმირება უწყვეტად ხდება ამოცანის ამოხსნის მსვლელობისას, აზროვნების პროცესის ყოველ ეტაპზე. მაშასადამე, აზროვნების პროცესი გულისხმობს ამოცანით (ობიექტით) არამარტო მის საწყის დეტერმინაციას, არამედ თვით ამ პროცესის მსვლელობისას დეტერმინაციის უწყვეტ რეპროდუქციას.

დიდი ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე აღნიშნავს: „ამოცანა თავისთავად, მექანიკურად როდი ახდენს განსაზღვრელ გავლენას ცნობიერების მუშაობაზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება,

როდესაც სუბიექტი მიწოდებული ამოცანის გადაჭრას მართლა  
სერიოზულად იღებს თავის თავზე. ამის შემდეგ ცნობიერებამისუ  
ეწყობა, რომ მასში ჩვეულებრივი ასოციაციური ტენდეცია ძალას  
კარგავს და თავის ადგილას ახალ ტენდეციას, ე.წ. „დეტერმინაცი-  
ის ტენდეციას“ უთმობს“ [2, 443].

ცნობილი ფსიქოლოგი კ. სლავსკაია თავის ნაშრომში „აზროვ-  
ნების პროცესის დეტერმინაცია“, ხსნის რა დეტერმინიზმის პრინ-  
ციპის არსს, აღნიშნავს: „დეტერმინიზმის პრინციპი გამომდინარე  
იქიდან, რომ გარეგანი მიზეზები მოქმედებენ შინაგანი პირობების  
მეშვეობით, ადგენს ნებისმიერი მოვლენისა თუ პროცესის გარეგა-  
ნი და შინაგანი პირობების გარევეულ თანაფარდობას; იგი კვლე-  
ვის ზოგად-მეთოდოლოგიური პრინციპია ცოდნის ნებისმიერ დარ-  
გში, ნებისმიერ მეცნიერებაში“ [3, 175].

დეტერმინიზმის პრინციპი განიხილავს გარეგან მიზეზებსა და  
შინაგან პირობებს მათ დიალექტიკურ ურთიერთკავშირში. შინა-  
განი პირობები (შექმნილი გარეგანი პირობების ზემოქმედებით)  
განსაზღვრავს აქტიურობას, ცვლის რა ამით გარეგან პირობებს,  
მოქმედებს მათზე. შინაგანი და გარეგანი პირობების თანაფარ-  
დობა იცვლება მათი ურთიერთქმედების მსვლელობის პროცესში.

შინაგანი პირობები ახდენს რა ზემოქმედებას გარეგან პი-  
რობებზე, ჩვენს შემთხვევაში კი ამოცანის (როგორც ობიექტის)  
პირობებსა და მოთხოვნაზე, საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავ-  
წვდეთ ამოცანის ტექსტს მისი ამოხსნის თვალსაზრისით, რისთვი-  
საც შეიძლება გამოვიყენოთ ამოცანის მოთხოვნის ანუ სხვანაი-  
რად ჩამოყალიბების ხერხი (პარადიგმის პრინციპი). აქ განმსაზ-  
ღვრელია გარეგანი და შინაგანი პირობების ურთიერთკავშირების  
განხილვა და ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება შემეცნების შე-  
დეგზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა დაკვირვებებმა და მოსწავლეთა მიერ  
მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პროცესის ანალიზმა გვიჩვე-  
ნა რომ, ახდენს რა ამოცანა აზროვნების პროცესის დეტერმინაცი-  
ას, განსაზღვრავს სააზროვნო პროცესის უწყვეტად მიმღინარეობის  
გარეგან პირობებს. ეს პირობები ყალიბდება მოსწავლის მიერ ამო-  
ცანის „მიღების“ შემდეგ „ადამიანს რომ აზროვნების პროცესში

სწორედ შესაფერისი, სწორედ მიზანშეწონილი აზრები უჩნდება,  
ამას არსებითად უფრო აქტიური ხასიათი აქვს, ვიდრე პასიურო  
საფუძვლად ამას სუბიექტის მიერ ამოცანის აღიარება, ამოცანის  
გადაჭრის გადაწყვეტილება, ე.ი. ნებელობის აქტი უდევს [2, 444].

თავის მხრივ, აზროვნების პროცესის შინაგანი სვლა განისაზ-  
ღვრება ამოცანის შინაგანი სტრუქტურით, რომელიც ვლინდება  
ანალიზის, სინთეზის, ბაზისის განზოგადებისა და მისი ამოხსნის  
ხერხის ძიების შედეგად. შინაგანი სტრუქტურა, განსაზღვრავს რა  
ამოცანის ამოხსნის სტრატეგიას, ზემოქმედებს გარეგან პირობებზე,  
რითაც ახორციელებს მოსწავლის აზროვნების დეტერმინაციას ში-  
ნაგანი პირობების მეშვეობით გარეგან პირობებზე. ამოცანის  
ამოხსნის შინაგანი და გარეგანი სვლების ასეთი ურთიერთქმედების  
საფუძველზე მოსწავლეებში თანდათანობით ხდება მათვის შე-  
თავაზებული ტიპის ამოცანების ამომხსნელი ხერხების ფორმირება.

ამოცანის ამოხსნის პროცესისათვის დამახასიათებელი ფსიქო-  
ლოგიური პრობლემები, იმ პირობებიდან გამომდინარე, რომლებიც  
აუცილებელია წარმატებული ევრისტიკული ძიებისა და შემოქმე-  
დებითი აზროვნების ფორმირებისათვის, ყოველმხრივ განიხილება  
ლ. გუროვას წიგნში „ამოცანის ამოხსნის ფსიქოლოგიური ანალი-  
ზი“ [4]. მასში აგრეთვე მოცემულია ამოცანის ამოხსნის პროცესის  
ძირითადი ცნებების ფსიქოლოგიური ანალიზი.

თავის გამოკვლევაში ლ. გუროვა მეცნ საზღვარს არ ავლებს  
ამოცანისა და პრობლემური სიტუაციის ცნებებს შორის. ამასთან,  
მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე  
ცნება ორი მნიშვნელობით იხმარება: „ამოცანა (ისევე როგორც  
პრობლემური სიტუაცია) შეიძლება განხილულ იქნას ობიექტუ-  
რად, თავისი ლოგიკური მახასიათებლებით, იმის მიუხედავად, შე-  
უდგა თუ არა მის ამოხსნას ვინმე, იგი შეიძლება არსებობდეს  
სუბიექტის აზროვნებაში“ [4, 10].

ბოლოს თქმული ნიშნავს, რომ ადამიანი ან თვითონ „წააწყდა“  
ამოცანას და ცალკე გამოყო პრობლემური სიტუაცია, ან, თუ მას  
ეს ამოცანა შესთავაზეს, „მიიღო“ იგი ე.ი., არსში გაერკვა, თავისი  
შესაძლებლობებს შეუსაბამა და მის ამოხსნას დათანხმდა, თავისი  
მოღვაწეობის მიზნად აქცია. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ



ლ. გურიოვა იძლევა ამოცანის ცნების შემდეგ განსაზღვრებას: ამოცანა არის გონიერი მოღვაწეობის ობიექტი, რომელიც რაიმე პრაქტიკული ხასიათის გარდაქმნაზე ან თეორიულ კითხვაზე პასუხის გაცემის მოთხოვნას შეიცავს იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც ცნობილ და უცნობ ელემენტებს შორის არსებული კავშირების (მიმართებების) გახსნაში გვეხმარება. ამასთან, იგი უშვებს, რომ ამოცანის ამოხსნის პროცესის ფსიქოლოგიურმა ზნალიზმა უნდა გაითვალისწინოს მისი ობიექტური ხასიათი, რაშიც ამოცანის შინაარსი, მისი სირთულე, ადგილი ამოცანათა სისტემაში და სხვა იგულისხმება.

შემდეგ განიხილება ამოცანის ზოგიერთი ლოგიკური მახასიათებელი, მასში არსებული ინფორმაციის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რადგან ეს გარემოება, პირველ რიგში, მნიშვნელოვან კვალს ამჩნევს მისი ამოხსნის პროცესსზე. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ნებისმიერი ამოცანა, როგორც ობიექტი, ორი ინფორმაციის - სუბიექტურის და ობიექტურის შემცველია.

ამოცანაში არსებული სუბიექტური ინფორმაცია განიხილება როგორც თითოეული მოქმედების შემეცნებითი შედეგი (ამოცანის მიმართ), რომელსაც შეგნებული მიზანი გააჩნია.

ამოცანაში მოთავსებული ობიექტური ინფორმაცია ვლინდება ამოცანის ამოხსნის ლოგიკური სვლის დროს და, აქედან გამომდინარე, განისაზღვრება მისი ლოგიკური სტრუქტურის მიხედვით.

ამოცანის სუბიექტურ ინფორმაციის რეალური სუბიექტი ავლენს, ხოლო ობექტურს - აბსტრაქტული (სუბიექტი).

აბსტრაქტული და რეალური სუბიექტების მოქმედებები ერთმანეთისაგან იმ ზომით განსხვავდება, რა ზომითაც განსხვავდება ამოცანის ამოხსნის ლოგიკური და ფსიქოლოგიური სვლები. ეს ცნებები საკმაოდ სჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთიმეორებზე. ამიტომ ამოცანის ირგვლივ არსებული ობიექტური და სუბიექტური ინფორმაციები იდეალურ შემთხვევაში შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს ან, რეალურ შემთხვევებში, წარმოშვან შეუსატყვისი ფორმების სიმრავლე. ამის გამო აზროვნების ფსიქოლოგიაში გამოყოფენ ინ-

ფორმაციის ორ მნიშვნელობას: სუბიექტურსა და ობიექტურს. მაგ-  
რამ ამოცანის ამოხსნის, როგორც სუბიექტის ობიექტთან ურთი-  
ერთქმედების შედეგის დასახასიათებლად, მხედველობაში შეიძ-  
ლება იქნას მიღებული ამ ცნების შუალედური ან სინთეტიკური  
მნიშვნელობებიც.

აქედან გამომდინარე, ამოცანათა თეორიის შესამუშავებლად,  
აუცილებელია გამოვიყვლიოთ ამოცანის ამოხსნის ობიექტური ლო-  
გიური სტრუქტურა ამოხსნის სუბიექტურ ფსიქოლოგიურ სტრუქ-  
ტურასთან შეპირისპირებით, რადგანაც მათ შორის ადგილი აქვს  
გარკვეულ ურთიერთკავშირებს. ამდენად, აზრი აქვს ვილაპარა-  
კოთ „ამოხსნის ობიექტურ ლოგიკას“ და „ამოხსნის სუბიექტურ  
ლოგიკაზე“. ამ ცნებების შემოღება შეიძლება გამართლებულ იქ-  
ნეს იმით, რომ ისინი წარმოადგენს მეცნიერებაში „თან მიყავს“  
ამოცანის ცნებისა და ამოცანაში მოთავსებული ინფორმაციის  
ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტებად თეორიული დაყოფის შე-  
დეგს.

საერთო ჯამში, ლ. გუროვა აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ  
კაცობრიობის მიერ შემუშავებული მეცნიერების ლოგიკასა და  
მასში შემავალი ამოცანების ლოგიკას მთლიანობაში „თან მიყავს“  
მათი ამოხსნისა და სწავლების პროცესები. აზროვნების ფსიქო-  
ლოგიაში ეს დებულება აქსიომადაა მიღებული.

ამოცანის სუბიექტური სტრუქტურა (განსაზღვრული მისი პი-  
რობებითა და მოთხოვნით) მიღებულია იწოდებოდეს ამოცანის ინ-  
ფორმაციულ სტრუქტურად, რომელიც საშუალებას გვაძლევს ამო-  
ცანები განვასხვაოთ მათი ფსიქოლოგიური სირთულის (პრობლე-  
მურობის) ხარისხის მიხედვით.

ამგვარად, ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში არ არსებობს ერთნა-  
ირი შეხედულება ამოცანის ცნების შესახებ. მაგრამ, იქიდან გა-  
მომდინარე, რომ ამოცანა თავის თავში შეიცავს როგორც სუბიექ-  
ტურ, ისე ობიექტურ ინფორმაციას, წარმოჩინდება ამ საკითხის  
გადაწყვეტისადმი თრი განსხვავებული მიღვომა.

პარეგლი მიღვომა გამოიხატება იმაში, რომ ამოცანა განიხილება,  
როგორც იმ „გარევანი სიტუაციის ასახვა“, რომელშიაც ხდება  
სუბიექტის მიზანმიმართული მოღვაწეობა. ამოცანა არ არსებობს



პრობლემური სიტუაციის გარეშე. ასე მაგალითად, ფსიქოლოგიური გ. ბალლი, ა. ლეონტიევი, ი. პონომარიოვი, კ. სლავსკაია და უზვები ამოცანას განხილავენ როგორც პრობლემურ სიტუაციას, რომელშიც უნდა იმოქმედოს სუბიექტიმა. ერთი რომელიმე სუბიექტისათვის შედგენილი ამოცანა, შეიძლება მეორე სუბიექტისათვის ამოცანას არ წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში შეუძლებელია ამოცანათა ობიექტური შეწავლა სუბიექტის მოღვაწეობის განხილვისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ ასეთი მიღომით შეუძლებელია მათი ამოხსნის პროცესების შესწავლა.

შეორე მიღომა გამოიხატება იმაში, რომ ამოცანა წარმოიდგინება, როგორც „შინაგანი მოღვაწეობის სიტუაცია“, რომელიც შეიძლება გაანალიზდეს და აღიწეროს მოღვაწეობის განმახორციელებელი სუბიექტებისაგან დამოუკიდებლად.

ისეთი ფსიქოლოგები, როგორებიცაა ა. ბრუშლინსკი, ა. მატიუშკინი, ლ. ფრიდმანი და სხვები ამოცანისა და პრობლემური სიტუაციის ცნებებს ერთმანეთისაგან განაცალკევებენ მათი უფრო ღრმად გაანალიზების თვალსაზრისით. ასეთი მიღომით, ამოცანა განხილება, როგორც რთული ობიექტი (სისტემა), რომელიც თავის დასახასიათებლად სუბიექტის ჩარევას არ საჭიროებს. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ამოცანათა ობიექტური შესწავლა სუბიექტისაგან დამოუკიდებლად მოვახდინოთ [5].

ამოცანის ცნებისადმი მეორენაირი მიღომა არ უარყოფს იმას, რომ სუბიექტის აზროვნებაში ამოცანა შეიძლება არსებობდეს ობიექტურად, სხვა გარეგანი ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად.

ამოცანის ცნების ფსიქოლოგიური ანალიზის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ამოცანათა ამოხსნის ძეგბის თეორიული საფუძვლების დამუშავებაში ამოსავალ მომენტს წარმოადგენს ამოცანაში მოთავსებული ობიექტური ინფორმაცია მასში არსებულ სუბიექტურ ინფორმაციასთან ურთიერთკავშირში.

აღნიშნულთან მიმართებით განხილულია აზროვნებისა და ამოცანის ამოხსნის პროცესის ურთიერთკავშირი. გახსნილია დეტერმინიზმის პრინციპის არსი, რომელიც ადგენს სუბიექტის მიერ ამოცანის ამოხსნის დროს ამოცანის პირობებით და მოთხოვნით განსაზღვრულ მიზეზობრივ ურთიერთკავშირს აზროვნების პროცესის

  
შინაგან სცლასა და გარეგან პირობებს შორის. ამოცანის ცნებისადმი  
ფსიქოლოგიური მიღვომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამოცანა  
ნა განიხილება როგორც ობიექტური საწყისი პრობლემური სიტუ-  
აცია, ამოსავალი თანაფარდობა პირობასა და მოთხოვნას შორის  
[3].

ა. მატიუშკინის მიხედვით, ცნებები „პრობლემური სიტუაცია“  
და „ამოცანა“ სხვადასხვა ფსიქოლოგიური რეალობების აღმნიშ-  
ვნელი პრინციპულად განსხვავებული ცნებებია [6, 82]. ამოცანის  
ცნებაში ის არ მართავს მოქმედ პირს - სუბიექტს. სუბიექტი არ  
არის საჭირო ამოცანის ცნების განსაზღვრებისათვის იმდენად, რამ-  
დენადაც ამოცანა თავის სტრუქტურის მიხედვით არის სიტყვიერი  
ან ნიშნობრივი ფორმით ობიექტურად მოცემული ურთიერთდა-  
მოკიდებულება პირობასა და საძიებელს შორის. ამიტომ მის მიერ  
ამოცანა განიხილება, როგორც ერთი ადამიანის მიერ მეორისადმი  
(ან თავისი თავისადმი) დავალების წარდგენის ნიშნობრივი ხერხი,  
რომელიც მიზნისაკენ მიმმართველ მითითებებსა და მისი მიღწე-  
ვის პირობებს მოიცავს.

პრობლემურ სიტუაციას ა. მატიუშკინი განიხილავს როგორც  
სუბიექტისა და ობიექტის გონიერივი ურთიერთქმედების განსა-  
კუთრებულ სახეს. იგი ხასიათდება დავალების შესრულებისას წარ-  
მოშობილი ისეთი ფსიქიკური მდგომარეობით, რომელიც სუბიექ-  
ტისაგან ადრე ნაცნობი ცოდნისა და მოქმედების ხერხების მო-  
ძიებას (აღმოჩენას ან ათვისებას) მოითხოვს. თუ ა. მატიუშკინი  
ამოცანას განიხილავს როგორც ობიექტურად მოცემულს (სუბიექ-  
ტის შეხედულების მიუხედავად) და სიტყვიერი ან ნიშნობრივი ფორ-  
მით ჩამოყალიბებულ თანაფარდობას პირობას (პირობებსა) და სა-  
ძიებელს შორის, მაშინ პრობლემურ სიტუაციას ის განიხილავს  
როგორც სუბიექტისა და ობიექტის აზრობრივი ურთიერთქმედების  
განსაკუთრებულ სახეს. პრობლემური სიტუაციის ფსიქოლოგიუ-  
რი სტრუქტურა მოიცავს ინტელექტუალური მოღვაწეობისადმი  
ადამიანის შემცნებით მოთხოვნილებას, უცნობ ცოდნას ან მოქ-  
მედების ხერხებს, ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს  
მის შემოქმედებით უნართან და წარსულში შეძენილ გამოცდი-  
ლებასთან ერთად [6, 193].

ამოცანა უმთავრესად სირთულის ხარისხით ხასიათდება, ხოლო  
პრობლემური სიტუაცია - სიძნელის ხარისხით. პრობლემური კიდე  
ტუაციის მთავარი მახასიათებლებია: ა) უცნობის სიახლისა და  
განზოგადების ხარისხი; ბ) მოსწავლეთა ინტელექტუალური შე-  
საძლებლობები.

ამოცანის სუბიექტური და ობიექტური ინფორმაციების არსის  
განხილვისას ნაჩვენებია, რომ თუ სუბიექტური ინფორმაცია გან-  
საზღვრავს ამოცანის ფსიქოლოგიურ ამოხსნას, მაშინ ობიექტური  
- მისი ამოხსნის ლოგიკურ სტრუქტურას. ამასთან დაკავშირებით,  
ასენილია ამოცანის ცნებისაღმი ორივე მიღების არსი, რომლებიც  
იმაზე მიუთითებს, რომ ამოცანა ორი სახის ინფორმაციას (სუბიექ-  
ტურსა და ობიექტურს) ატარებს.

### ლიტერატურა

1. Брушлинский А.В. Психология мышления и кибернетика, М.: Мысль, 1970, - 202с.

2. უზნაე დ., შრომები. ზოგადი ფსიქოლოგია. ტ. III-IV. გამომც „აღმაშენებელი“, თბილისი, 1998; -637 გვ.

3. Славская К. А. Детерминация процесса мышления (Исследование мышления в советской психологии. - М.: Наука, 1965, с. 175-224)

4. Гурова Л.Л. Психологический анализ решения задач. - Воронеж: Изд - во Воронежск. ун-та, 1976. - 314с.

5. Фридман Л.М. Логико - психологический анализ школьных учебных задач. - М.: Педагогика, 1977. - 208с.

6. Матюшкин А.М. Проблемные ситуации в мышлении и обучении М.: Педагогика, 1972-196с.

Tamaz Moralishvili

## THE STRUCTURAL FRAMEWORK OF SCHOOL MATHEMATICAL SUM

### SUMMARY

The role of a mathematical problem in development of pupils' thinking process is determined by a general thesis. The Thesis means that the process of solving the mathematical problem, first of all, is determined by the sum itself which makes a primary determination of thinking process.

The principle of determinism includes external causes and internal conditions of the object and their dialectical interconnections. We consider that any mathematical problem (as well as object) includes two types information-subjective and objective information. The Subjective information existing in the mathematical problem is considered to be the cognitive result of the separate operation which has a definite purpose. The objective information of the mathematical problem is expressed with the logical process of doing the sum, and therefore, is determined by its logical structure. The real subjective information is expressed with the real subject and the objective information – with the abstract subject. The article discusses the essence of subjective and objective information. It shows that the subjective information determines psychological solving of the mathematical problem. And objective information determines its logical structure. So, a mathematical problem consists of two types of information – subjective and objective information.

## აფთანდილ ნანაფა

### განათლების მნიშვნელობის ძირითადი მიმართულებები

საზოგადოებრივი ცხოვრების ინფორმატიზება და მასთან დაკავშირებული კომპიუტერული ტექნიკის ფართოდ გავრცელება, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს განათლების შინაარსზე, საწავლო - აღმზრდელობითი პროცესის ყველა მონაწილეს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს სწავლების ახალი ტექნიკური საშუალებები, ხელს უწყობს განათლების სისტემის მართვის ამოცანათა გადასაწყვეტი, ახალი ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების შექმნას.

ამ კონტექსტში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები (აიტ) და კომპიუტერული განათლება;
2. აიტ და პროფესიული განათლება;
3. აიტ და სწავლების შინაარსის გარდაქმნა;
4. აიტ და სწავლების მეთოდების განვითარება;
5. კომპიუტერი, როგორც შრომის იარაღი;
6. აიტ და განათლების სისტემის მართვა.

ინფორმატიზების აშკარა გამოვლინებას, განათლების არსის ცვლილებაში, სასწავლო დისკიპლინების ახლებურად ჩამოყალიბება წარმოადგენს. თანამედროვე ინფორმატიკა ფუნდამენტური, მეცნიერული და სასწავლო დისკიპლინაა, რომელიც მათემატიკასთან, უცხო ენასთან და სხვა დისკიპლინებთან ერთად უზრუნველყოფს მომავალი თაობის უნივერსალური ინტელექტუალური შესაძლებლობების ფორმირებას. მასთან ერთად ყალიბდება გამოყენებითი ინფორმატიკა, როგორც ადამიანის საქ-

მიანობის სხვადასხვა სახის ერთობლიობა, რომელიც ახალი გვი-  
ფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან არის დაკავშირ-  
ებული. ამიტომ სასწავლო დაწესებულების ყველა კურსდამთავ-  
რებულმა უნდა განსაზღვროს ით-სადმი თავისი კონსტრუქციუ-  
ლი დამოკიდებულება, მზად იყოს ით-ის შემოქმედებითად გა-  
მოყენებისათვის.

არჩევენ კომპიუტერული ტექნიკის სამი დონის მომხმარებელს: კომპიუტერულად გაცნობიერებული, კომპიუტერულად განათლებული და კომპიუტერის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებული.

კომპიუტერულად გაცნობიერებული გულისხმობს: კომპიუტერის ძირითად მოწყობილობებზე ზოგადი წარმოდგენას, კომპიუტერუ-  
ლი ტექნიკის გამოყენების სფეროებისა და ძირითადი შესაძ-  
ლებლობების ცოდნას, კომპიუტერთან მარტივი დიალოგის გამოც-  
დილებას. კომპიუტერული განათლება კი გულისხმობს: კომპიუტერის მომხმარებლის მომზადებას, დაპროგრამების ძირითადი პრინცი-  
პების ცოდნას, კომპიუტერის ინსტრუმენტალური გამოყენების უნარს ( ტექსტების მომზადება და დამუშავება, ინფორმაციის შე-  
ნახვა და ძიება, გამოთვლების წარმოება და სხვა).

განსაკუთრებულ დონეს - კომპიუტერის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება წარმოადგენს. რაც გულისხმობს: კომპიუტერის პროფე-  
სიულ დონეზე გამოყენებას კონკრეტულ საგნობრივ სფეროში, რის-  
თვისაც ინფორმატიკის საბაზო მომზადება უნდა ითვალისწინებდეს:

\* კომპიუტერის არქიტექტურის ცოდნას, მოწყობილობათა მუ-  
შაობის პრინციპებისა და მათი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვე-  
ნებლების შესწავლას. მიზანი - შევასწავლოთ კომპიუტერის გა-  
მოყენების ეფექტურობისა და ეკონომიკური ფაქტორების გათვა-  
ლისწინებით ათ-ის პოტენციური შესაძლებლობების შეფასება.

\* გამოთვლითი მათემატიკისა და მოდელირების საფუძვლების შეს-  
წავლას. მიზანი - თანამედროვე მათემატიკური მოდელებისა და ალ-  
გორითმების პრინციპულ შესაძლებლობებზე საიმედო წარმოდგე-  
ნის ფორმირება.

\* პრაქტიკული დაპროგრამების დაუფლებას. მიზანი - პრაქტიკუ-  
ლი ამოცანების დაპროგრამების შესაძლებლობა, დაპროგრამების  
თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა და რთული პროგრამული

კომპლექსების შემუშავებისა და ექსპლოატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტებზე წარმოდგენა.

საბაზო მომზადება ინფორმატიკაში ქმნის საფუძველს სხვადასხვა დისციპლინების სწავლებაში კომპიუტერების ფართოდ გამოყენებისათვის; ხელს უწყობს არჩეული სპეციალობის ფარგლებში აიტ-ის გამოყენების პროფესიული ხერხების ათვისებას; ინფორმატიკის სპეციალისტების მომზადებას.

უმაღლეს სკოლაში უწყვეტი კომპიუტერული განათლების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს ინფორმატიკის კურსების მრავალფეროვნებას (რაც დღეს ჩვენ ფაქტობრივად არა გვაქვს), სადაც ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას სტუდენტთა პროფესიული და კულტურული თავისებურებებიც, მათი თვითგანათლების სპეციფიკა. კომპიუტერის გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყველა (როგორც თეორიულ, ასევე ექსპერიმენტულ) სფეროში, წარმოების პროექტირებისა და მართვის პრაქტიკაში დღევანდელი ცხოვრების ნორმის წარმოადგენს. ეს პროცესი სტიმულირებს აიტ-ის კომპონენტების გამოჩენას პრაქტიკულად ყველა დისციპლინის სასწავლო მასალაში. ამის მაგალითებია:

\* ტექსტური და ტექსტურ-გრაფიკული მასალის მომზადება;

\* ნახაზებისა და სხვა რთული გრაფიკული ინფორმაციის მომზადება, წარმოების პროექტირებისა და მართვის პრაქტიკაში დღევანდელი ცხოვრების ნორმის წარმოადგენს. ეს პროცესი სტიმულირებს აიტ-ის კომპონენტების გამოჩენას პრაქტიკულად ყველა დისციპლინის სასწავლო მასალაში. ამის მაგალითებია:

\* საინფორმაციო-საძიებო სამუშაოების წარმოება;

\* ავტომატიზებულ კომპლექსებში შემავალი ლაბორატორიული ექსპერიმენტის შედეგების დასამუშავებლად კომპიუტერის გამოყენება;

\* კომპიუტერის გამოყენება სხვადასხვა პროცესებისა და მოვლენების მოდელირებისათვის, მანქანური ექსპერიმენტების ჩასატარებლად;

სწორედ ინფორმატიზების ეს მიმართულებები უნდა დაედოს საფუძვლად უმაღლეს სკოლაში სწავლების შინაარსს. მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლებაში აიტ-ის გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა ზოგადი განათლების ახალი აუცილებელი კომპონენტის- ინფორმაციული კულტურის ფორმირებას.

სწავლების შინაარსზე ინფორმატიზების გაცილებით ღრმა ზე-  
გავლენა დაკავშირებულია ზოგად მეთოდოლოგიურ პროცესებთან დამაკა-  
როველიც ვლინდება პრაქტიკაში მეცნიერული ცნებების დინამი-  
კური სისტემების, ამ სისტემებთან დაკავშირებულ მონაცემთა და  
ცოდნათა ბაზების გამოყენებაში. ინფორმატიზება აქ, როგორც შე-  
მეცნებითი პროცესი წარმოდგება, რომელიც მსოფლიოს ერთიანი  
ინფორმაციული მოდელის ფორმირებაში, განცალკავებაში და  
მხარდაჭერაში გამოიხატება.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში აიტ-ის გამოყენება გა-  
ნათლების ინფორმატიზების პროცესის ყველაზე თვალსაჩინო და  
მრავლის აღმქმელი განსახიერებაა. უმაღლესი სკოლის მუშაობის  
პრაქტიკაში აიტ-ის დანეგვა რთული პედაგოგიური, ორგანიზაცი-  
ული და ტექნიკური პრობლემაა. ამ საკითხის გადაწყვეტა უმაღ-  
ლესი სკოლის ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნასთან არის და-  
კავშირებული. ახალი ტექნიკური და მეთოდური საშუალებების  
გამოყენება თვითმიზანი კი არ უნდა გახდეს, არამედ საშუალება,  
რომლის დახმარებითაც მოხდება სასწავლო-აღმზრდელობითი  
პროცესის სრულყოფა.

სასწავლო პროცესში აიტ-ის გამოყენების კონცეპტუალურად  
ახალ მიმართულებას წარმოადგენს ე.წ. „კომპიუტერული პედა-  
გოგიკა“. კომპიუტერული პედაგოგიკის უმნიშვნელოვანეს პერსპექ-  
ტიულ ამოცანას წარმოადგენს სასწავლო დისციპლინების ძირი-  
თაღი განყოფილებების ავტომატიზებული სასწავლო და მასწავ-  
ლი სისტემების სპექტრის შემუშავება. კომპიუტერული პედაგო-  
გიკის მეორე პერსპექტიულ მიმართულებას კომპიუტერული შე-  
მოქმედება უნდა წარმოადგენდეს.

სწავლების მეთოდების ჩამოყალიბებისა და განვითარების პრინ-  
ციპულად ახალი პორიზონტები იშლება კომპიუტერული ქსე-  
ლებისა და ელექტრონული ფოსტის სამეცნიერო და სასწავლო  
ინფორმაციის ცენტრალიზებული ბაზების, კომპაქტ-დისკებზე მო-  
ნაცემთა ლოკალური ბაზების, ინტერაქტიული ვიდეო სისტემების  
ფართოდ დანერგვით. ერთიან მეთოდურ კომპლექსში ამ საშუა-  
ლებათა გაერთიანება უწყვეტი განათლების სისტემის ხარისხობრი-  
ვად ახალ რესურსს წარმოადგენს. წამოჭრილი პედაგოგიური

პრობლემის სირთულე და სიღრმე მოითხოვს ისეთი ტექნიკური /  
ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის, როგორიცაა: ტექნიკური  
კური საშუალებების ექსპლოატაციური სამედოობა, ინფორმაცი-  
ის მძლავრი მატარებლების მისაწვდომობა, საბაზო პროგრამულ  
საშუალებების ხარისხი და ასორტიმენტი და ა.შ.

ყოველ ტექნოლოგიას განვითარებისათვის, სპეციალური კულ-  
ტურული გარემო სჭირდება. აიტ-ის ბუნებრივ კულტურულ პარა-  
დიგმას თანამშრომლობის პედაგოგიკა წარმოადგენს, რომელიც კი  
არ ზღუდავს პედაგოგისა და სტუდენტს შორის აღამიანურ კონ-  
ტაქტს, არამედ ქმნის ხელსაყრელ პირობებს მათი გაფართოებისა  
და გაღრმავებისათვის.

თანამედროვე კულტურის ახალ ელემენტს, ამა თუ იმ საგ-  
ნობრივი სფეროსათვის, არასპეციფიკური შემოქმედების უნივერ-  
სალური სახის კომპიუტერული უზრუნველყოფა წარმოადგენს. მათ  
განეკუთვნება: თვლა, წერა, ხატვა, კომუნიკაცია, ინფორმაციის  
შეგროვება, შენახვა და ძიება. თითოეული ეს ფუნდამენტური უნა-  
რი ვითარდება და ტექნიკურად გარდაიქმნება აიტ-ის ზემოქმე-  
დების შედეგად. დღესდღეობით კომპიუტერის გამოყენების უკვე  
ჩამოყალიბებულ ფორმის წარმოადგენს: ელექტრონული ცხრი-  
ლები, ტექსტების რედაქტორები, გრაფიკული რედაქტორები, მო-  
ნაცემთა ბაზები, ტელეკომუნიკაციის საშუალებები.

სწრაფი ტემპით ვრცელდება კომპიუტერის მასობრივი გა-  
მოყენების ხერხები ელეტრონული ენციკლოპედიების, მონაცემთა  
კომერციული ბაზების, ახალი ამბების ჯგუფების და სხვათა სახით.  
ე.ი. დღესისათვის კომპიუტერი და შესაბამისად აიტ, უკვე გახდა  
თანამედროვე ცხოვრების მძლავრი შრომის იარაღი, ჩვენი ყოველ-  
დღიური მოღვაწეობის ნაწილი, მომავალი თაობის ინფორმაციულ  
სამყაროსთან ზიარების ყველაზე ბუნებრივი ფორმა.

მართვის სისტემების სრულყოფის სამუშაოების მნიშვნელოვან  
შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს: კომპიუტერული სისტემების  
გამოყენება განათლების მართვის ამოცანათა გადაწყვეტაში, მო-  
ნაცემთა მანქანური დამუშავების სისტემების გამოყენება სასწავ-  
ლო დაწესებულებათა ცხოვრების დემოკრატიზების საქმეში, გა-  
ნათლების სისტემის განვითარების გეგმების საფუძლიანობის ზრდა

და ა.შ.

უნდა შეიქმნას ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები სამართლებული კუთხით რომელთა დანიშნულებაა სასწავლო დაწესებულების მართვა. მაგალითად, ინფორმაციული, ორგანიზებული მართვის ტრადიციული ამოცანების გადასაწყვეტი სისტემები (ანგარიშსწორება და განათლების სისტემის ინფორმაციული მოდელის ფორმირება, პედაგოგიურ კადრებზე მოთხოვნათა განსზღვრა, ფინანსური ანგარიშები და სხვა), შიდასაუნივერსიტეტო მართვის სისტემები. ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემები დაეხმარებიან პედაგოგებს სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობების სრულად გათვალისწინებაში, რაც დაზოგავს დროს. მნიშვნელოვან ეფექტს მოგვცემს ინტეგრირებული ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების შემუშავება, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებსა და მართვის ტერიტორიულ ორგანოებს.

### ლიტერატურა

- ჩახანიძე გ., განათლების სისტემის ინფორმატიზაციის პოლიტიკა და მისი პრობლემა, საქ.პედ.მეცნ.აკად. მოამბე №1, თბილისი, 1998.
- ჩხარტიშვილი თ., სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, უურნალი „ინტელექტი“ №2, თბილისი, 1998.
- ნანავა ა., ვ.ქელბაძიანი, თ.მაისურაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა უწყვეტი კომპიუტერული განათლების ეტაპები, უურნალი, „ინტელექტი“ № 1, თბილისი, 1997.
- ნანავა ა., ქელბაძიანი ვ., სასკოლო ჰუმანიტარული განათლების ინფორმატიზების ზოგიერთი საკითხისათვის, უურნალი „ინტელექტი“ № 2, თბილისი, 1997.
- ნანავა ა., ქელბაძიანი ვ., მაისურაძე თ., განათლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხისათვის, უურნალი „ინტელექტი“ № 3(6), თბილისი, 1999.

## SUMMARY

Computing of Community life and the distribution of computer Technology makes significant influence on the semantics of Education and makes it possible to all the participants of upbringing and Educational process use teaching and learning bew technical means. It also stimulates the constructio of automated informational system, which solve educational tasks.

In this respect we can pant out the following basic trends: 1. New means of Informatio Technology ( NMIT) and computer educatio; 2. NMIT and proffesional education; 3. NMIT and innovation the semantics of education; 4. NMIT and the development of teaching methods; 5. Using computer as a tool; 6. Computer and management of educational system.

Nino Nijaradze

## COMMUNICATIVE LANGUAGE TEACHING AND ELT IN GEORGIAN STATE SCHOOLS

### I Communicative Language Teaching

It is not easy to identify the principles that enable all the different techniques and procedures practiced all over the world have a claim to being communicative. In fact Nunan (1989) speaks about the term communicative approach being a “misnomer” as it is more a family of approaches than a single approach. According to Holliday (1994a p.167) a methodology can claim to be communicative on the grounds that

- a) it aims to lead the learners towards communicative competence
- b) it teaches language as communication
- a) Hardly anyone would argue today against the first of these principles.

It would be difficult to find an approach or method still practiced in language teaching that would hesitate to claim communicative competence as their main objective. However the interpretation of communicative competence has proved to be quite problematic. CLT, being to a certain degree a reaction against the focus on grammatical competence, has led to particular emphasis on sociolinguistic competence,<sup>1</sup> in some cases to the degree of totally abandoning teaching grammatical structures. The view that CLT is not concerned with teaching grammar is still widely held among language teachers. However this view is increasingly treated as a misconception about the nature of CLT

Achieving communicative competence in the target language depends on the knowledge and skills that every learner brings to the classroom. His/her competence in the first language and experience in communication can and need to be employed in the process of learning. This leads Swan (1985) to point to the danger of using a “tabula rasa” attitude towards language

learners. This view of the learner is often recognized as fundamental to CLT to the extent that according to Holliday (1994a, p.169) approaches ignoring it cannot be considered communicative at all.

b) The view that language is to be taught as communication is responsible for many of the practices typically associated with CLT. If communication is to be an essential part of language teaching and learning, it is obvious that classroom activities should replicate some of its main characteristics. As real-life interaction is based on conveying, interpreting, negotiating meaning, always presented in context, CLT strives to incorporate all these features. Message-focus has become central to communicative methodology leading to emphasis on fluency, change of attitude towards student errors, employing games, role-plays, information transfer, information and opinion gap activities, pair and group work, i.e. techniques that create increased opportunities for interaction. However the attitude towards the importance of communication in language learning can differ and this is the basis of the distinction Howatt draws between weak and strong forms of CLT.

The weak form of CLT is described as “learning to use” (Howatt, 1984 p.279) and typically it guides learners to free communication through the progression of activities from more controlled towards more communicative.

The strong form of CLT claims that language is acquired through communication i.e. it implies “using English to learn it” (Howatt, 1984 p.279). This view of learning has led to development of syllabuses planned around tasks and not the language items. Thus the strong view of CLT would incorporate task-based approaches, which are very widespread in the modern ELT world. In Howatt’s interpretation “learners must use their communicative capacities in order to learn a new language” (p.287). In this sense strong version of CLT relies on learners’ existing knowledge and skills much more than weak approach.

There is one more definition of communicative methodology which differs from the ones discussed so far and which I would like to briefly touch upon. According to Waters and Hutchinson (1984) CLT is a methodology “geared to the competence and expectations of those participating in the learning process”(p.108) Learner-centredness is often seen as an important characteristic of communicative methodology. However Waters and Hutchinson argue that “learning-centredness” is a more appropriate aim

for CLT and the needs of other parties involved in the process (teachers, institution, educational system and society at large) are equally worth considering. Neglect of this view can be held responsible for failure of CLT in many social contexts as is the case with Georgian education system.

## 2. CLT and Georgian Context

Several studies focusing on what actually happens in foreign language classrooms have discovered that the effects of CLT are surprisingly insignificant. This is definitely the case with CLT in Georgian state schools. There are many social, economic and even political reasons that make the success of CLT in the Georgian context doubtful but I will mainly concentrate on the problems at the level of the school and the teacher.

In Georgia CLT has long been a topic of a lot of discussion, of many in-service and pre-service teacher training courses and is generally recognized as the most effective and innovative approach to teaching English. In spite of a lot of prestige attached to CLT it has had very little influence on the way the language is taught, as is probably obvious from a brief discussion above. Although many teachers find it "professionally soothing to go through the motions of up-to-date talk" it "remains divorced from the reality and practice of the classroom" (Holliday, 1994).

Although not all the teachers in Georgia have had equal opportunities for training and retraining in CLT (in rural areas almost none at all), these courses have failed to produce desired results throughout the country. So I do not think the increase in the number of such opportunities would considerably change the situation.

One reason for Georgian teachers' unwillingness to encourage communicative activities and free interaction in class is that they are unsure of their own ability to successfully manage such exchanges and provide answers and necessary feedback without previous planning and preparation. The majority would be unable to provide *all* the explanations and comments in English throughout the lesson and this is perceived as essential for CLT. Thus the need to maintain strict control of the process is supported not only by the tradition, but also by the teachers' need for maintaining face. Besides as Holliday (1994) points out teacher authority in TESEP contexts stems from sources other than precise classroom management (p.6). Little knowledge and experience of necessary management skills makes the teachers hesitant to use pair and small group work. Awareness of the

### 3. Being Communicative in a Georgian Classroom

Even this very brief and tentative outline shows that many of the techniques of the most widespread form of CLT would be impossible to implement at this stage in the Georgian school system. However a broader look at the principles underlying communicative methodology could suggest some ways of improving the state of language teaching there. For this purpose I would like to draw on the strategic framework for L2 teaching suggested by Kumaravadivelu (1994). The author briefly discusses "communicative methods" (p.29) identifying them with what is most likely a weak form of CLT. He argues in favour of a shift from the traditional idea of methods to "postmethod condition" characterized by 'teacher autonomy' and 'principled pragmatism'. Although he claims that "macrostrategies are theory neutral and method neutral" (p.32), it could be argued that they are compatible with the philosophy and principles of communicative methodology as outlined in the first part of this paper.

I will not discuss the framework as a whole but concentrate on some of the macro-strategies that I believe can co-exist with the practices accepted in ELT in Georgia and lead to a certain improvement of the system.

#### a) Activate Intuitive Heuristics

The idea of inductive learning is not new and is often used in grammar teaching within CLT. Instead of providing the grammar rule and an explanation (as it is usually done in Georgian classes) the student would be required to infer a rule on the basis of some textual data. Kumaravadivelu refers to empirical studies demonstrating the favourable effect of self-discovery on comprehension and retention.

Many characteristics of this strategy could clearly be applied in a Georgian school. Individual students, pairs or small groups, according to teacher's preference, can do the activity. If it is at some stage turned into a pair or group work, there is no need for the teacher to closely monitor interaction as native language use can be allowed during the discussion. The students could be asked to report back producing the rule in English (depending on their level of proficiency and mastery of metalanguage). A traditional grammar exercise can be used to test the students understanding and the ability to apply the rule.

The teacher maintains the status as s/he is dealing with the area s/he is familiar with and is more likely to have answers to students' questions. For these reasons I believe that the inductive approach could be successfully combined with more traditional ways of teaching grammar in Georgian schools. At the same time the inductive approach has more potential for encouraging active participation of the learners.

Although almost exclusively concerned with form such activities can be considered communicative as they draw greatly on learners' previous knowledge and experience with language. They are valuable as they imitate to a certain extent the process of hypothesis formation, testing and revising that is natural for L1 acquisition. Besides a language item is more likely to be presented in context and thus be meaningful, the concept that is directly related to another of the macrostrategies identified by Kumaravadivelu.

b) Contextualize linguistic input

Referring to a number of studies on complex interrelations between phonological, syntactic, semantic and pragmatic features of language Kumaravadivelu (*ibid*) emphasises the importance of drawing learners' attention to the integrated nature of language through contextualizing linguistic input. Among the ways of creating contexts for meaning-making in the classroom he lists problem-solving tasks and discourse-based activities. However it has been argued that taking a broader view of tasks and employing them not only for creating context but also as main tools for promoting learning, can be particularly beneficial for ELT in TESEP. Coleman (1987) and Holliday (1994) both come to this conclusion faced with situations, which have a lot in common with Georgian state schools: similar tradition of language teaching, the same traditional role of the teacher, many of the same constraints of time, space, resources. Interestingly, they both suggest that the strong version of CLT is more compatible with the needs of TESEP institutions than a more widespread weak version. Holliday's (1994) main argument is that the strong form relies less on the interaction between the students or even between the teacher and the students. Learners can benefit equally from their communication with a text<sup>2</sup> provided that the text is rich in terms of the possibilities for learning it creates. As discussion of inductive learning has demonstrated a text can be used as the main input to activate learners' intuitive heuristics. Cleverly structured follow-up activities can contribute further to raising students' language awareness and lead to

Of course the use of a text in instruction can take a more complex form than employing it to induce a grammar rule. Burns (2001) describes a genre-based approach to writing using the example of a lesson on writing a job application letter. The task is that the students construct their own application letters in response to the job advertisements provided by the teacher. The input is presented in the form of a sample letter. Based on this model students try to induce the schematic structure and layout of such letters. Here discourse features of the text are the focus of the lesson, but grammatical structures need also to be considered to complete the task successfully. Thus texts can be put to varied uses serving as sources of information about language structures as well as content. Students asked to carry out information transfer tasks, solve problems in the text, produce a piece of writing or oral presentation based on the textual input, are involved in active interaction throughout.

Teaching procedures could probably vary and be adapted to particular teacher and students' needs. More complex tasks will probably require more help from the teacher. Indeed in the lesson described by Burns (2001) the teacher guides the students with questions, points out the most distinctive features of the text (e.g. typical grammatical structures) that might have escaped learners attention. Much of this work however can be made redundant if follow-up activities are well-designed.

Using tasks built around texts also removes some other constraints I have touched upon above. In Burns (*ibid*) the task is performed in small multilingual groups and naturally all the interaction is in English. However in a Georgian school a similar task could be done by individual students or in pairs and groups with no restriction on L1 use. It would still be an effective strategy as the students are actively communicating with the text at all the stages and possibly planning the final product that will be delivered in target language. Coleman (1987) outlines advantages of monodyadic, polidyadic, intergroup and intragroup interaction and although much of the negotiation between students is done in their L1, it is not considered a problem as throughout the activity the students have to do a great deal of reading. Holliday (1994) makes a similar point.

Although pair and group work do not seem to pose so much threat under these conditions, the teacher could still have the choice of having

students work individually without jeopardising the outcome of the task.

Coleman (1987) when looking at various modes of interaction within tasks identifies interaction between a learner and a text as highly predictable. Whatever the advantages of a certain degree of unpredictability in language learning activities, I would see this predictability as a very positive trait with respect to the Georgian context. This could be a way of overcoming teachers' resistance that is due to their insecurity about their language proficiency.

Finally I would like to emphasise the particular importance of task design in this approach. As the development of the students' proficiency is achieved mainly through the texts they communicate with, materials designers will have a crucial role to play, especially considering the teachers' lack of time and expertise.

The ideas I have discussed can only serve as a very tentative suggestion to be looked at, revised and developed further. On the surface they do not seem very different from the traditional approach, as many of its features (serious attention to grammar teaching, focus on reading, teacher's role) will be maintained. However if carefully designed, such activities will allow teachers to try out new techniques, e.g. small group and pair work, when focusing on more familiar and less threatening areas. More importantly they can increase students' interest and involvement by activating more of their previous knowledge and skills and encouraging them to invest more in suggesting and testing different hypotheses and ideas. This could be a way to more learner autonomy. The argument that such changes will at least add some variety to what is at the moment a very predictable, monotonous and boring process is also of some value.

## REFERENCES

- Burns A. (2001) "Genre-based approaches to writing and beginning adult ESL learners" in Candlin C.N. and Mercer N. (eds.) *English language teaching in its social context*. Sydney:Routledge
- Canale, M. and Swain, M. (1980) "Theoretical Bases of Communicative Approaches to Second Language Teaching and Testing" *Applied*

## კლენჯ ტიძეკოფა

მარტივი ტინადაღებების სრავლების ღინდებისტური საჭუპლები  
(რუსული, რეზონც არამშრაბლიურ ჰაშ)

არამშობლიური ენის სწავლების მეთოდიკის ერთ-ერთ ყველაზე, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მარტივი წინადადებების, როგორც „მეტყველების მთლიანი ერთეულის, აზრის ფორმირების, გადმოცემისა და განზოგადოების საშუალების“, სინტაქსის სწავლება. არამშობლიური ენის დაუფლებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მარტივი წინადადებების წყობის ცოდნას, რადგანაც სინტაქსური კონსტრუქციები იმ სფეროს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ხდება მეტყველების განხორციელება. სწორედ წინადადებაში, გარკვეული კომბინაციებით შემოდიან სიტყვები. ყველა თანამედროვე სინტაქსურ კონცეფციაში წინადადება გაიაზრება, როგორც სინტაქსის ცენტრალური ობიექტი.

წინადადებების შესახებ ეს მოძღვრება ჯერ კიდევ პირველი თეორიული ნაშრომის შექმნის დროიდან არსებობს. მაგრამ წინადადების გააზრება ამ დროის მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე სინტაქსში არსებობს სხვადასხვა. შეხედულება წინადადებაზე, როგორც რამდენიმე გარკვეულწილად დამოუკიდებელი აგებულების კომპლექსზე. მარტივი წინადადება წარმოადგენს ელემენტარულ ერთეულს, რომლის დანიშნულებაა შედარებით დასრულებული ინფორმაციის გადმოცემა;

ლინგვისტიკის ამოცანაა, გაარკვიოს წინადადება მხოლოდ ენის ერთეულია, თუ იგი მეტყველების ერთეულსაც წარმოადგენს. სლავურ ენათმეცნიერებაში სინტაქსთა უმრავლესობა წინადადებას გა-

ნიხილავს, როგორც ენისა და მეტყველების ერთეულს. ცნობილი არა უცულია კი მათ ეს მიზანი აღნიშნავდა, რომ წინადადებზე განეკუთვნება მთლიანად მეტყველების, არამედ თავისი ჩვეულებრივი ფორმით დაკავშირებულია ენის სისტემასთან. დასავლეთის სინტაქსისტები წინადადებას განიხილავენ, როგორც მეტყველების ერთეულს, რომელის იქმნება მოსაუბრის მიერ საუბრის პროცესში.

ტერმინი „წინადადება“ რუსულ ლინგვისტიკაშიც არაერთგვაროვნად განიხილება. ჩვენ ვეყრდნობით ა.ა.შახმატოვისა და ვ.ვ.ვინოგრადვის კონცეფციის (რომელიც წინადადებას განიხილავდნენ, როგორც მეტყველების ერთეულს) და საფუძვლად ვლებულობთ მარტივი წინადადების იმ განსაზღვრებას, რომელიც წარმოდგენილია წიგნში „რუსული გრამატიკა 80“. მარტივი წინადადება „არის გამოთქმა, რომელიც წარმოდგენილია სპეციალურად ამისთვის განკუთვნილი სქემის მიხედვით, გააჩნია პრედიკატულობის გრამატიკული მნიშვნელობა და საკუთარი სემანტიკური სტრუქტურა, გამოხატავს ამ მნიშვნელობებს სინტაქსურ ფორმათა სისტემაში ( წინადადების პარადიგმაში) და აქვს კომუნიკაციური ამოცანა, რომლის გაღმოცემაშიც ყოველთვის მონაწილეობს ინტონაცია“.

მოცემულ განსაზღვრებაში ყურადღება გამახვილებულია გრამატიკულ საფუძველზე, სწორედ თავისი გრამატიკული ნიშნების გამო, რაც მოდელირების საშუალებას იძლევა, წინადადება მიღებულ იქნა, როგორც ძირითადი სასწავლო-კომუნიკაციური ერთეული.

წინადადების შესწავლის ყველა არსებული ასპექტიდან (სტრუქტურული, სემა-ტიკური, სიტყვათა სინტაქსური კავშირი, სიტყვათა თანმიმდევრობა, ინტონაციური) ჩვენ გამოვყოფთ სტრუქტურულს, რადგან სწორედ ეს ასპექტია ყველაზე აუცილებელი არამობლიური ენის შესწავლის პროცესში. თუ მოსწავლემ ამით გამოიმუშავა წინადადების აგების ჩვევები, იგი ისარგებლებს რუსული ენით, როგორც ურთიერთობის საშუალებით. წარმოდგენა წი-

ნადადებაზე, როგორც სქემაზე (განყენებულ ნიმუშზე), იძლევა კონკრეტული წინადადების აგების, მისი ლექსიკური შევსების საშუალებას.

საერთო შეხედულება წინადადების სტრუქტურულ სქემაზე არ არსებობს. ზოგი ლინგვისტი (ნ.ი. შვედოვა, ს.ი. კოკორინა) მკაცრად იცავს გრამატიკურ საფუძველს და იზიარებს ფორმალურ შეხედულებას წინადადებებზე. მათი აზრით, წინადადების სქემად ითვლება გაუვრცობელი სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია გრამატიკული მთლიანობა. სხვა შეხედულების მიხედვით, წინადადების სტრუქტურულ სქემას უნდა გააჩნდეს არა მხოლოდ გრამატიკული, არა-მედ ინფორმაციული სისრულეც (ე.გ. ადმონი, ი.პ. რასპონსოვი, პ.ა.-ლეკანტი).

ბ.ა. ბელოშაპკოვა განიხილავს სტრუქტურულ სქემებს მინიმალურ და გაფართოებულ ვარიანტებში.

წინადადების გაფართოებული სტრუქტურული სქემის ცნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს წინადადების შინაარსობრივი მხარის აღწერისათვის. მაგრამ სიტუაციის მონაწილეთა კავშირის ხასიათი წინადადების გაფართოებულ სტრუქტურულ სქემაში მხოლოდ ძალზე განზოგადოებულ ასახვას იძენს. წინადადების აგების ისეთი წესების ფორმულირებისათვის, რომლებიც გადმოსცემენ განსაზღვრულ, მოცემულ ინფორმაციას და ასახავენ სიტუაციის მონაწილეთა ურთიერთკავშირის კონკრეტულ ტიპს, საჭიროა ნიმუშის მეტი კონკრეტიზაცია. ამ კონკრეტიზებულ ნიმუშს, სტრუქტურული სქემისაგან განსხვავებით, ეწოდება წინადადების კომპლექსური ნიმუში. კომპლექსური ნიმუში უნდა შეიცავდეს გაფართოებული სქემის კომპონენტების გარკვეულ სემანტიკურ დახასიათებებს. ამრიგად, გაფართოებული სქემა წარმოადგენს უფრო სრულ სტრუქტურულ მოდელს, ნიმუშს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იმ რეალური წინადადებების აგება, რომლებსაც ექნებათ სემანტიკური ავტონომიურობა და რომლებიც შეასრულებენ გარკვეული მოვლენის, სიტუაციის, მდგომარეობის ფენჯურიას.

(ბელოშაპკოვა ვ.ა. 1980 ).

ჩვენი ახტით, რუსული ენის უფრო ეფექტური სწავლების სწავლების მინიჭებული ნით, მარტივი წინადაღების მინიმალურ მოდელად შესაძლებელია ისეთი კონსტრუქციების მიღება, რომელიც უდრის მის სტრუქტურულ სქემას და რომელიც გაიაზრება არა მხოლოდ როგორც ფორმალური გრამატიკული ცენტრი (რომელიც ემთხვევა მარტივ გაუცრცობელ წინადაღებას), არამედ როგორც კომუნიკაციურად და ინფორმაციულად საკმარისი გრამატიკული მინიმუმი, რომელიც პრედუქაციულ ცენტრთან ერთად შეიცავს წინადაღების ინფორმაციული მთლიანობისათვის აუცილებელ ელემენტებს. სტრუქტურული სქემის ამგვარი გააზრება უფრო ახლოსაა სამეტყველო პრაქტიკასთან.

მარტივი წინადაღების სინტაქსის კონცეფციათა საფუძველზე აუცილებელია ისეთი მეთოდური მოდელის შექმნა, რომელიც მოგვცემდა რეალურ საფუძველს რუსულის, როგორც არამშობლიური ენის, სწავლებისათვის .ე.ი. გამოავლენდა ურთიერთკავშირს განზოგადოებული, სისტემატიზირებული ენობრივი მასალის ცოდნასა და მეტყველების სახეობის უნარ-ჩვევებს. შორის.

უკანასკნელ დროს ენათმეცნიერებაში წინადაღება სულ უფრო აქტიურად შეისწავლება არა მხოლოდ მისი ფორმალური აგებულების, არამედ მისი „შინაარსობრივი ფორმის“ ორგანიზაციის მხრივაც. წინადაღების აზრი განისაზღვრება მეტყველების კონკრეტული სიტუაციით, იმ პირობით, რომელშიც იმყოფებიან მოსაუბრე და საუბრის ადრესატი.

ამრიგად, წინადაღების ანალიზის დროს სემანტიკურ ასპექტში იგი შეისწავლება, როგორც ენის ერთეული და არა როგორც საკუთრივ მეტყველების ერთეული. მეცნიერების ამ დარგის ამოცანას წარმოადგენს წინადაღებების შინაარსობრივი ორგანიზების ტიპების გამოვლენა. მოცემული მიმართულება წარმოდგენილია ტ.პ. ლომტევის, გ.ა. ზოლოტოვასა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მკვლევარი თავისებურად ახდენს ამ მიმართულების იდეის რეალიზებას, ყველა ნაშრომში



გამოიკვეთება ინტერესი წინადადების მნიშვნელობის, მისი შესულებულობის და ინფორმაციული უნივერსიტეტის ანობის მიმართ. მაგრამ წინადადებების ორგანიზაციაში არის ისეთი მხარეც, რომლის გარკვევა შეუძლებელია საკუთრივ ამ წინადადებების ფარგლებში. მისი გავეგბა შესაძლებელია მხოლოდ იმ სამეტყველო სიტუაციის, კონტაქტის მოშველიებით, რომელშიც მოცემული წინადადება ფუნციონირებს, როგორც ინფორმაცია, ეს არის წინადადებების კომუნიკაციური ასპექტი. იგი განისაზღვრება სამეტყველო კონტაქტით, ამ კონტექსტში შექმნილი კომუნიკაციური ამოცანით, რომლის შესაბამისადაც წინადადება იღებს სიტყვათა ამა თუ იმ წყობას, ამა თუ იმ ფრაზულ მახვილს. ამიტომ ერთი და იგივე წინადადება, რომელსაც გააჩნია გარკვეული ფორმალური მოწყობა, სხვადასხვა კომუნიკაციური ამოცანის მქონე განსხვავებულ სამეტყველო სიტუაციებში ქმნის რამდენიმე კომუნიკაციურ ერთეულს.

ამრიგად, მარტივ წინადადებას რუსული ენის გრამატიკის შესწავლის პროცესში წამყვანი როლი ეკისრება. ი.ა. ზიმნაია მიღის დასკვნამდე, რომ სწავლების ძირითად ობიექტს უნდა წარმოადგენდეს მარტივი თხრობითი წინადადებების სტრუქტურა, ხოლო მისი ფორმირების პროცესი ხორციელდება თანდათანობით-დაწყებული წინადადებების ნაწილებით, შემდგომ იმის სრული სტრუქტურის დამუშავებითა და მისი რეალიზაციით (ზიმნაია ი.ა. 1969).

პრაქტიკული გრამატიკის შესწავლა გულისხმობს არამშობლიური ენის თავისუფალ ფლობას და განიხილავს რუსული ენის მარტივ წინადადებას, როგორც ენის ძირითად ერთეულს, რომელიც მეტყველებაში ფუნქციონირებს.

სასწავლო მასალაში წინადადებების სტრუქტურული სქემის შეტანის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი ლექსიკურ-მორფოლოგიური შევსების შესაძლო ვარირება და მის საფუძველზე გრამატიკული და კომუნიკაციურ-აზრობრივი ვარიანტების შედეგა.

1. Русская грамматика, М., 1980.
2. Белошапкова В.А. Синтаксис, М., 1977.
3. Локант П.А. Современный русский литературный язык, М., 1988.
4. Зимняя И.А. Психологическое обрение иностранным языкам в школе., М. 1991.

Тимакова Е.М.

**МЕТОДИКА ОБУЧЕНИЯ РУССКОМУ ЯЗЫКУ  
КАК ИНОСТРАННОМУ**

(ЛИНГВИСТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ОБУЧЕНИЯ РУССКОМУ  
ПРОСТОМУ ПРЕДЛОЖЕНИЮ В НАЦИОНАЛЬНОЙ АУДИТОРИИ)

**РЕЗЮМЕ**

Основное внимание в статье уделяется вопросу обучения русскому простому предложению. Структуре простого предложения - главная тема практического синтаксика. Основным положением, на которое опирается обучение практической грамматики с позиций коммуникативной лингвистики, в работе признается рассмотрение предложения функциональной единицей не только языка, но и речи.

## თამარ ღვინიანიძე

### თავისუფალ თემებზე მუშაობა VII-VIII კლასებში

მოსწავლეთა მეტყველების განვითარების მიზანია გამომდინარეობს სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საერთო ამოცანებიდან, რაც გადაწყვდება სწავლებისა და აღზრდის ერთიან პროცესში.

მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებანი:

1. ლექსიკური მარაგის გამდიდრება,  
ლიტერატურული ენის ნორმების დაუფლება,
2. გრამატიკული წყობის ათვისება,
3. აზრის ზეპირ თუ წერილობით ფორმაში გაბმულად გადმოცემის ჩვევებისა და უნარის განვითარება,

განსაკუთრებული მნიშვნელობა მეტყველების განვითარების ამოცანის გადაჭრაში ენიჭება VII-VIII კლასებს, რადგან ამ პერიოდში ისწავლება სინტაქსისა და პუნქტუაციის სისტემატური კურსი.

დასახელებულ კლასებში რეკომენდირებულია შემდეგი სახის სამუშაოების ჩატარება.

1. პუბლიცისტური ხასიათის ტექსტის შინაარსის დაწერილებითი ან მიახლოებული გადმოცემა აღწერილობითი ელემენტებით,
2. მორალურ-ეთიკური ხასიათის ტექსტების შინაარსის გადმოცემა,
3. პუბლიცისტური ხასიათის თხზულება აღწერის ელემენტებით,
4. თხზულება-განსხვა მორალურ-ეთიკურ თემებზე,
5. თხრობითი ხასიათის თხზულებები აღწერისა და განსხვის ელემენტებით,

6. შესწავლილი მხატვრული ტექსტების შინაარსის გაღმოცემა,
  - ანალიზი,
  7. ლიტერატურული გმირის დახასიათება.
- VII-VIII კლასებში რეკომენდირებულია შემდეგი თავისუფალი თე-  
მბი:

8. ჩემი სამშობლო („ჩემი ხატია სამშობლო“, „სამშობლო დე-  
დის ძუძუი...“, „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“ და სხვ.);
9. ქართველი ხალხის გმირულ-ისტორიული წარსული („ვაჟა-  
ცობა სიკვდილზე ძლიერია“, „გმირები ბრძოლაში იბადებიან“ და  
სხვ.);
10. სასკოლო წლები შესანიშნავია („1 სექტემბერი - ცოდნის  
დღეა“, „ცოდნა სინათლეა“, „დაუგიშყარი შეხვედრა“ და სხვა);
11. ვინ მინდა ვიყო („ყველაზე საჭირო პროფესია“, „ჩვენ პა-  
სუხს ვაგებთ მომავალზე“ და სხვ.);
12. ჩემი საყვარელი წიგნი, მწერალი, პოეტი, ლიტერატურული  
გმირი.

თხზულებათა ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, პირობითია. VIII  
კლასის მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, აგრეთვე, რეფერატის შედ-  
გენა ისტორიულ-ლიტერატურულ თემაზე, ლიტერატურულ-კრი-  
ტიკული სტატიის, კონსპექტის ან თეზისური გეგმის, განცხადებისა  
და ავტობიოგრაფიის დაწერა.

გაბმული მეტყველება თავისთავში შეიცავს სამ ერთმანეთთან  
თვისობრივად განსხვავებულ კომპონენტს, რომლებიც მის სხვა-  
დასხვა მხარეს გამოსახავს: შინაარსობრივს, ლოგიკურ-კომპოზი-  
ციურსა და ენობრივს. თითოეული მათგანის სრულყოფას განსა-  
კუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მეტყველების შინაარსობრივ მხარეზე მუშაობის ორგანიზაცია  
გულისხმობს:

1. წამყვანი იდეურ-მორალური ცნებების გაღრმავებას, რაც აუ-  
ცილებელია თხზულების თემის გასახსნელად,
  2. ფაქტობრივი მასალის მოგროვება-დახარისხებას
  3. თხზულების ანალიზისა და ძირითადი თემის ფორმულირების  
უნარის სრულყოფას
- თუ გვსურს მოსწავლემ გახსნას თემა თხზულებისა „გმირები

ჩვენს გვერდით არიან“, სწორად უნდა წარმოიდგინოს, რომ გვარი გაბედული მოქმედება არ შეიძლება იყოს გმირული, რომ სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, მოწინავე იდეალებისადმი ერთგულება და გმირობა ერთმანეთთან განუყრელ კავშირშია.

თავისუფალ თემებზე თხზულებების დაწერისათვის მზადების პერიოდში გრძელდება იმ ცნებების ფორმულირება და გაღრმავება, რომლებიც ქმნიან მსოფლმხედველობისა და ზნეობრიობის საფუძველს.

მეტყველების კულტურის ფორმირება VII-VIII კლასებში დიდადა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. გრამატიკული ნორმებისა და კატეგორიების ცოდნა აუცილებელი პირობაა აზრის წერილობით თუ ზეპირ ფორმებში გამოსახატავად“!

აუცილებელია თხზულებების მომზადებას დავუკავშიროთ სალექსიკონო-ორთოგრაფიული მუშაობა, რომელიც ტარდება ქართული ენის გაკვეთილებზე. ყურადღება უნდა მივაქციოთ წერითი სამუშაოების ენობრივ გაფორმებას.

მეტყველების განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრა დიდადადა დამოკიდებული თავისუფალ თემებზე მუშაობის დაგეგმვის ხარისხზე.

წარმოვადგენთ სანიმუშო გეგმას.

სევტემბერი - VII კლასი - თხრობითი ხასიათის თხზულებები აღწერის ელემენტებით (კარგად ნაცნობი ადამიანის - დახასიათება).

VIII კლასი - თხზულება - მსჯელობა ცოდნის მნიშვნელობის შესახებ.

ოქტომბერი - VII კლასი - პუბლიცისტური ხასიათის თხზულება ამა თუ იმ ადგილის აღწერის ელემენტებით (ქალაქის, სოფლის, დაბის ქუჩის და სხვ.).

VIII კლასი - თხზულება ადამიანზე, რომელსაც გვინდა რომ ვგავ-დეთ.

ნოემბერი - VII კლასი - პუბლიცისტური ხასიათის თხზულება ადგილმდებარეობის აღწერით.

VIII კლასი - თხზულება ადამიანის ცხოვრების, შრომისა და გმირობის შესახებ.

დეკემბერი - VII კლასი - თხზულება-განსჯა (ანალიზის ელემენტებით) მშობლიური მხარის, ბუნებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების შესახებ.

VIII კლასი - თხზულება სამშობლოზე, მშობლიურ მხარეზე.

იანვარი - VII კლასი - პუბლიცისტური ხასიათის თხზულება რომელიმე ძეგლის აღწერაზე.

VIII კლასი - თხზულება-განსჯა წიგნის მნიშვნელობის შესახებ.

თებერვალი - მარტი - VII კლასი - თხზულება-გამოხმაურება წიგნზე. შინაარსის გადმოცემა მორალურ-ეთიკურ თემებზე.

VIII კლასი - თხზულება პროფესიის არჩევის შესახებ.

აპრილი-მაისი - VII კლასი - თხზულებანი მორალურ-ეთიკურ თემებზე, ომის გმირებზე.

VIII კლასი - შემაჯამებელი თხზულება.

VII კლასში თავისუფალ თემაზე რეკომედირებულია შესრულდეს ექვსი თხზულება, ამასთან, ერთი - კლასგარეშე კითხვის ხარჯზე, VIII კლასში შვიდი თხზულება (ერთი - კლასგარეშე კითხვის ხარჯზე).

VII კლასში მოსწავლეთა მეტყველების განვითარებაზე მუშაობას ვიწყებთ თხრობით პირადი შთაბეჭდილებების შესახებ. ასეთ თხზულებათა თემის გახსნისათვის არ არის საჭირო მასალის სპეციალური შესწავლა, აუცილებელია მხოლოდ მისი შერჩევა და სისტემატიზაცია, ამიტომ მზადების პროცესში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს აგებულებას, კომპოზიციასა და ენობრივი გაფორმების ზოგად საკითხებს (მოცემულ შემთხვევაში არ არის საჭირო სპეციალური ლექსიკა და განსაკუთრებული სინტაქსი).

ასეთი თხზულება ატარებს დიაგნოსტიკურ ხასიათს და ეხმა-რება მასწავლებელს მოსწავლეთა ენობრივი მომზადების დონისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების გარკვევაში.

მორალურ-ეთიკურ თემაზე (საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან) თხზულების დაწერისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ლიტერატურული გმირის დახასიათების გამოცდილება.

თხზულება - განსჯაში ადამიანის შესახებ, რომელსაც სურთ

თუ მემვიდეკლასელები ამშემავებენ თხზულებას - „წიგნი, რომლის შესახებაც მსურს მოვითხროთ“, მე-8 კლასში მათ უფრო ძნელი სამუშაო აქვთ შესასრულებელი - პასუხის გაცემა კითხვაზე - „წიგნის როლი ადამიანის ცხოვრებაში“.

ამზადებს რა მოსწავლეებს წიგნის შესახებ თხზულება-გამოხმაურების დასაწერად, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა დაეყრდნოს ლიტერატურის თეორიაში შეძენილ ცოდნასა (თემა, იდეა, სიუჟეტი, კომპოზიცია და სხვ. და ლექსიკურ-ორთოგრაფიულ მომზადებას.

თავისუფალი და პუბლიცისტური საწერი თემების მიზნობრივად დამუშავების სწავლებისათვის სპეციალური გეგმების ნაცვლად უმჯობესია შემუშავდეს გეზის მიმცემი კითხვები, რომლებიც ერთგვარად გეგმის ფუნქციასაც ასრულებს და, მეორე მხრივ, გარკვეულ ლოგიკურ მიმართულებას აძლევს თხზულების დამწერს. მაგალითად, თუ გვსურს მოსწავლეებმა დაწერონ თხზულება „ჩემი საყვარელი გმირი“, რეკომენდირებულია მათ მივცეთ შემდეგი შინაარსის კითხვები: რატომ მომწონს ეს გმირი? რა გარემოში ან რისი /ვისი/ გეოხებით ჩამოყალიბდა გზირის მსოფლმხედველობა და ხასიათი? რომელ ეპიზოდში ან ვისთან /რასთან/ მიმართებაში ვლინდება ყოველივე ეს? რომელ დადებით პერსონაჟებს გვაგონებს ჩვენი გმირი თავისი ქცევით? რა ღირებულება აქვს თანამედროვე პირობებში ჩვენი გმირის იდეალებს, ქცევებსა და ხასიათს?

მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ თხზულება: „ჩემთვის კარგად ნაცნობი ადამიანი“, რომლის დაწერის წინ, რეკომენდირებულია კლასის ლექსიკურ-ორთოგრაფიული მომზადება შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით:

1. ჩვეულებრივად, რომელი სიტყვებით აღწერენ ადამიანის გარებრივობას? (მაღალი, საშუალო სიმაღლის, გამხდარი, მსუქანი და სხვა);

2. რომელი სიტყვებით შეიძლება აღვწეროთ სახე? (ფართო, გრძელი, გამხდარი, მსუქანი, შავგვრემანი, ფერმკთალი და სხვა);

3. რომელი სიტყვები გამოიყენება თვალებისა და თმების აღსაწერად? (თაფლისფერი, დიდი, მრგვალი, გამომხატველი, ეშმაკი,

ნაღვლიანი, გრძელი, ხვეული, მოკლე, ჩალისფერი, შავი და სხვ.).  
4. რომელი სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ ადამიანის ჩამოვალობა? (ფაქტი, სუფთა, დაუდევარი, უგემოვნო, გემოვნებით და სხვ.).

სიტყვების ჩაწერისას ყურადღება უნდა მიექცეს მართლწერას, სინონიმებისა და ანტონიმების შერჩევას.

ეს მოსამზადებელი გაკვეთილი შეიძლება დავასრულოთ ზეპირი სამუშაოთი. მაგალითად, მოსწავლეებს დავავალოთ: 1) აღწერონ რომელიმე ამხანაგის გარევნობა პიროვნების დაუსახელებლად, 2) მოგვითხრონ თავისი ნაცნობის ყველაზე დამახასიათებელი თვისებები, 3) შეადარონ ორი ნაცნობის მეტყველება და სხვ.

საწერ თემებად შეიძლება შევთავაზოთ: „გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ“, „მოუსვენარი გულის ადამიანი“, „ეს შესანიშნავი ადამიანი“, „ჩემი საყვარელი მსახიობი“ და სხვა. მათი შესრულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ დაეყრდნონ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების შთაბეჭდილებებს და სხვ.

მოგვყავს თხზულების ნიმუში.

ჩემი საყვარელი მსახიობი

„ერთხელ უფროსების საუბარს შევესწარი და ასეთი სიტყვები ჩამრჩა მეხსიერებაში: კარგი პოეტის ლექსი გონებაში თავისით ჩაგისახლდება, კარგი მოთხრობა იოლად დაგამახსოვრდება; კარგი მსახიობი ღრმად იღიბეჭდება სულში და სამუდამოდ შეგიყვარდებაო. სწორი ყოფილა!..

ლადო ასათიანმა ერთდროულად შემაყვარა კარგი ლექსი და ვერიკო ანჯაფარიძე. სულგანაბული შეცემერი მსახიობის გამოჩენას ტელევიზორის ეკრანზე. ცხოვრებისეული ვერიკო ანჯაფარიძე მე არ მინახავს, მაგრამ ასე მგონია ახლოს ვიცნობდი. მის მიერ განსახიერებული როლები ჩემი სულის ნაწილად იქცა. სიამოვნებით ვითხულობ ყველაფერს, რაც ამ მსახიობს ეხება. ვიცი, რომ ცხოვრებაში მოუღლელი და მოუსვენარი იყო. მუდამ კამათობდა, მუდამ ექებდა, ხალხში ტრიალებდა. მის გარეშე არ იყო თბილისის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრება. მე მხიბლავს ვერიკო ანჯაფარიძის გარევნობა, ხმა, სული... სიამოვნებას მანიჭებს

მისი საუბრის მოსმენა. მინდა მსახიობი გავხდე და ის  კუთამაშო, რომელსაც ვერიკო ანგაფარიძე ანსახიერებდა მას ვგავდე...“

თუ გვსურს კლასს ვასწავლოთ პუბლიცისტური ხასიათის თხზულების დაწერა თემაზე „ჩემი ქალაქი, სოფელი, ქუჩა“, საჭიროა შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება:

თხზულების გეგმის შედგენა. ამასთან, უნდა გაირკვეს რომელი პუნქტები ასრულებს მასში შესავლისა და დასკვნის როლს. მაგალითად: 1) ქუთაისი - საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო და ლამაზი ქალაქია; 2) ქალაქის შემოგარენი; 3) ისტორიული ძეგლები; 4) თანამედროვე ქუთაისი - ღირსშესანიშნავი ადგილები, ადამიანები, რომლებიც აქ ცხოვრობენ (მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები და სხვ. 5) როგორი მინდა იყოს ჩემი ქალაქი!..

მსგავსი თხზულებისათვის ლექსიკურ-ორთოგრაფიული და პუნქტუაციური მომზადებისას შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი დავალებები: 1) ახსენით მნიშვნელობა სიტყვებისა: შემოგარენი, ათასწლეული, პანორამა, სიუჟეტი, მხარეთმცოდნეობა, რესტავრირება, ძველქართული და სხვ. 2) შეაღგინეთ შესიტყვებანი შემდეგი სიტყვების გამოყენებით: წარმოადგენს, ცნობილი, აღმოჩენილი, განლაგებული, იხსნება, იპყრობს, შემორჩენილა და სხვ. 3) განსაზღვრეთ სასვენი ნიშნები თქვენს მიერ დასაწერ თხზულებაში და სხვ.

მე-8 კლასში სამუშაო უნდა შესრულდეს და აღწერითი ხასიათის თემების გვერდით მოსწავლეებს უნდა დაგავალოთ შემოქმედებითი ხასიათის თხზულების დაწერა. მაგ. „ერთი საღამო ჩემს ქალაქში (სოფელში, „ჩემი ოცნების ქალაქი (სოფელი)“ და სხვ. მოგვყავს თხზულების ნიმუში.

„ერთი საღამო ქალაქში“

წელს აღრიანად ეწვია გაზაფხული ჩემს ქალაქს, აკავის „სავარდო და სამაისო“ ქუთაისს. კვირტთა სკდომის ხმამ დაუარა ხეებს, თითქოსდა დანაღმული ბალი აფეთქდა, გაგვიღიმა ტყემალმა და ატამბა. გაზაფხულმა იები და ყოჩივარდები ჩაუწინა თმაში დედამიწას. გაიღვიძა მიწამ, დაიწყო ზამთრის ცივი იარების მოშუშება.

იმძლავრა ყვავილების თოვლაშა. გუშინ კი ... გუშინ ნამდვილი თოვლი ეწვია ჩემს ქალაქს. ბუნების ჭირვეულობას მობუზულნი შეუძლია ცერიან კვირტდამსკდარი ხეები, ჯერეთაუყვავებელნი კი ტოტებს აგებებენ თოვლის პეპლებს, რომ თეთრი სამოსელი ჩაიცვან.

დღეს მთელი დღეა წვიმს ჩემს ქალაქში. გადავწყვიტე გავყვე ქუჩებს და თვალით ნანახი აღწერო. გამარჯვების მოედნიდან ფეხით წამოსული თეთრ ხიდამდე მოვედი. ცივი და ნისლიანი საღამო დგება. ხიდის ქვეშ აზვირთებული რიონი მოქუხს. ძალა ეძლევა ქარსაც. ცაზე გუნდ-გუნდად გადადიან შავი ღრუბლები. ქალაქის შუაგულისასკენ მივიწევ. გზად ქუთათურები მხვდებიან - მოხუცებულნი, ჭალარაგარეულნი, ახალგაზრდები, ბავშვები... ყველა თავის საქმეზე მიიჩქარის. ეს ის ხალხია, ვინც დღევანდელ ქუთაისში ცხოვრობს და, ვინც მისი ხვალინდელი დღე უნდა შექმნას. ზოგიერთი უამინდობას ვერ შეუშინებია. ცენტრიალურ ბაღში ძელსკამებზე ჩამომსხდარნი, ბჭობენ, დაობენ...

ქალაქის თავზე ამაყად აღმართულა ბაგრატის ტაძარი. ეს ჩემი ქვეყნისა და ქალაქის ისტორიის გახუნებული ფურცლებია.

თბილისის ქუჩას ავყევი. საფიჩხიის მოედანიც მინდა ვნახო. ახალი, ორსართულიანი სახლების შუაგულში თვალს ხვდება ძველი ქალაქის ნაშთი - რიკულებიანი აივნებითა და წითელკრამიტიანი სახურავებით, ახალსიცოცხლედაბრუნებული ამაღლების ეკლესია. ბინდბუნდი ჩამოწვა ჩემი ქალაქის თავზე. ნისლში იძირება ქუთაისი, მე კი ვგრუნდები შინ და ფურცელზე გადამაქვს შთაბეჭდილებები, რომლებსაც ი. ნონეშვილის ლექსის („ღამე ქუთაისში“) ბოლო სტროფით ვასრულებ:

„როცა ქალაქში საღამო დგება,

რიონის ნელი ჩემიც გაისმის.

მაღლა ვარსკვლავნი ბრწყინვენ, თითქოს

ზეცის სარკეში ჩანს ქუთაისი“

მოსწავლეები სიამოვნებით ასრულებენ თხზულებას „ჩემი ქუჩა“... მასწავლებელი იძლევა სათანადო რეკომენდაციებს, თუ როგორ მოაგროვონ საჭირო მასალა. მათ, პირველ რიგში, უნდა გაარკვიონ: რატომ ჰქვია ქუჩას ესა თუ ის სახელი. რა არის ცნობილი იმ პიროვნების ან მოვლენის, ფაქტის შესახებ, რამაც განაპირობა

კონკრეტული ქუჩისათვის სახელის მიცემა. ხომ არ არის სახელწოდება განპირობებული მისი ადგილმდებარეობით და უსკარესობით.

თხზულებაში უნდა ჩანდეს, რომ არის ძვირფასი მისი დამწერისათვის ეს ქუჩა, სახლები, ადამიანები. როგორ ასახავს იგი ქალაქის ცხოვრებას და სხვ.

წიგნის როლის შესახებ თხზულების დაწერისათვის მზადება იწყება კლასგარეშე კითხვის გაკვეთილებზე, სადაც ირკვევა, რომელი წიგნები მოსწონთ მოსწავლეებს და რატომ, როგორ იცვლება ასაკის მატებასთან ერთად დამოკიდებულება კითხვისადმი, ლიტერატურული გემოვნება და სხვ.

მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ შემდეგი თემები:

„წიგნი ცოდნის წყაროა“, „წიგნი - ცხოვრების მასწავლებელი“, „წიგნი ჩემს ცხოვრებაში“, „წიგნი ტელევიზიის ეპოქაში“, „კითხვა ყველაზე სასიამოვნო საქმიანობაა“ და სხვ.

რა თქმა უნდა, მერვეკლასელები ასეთი თხზულებების გახსნას თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ახერხებენ. ხშირ შემთხვევაში ისინი აგებულია განსჯაზე, რომელშიც არგუმენტების როლში გამოდის ავტორის მსჯელობა საყვარელ მწერალსა და წიგნებზე. მოსწავლე მოგვითხრობს ვინ და როდის გააცნო მას პირველი წიგნი, რომელი წიგნები წაიკითხა, როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება კითხვისადმი, რა ადგილი უკავია წიგნს მის ცხოვრებაში, რომელი მწერალი, რომელი გმირები უფრო ძვირფასია მისთვის, რა ასწავლეს მას წიგნებმა და სხვ.

თხზულებანი ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ანუ განყენებულ და ლიტერატურულ-შემოქმედებით ანუ თავისუფალ თემებზე ამჟღავნებს მოსწავლეთა დამოუკიდებლობის, მათ მიერ აზრების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემის, წამოყენებული დებულებების დასაბუთებისა და სათანადო დასკვნა-განზოგადების გავეთების უნარს.

განყენებულ და თავისუფალ თემებზე მუშაობა ლიტერატურული კითხვის ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი წარმატებით გადაჭრა შექმნის საფუძველს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის სრულყოფისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიის სწავლების სასკოლო ეტაპზე.

## ლიტერატურა:

1. თოფურია აკ., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდი-კა, თბილისი, 1991;
2. კრებული „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1984-1990 წწ.;
3. Методика преподавания литературы. Под ред. З. Я. Рез. М., 1977.;
4. Пичугов Ю. С., Обучение сочинениям на свободную тему. М., 1986.

Tamar Ghvinianidze

## WORKING ON FREE TOPICS IN VII-VIII FORMS SUMMARY

The development of students' oral and written skills in VII-VIII forms is of a particular importance as the systematic course of syntax and punctuation is taught in the very period. The free and abstract topics help students express the logical succession of their thoughts, develop the ability to come to an appropriate conclusion and the independent way of thinking. The teaching of writing such topics is very difficult and at the same time a very responsible process. That's why the teachers' work should have a regular character. They have to choose the correct material, systematize it to give the logical direction to the students' thinking and to pay more attention to the building of essay, its composition and style.

## შალვინა შანიძე

ზეროვნული ნატარეომების გამოყენება მოსწავლეთა  
აზროვნებისა და მეტყველების გაცითარების მიზნი  
ქართული ენის გაკვეთილებზე, ჭერ კიდევ 80-იან წლებში გახდა მისა-  
ლები. დოცენტ ლ. ჭეიშვილის ეს ექსპერიმენტი მე-4-8 კლასების  
მოსწავლეებს შეეხებოდა (4) არც მანამდე და არც შემდგომ არ-  
ცერთი მკვლევარი ამ კუთხით, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა  
აღქმის, ანალიზისა და გადმოცემის განვითარების უნარს არ გა-  
ნიხილავდა.

ნაწარმოების დასათურებასა და სურათის მიხედვით საუბრის  
წარმართვის მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების განვი-  
თარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჭერ კიდევ იაკობ გოგებაშ-  
ვილი. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ცდი-  
ლობდა ბავშვებისათვის შექმნილი სახელმძღვანელო „დედაენა“ შე-  
ეცსო სასაუბრო სურათებით, გამოეცა მრავალი საბავშვო ილუს-  
ტრირებული წიგნი, რადგან თვლიდა, რომ „სურათების შემწეობით  
ბავშვი ნახევარ ცოდნას სრულ ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს  
წარმოადგენს გარკვეულად, არა სრულს სახეს საგნისას -სრულ  
სახედ“. /1-300/

ბევრი რამ შესძინა ქართული საბავშვო წიგნის გაფორმების საქ-  
მეს გრიგოლ ტატიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებით-  
მა ურთიერთობამ. იაკობის „დედაენისათვის“ სურათების კლიშეების  
დამზადება გრიგოლმა ითავა. „ამ გამოცემას ორმხრივი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა. პირველი ისა, რომ ბავშვებისათვის მხატვრულად

საინტერესო იყო, ხოლო მეორე მხატვარ-გრავიორმა დიდაქტიკური აზრი მიანიჭა ყველა სურათს". /1/ „დედაენას“ მატებუნების კარი“ მოჰყვა. ტატიშვილი აქ უკვე არა მარტო თავისი სურათებისათვის ამზადებს კლიშეებს, არამედ იმ ცნობილი მხატვრების ნახატებისათვისაც, რომელთა სახელებთან არის დაკავშირებული ამ ორი სახელმძღვანელოს დასურათება. ესენი იყვნენ: ო. შმერლინგი, ალ. მრევლიშვილი და მ. თოიძე (3). საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო თრივე წიგნი.

„მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და თხრობის ელემენტარული ჩვევის გამოსამუშავებლად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სურათები“, თვლიდა ქართული ენის მეთოდიკის პატრიარქი ვალერიან რამიშვილი და თან მიუთითებდა, რომ „სურათი, რომელსაც ბავშვის მეტყველების კულტურის აღზრდისათვის იყენებს მასწავლებელი, კარგად უნდა იყოს შესრულებული; იგი, ისე, როგორც საერთოდ სასწავლო დანიშნულებით შედგენილი სხვა სურათები, შესაფერის ემოციებს უნდა იწვევდეს პატარებში, მეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობდეს მათს ესტეთიკურ აღზრდასაც.“ /2-27/

ასეთ ნაწარმოებებად არა სახელმძღვანელოს ილუსტრაციები, არამედ თანამედროვე და კლასიკოსი მხატვრების ფერწერული ტილოების, ან მათი რეპროდუქცირების აღწერა-გაანალიზება გვესახებოდა.

მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში მოთავსებული გრაფიკული ილუსტრაციებისაგან განსხვავებით, ფერწერული ნამუშევრები გამოირჩევიან: შესრულების მაღალი დონით, ფერისა და კოლორიტის ორიგინალობით, ემოციური განწყობითა და გამოსახვის სიღრმით. მე-3 კლასელი მოსწავლის აღქმისა და ანალიზის გაკეთების უნარი და გარკვეული დონე კი გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ რეპროდუქციათა განხილვები გამოგვეყნებინა მათი გაბმული ზეპირი და წერითი მეტყველებისა და ლოგიკური აზროვნების გასავითარებლად. ამისათვის, გადავწყვიტეთ, შეგვეხამებინა მაღალი დონისა და შესრულების მქონე რეპ-



როდუქციები, პროგრამულ ტექსტებთან.

ფერწერული ნაწარმოების გამოყენებას ქართული ენაში უკუკიდება თილებზე სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს. ფერწერული ნაწარმოები უმეტესად ობიექტური სამყაროს, სინამდვილის სპეციფიკური ასახვად. მას გამოსახვის საკუთარი საშუალებები გააჩნია, როგორიცაა: კომპიუტიცია, ფერი, კოლორიტი, შუქ-ჩრდილები, პერსპექტიული სახეცვლილებები, სილრმე, ფონი, დეტალები და ა. შ. ფერწერული ნაწარმოები მოსწავლეზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. ერთის მხრივ, ფანტაზიის, შემოქმედებითი ძალების ამოქმედების სიტუაციას უქმნის მათ, მეორე მხრივ კი - ზღუდავს თავისი სიუჟეტით, კომპოზიციით, გამოსახვის ხერხებით. ამდენად, აწვდის რა გარკვეულ თემატიკასა და შინაარსს, ასწავლის ბავშვებს სურათზე მოცემული კონკრეტული თემის, კომპოზიციის, საგნებისა და მიმართებებისათვის მოქმედნონ შესაფერისი სიტყვები, შედარებები; აღწერონ სურათზე მოცემული სინამდვილე.

მაშასადამე, ფერწერული ტილოს რეპროდუქცია, გარდა აღწმისა და ტკბობისა, საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს გამოვლენით კონკრეტული მოცემულობის აღწერი ჩვევაც.

სურათზე მუშაობისათვის აუცილებელ პირობად მივიჩნიეთ შემდეგი:

1. პედაგოგის მიერ მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის უნარი. მასწავლებლის ინტერესი, სურვილი, მომზადების დონე, მეტყველების კულტურა, წარმოთქმის ინტონაცია, სანიმუშო ტემბრი, მართებული, სასიამოვნო საუბარი და რაც მთავარია ფერწერული ნახატის ანალიზის უნარი / ამ საკითხებს გარკვეულწილად ჩვენ მივაწოდებდით/.

2. ტექსტუალური მასალის გაცნობა-შესწავლის საფუძველზე თქმატურად შესაბამისი ფერწერული ნახატის შერჩევა-წარმოდგენა.

3. განწყობის შექმნა კლასში. მოსწავლეთა მომზადება სურათ-

ზე სამუშაოდ. ამისათვის საჭიროა: ამ მხატვრის შემოქმედების ამსახველი რეპროდუქციების გამოფენის მოწყობა კლასში; ბძ მუკულე საუბრის ჩატარება მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

4. რეპროდუქციის ანალიზი, რომელიც წარიმართება შემდეგი გეგმის მიხედვით: 1. სურათის თემა; 2. ნახატის იდეა; 3. იდეის გადმოცემის საშუალებანი.

სურათის ანალიზი შემდეგი კითხვების საფუძველზე შეიძლება ვაწამოოთ:

ა. რას ვხედავთ ნახატზე?

ბ. რა მოვლენას, რა მოქმედებას გამოსახავს მხატვარი?

გ. სად მდებარეობს ნახატის ხედვითი ცენტრი, ე. ი. აღგილი, სადაც მეტ-ნაკლები სიმკვეთრით არის გამოსახული მხატვრული ნაწარმოების იდეური აზრი?

დ. რა გამომსახველი საშუალებებით აღწევს მხატვარი ნახატის დედააზრის, განცდების ღრმად გადმოცემას?

ე. როგორია ნახატის კომპოზიცია, კოლორიტი, წერის მანერა/თუ სკოლაში სახვითი ხელოვნების გაკვეთილები სათანადო დონეზე ტარდება, მაშინ ასეთი შეკითხვა მოსწავლეთათვის სავსებით მისაღები და გარკვეულია/?

ვ. ყველაზე მეტად რა მოგწონთ ნახატში?

ზ. ყველაზე მეტად ჩვენს ყურადღებას რა იპყრობს ნახატში?

თ. როგორ განწყობას იწვევს რეპროდუქცია?

ი. სურათზე გამოსახული პირის /პირების/ მოქმედება რატომ არის ლამაზი, ვაჟკაცური, გმირული /ან მახინჯი, არასამართლიანი, მკაცრი/?

კ. როგორ ფერებშია შესრულებული ნახატი /სპექტრული, არასპექტრული, ცივი ან თბილი ტონები, მხიარული, ნაღვლიანი .../?

ლ. შეესაბამება თუ არა ფერი ნახატის განწყობას?

მ. ხომ არაფერი გსმენიათ ნახატის შექმნის სინტერესო და ორიგინალური ისტორიის შესახებ?

კითხვები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა უანრში მაგრამ ლებული ნახატის განხილვისას, როგორებიცაც პორტრეტი, ხატურმორტი, ისტორიული და ბატალიური უანრი, პეიზაჟი, საყოფაცხოვრებო უანრი, ანიმალისტური უანრი, მითოლოგიური და რელიგიური თემები და ა. შ.

### 5. ლექსიკური შეშაობა სურათზე

6. თხზულების დაწერა სურათის აღწერის საფუძველზე ან პატარა მოთხრობის შედეგენა სურათის დედააზრიდან გამომდინარე.

### 7. მოხწავლეთა ნამუშევრების ანალიზი.

განსახილველად უნდა შეირჩეს ისეთი მაღალმხატრული დონის ფერწერული ტილოს რეპროდუქცია, რომელზეც წარმოდგენილი სინამდვილე ან სიუჟეტი ბავშვთა ინტერესების სფეროშია, ნაცნობია და მახლობელია. რომლისგაგება მოსწავლეს პროგრამული მასალის შესწავლის საფუძველზე მიღებული ცოდნით თავისუფლად შეეძლება. გარდა ამისა, სურათი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მისი განხილვისას მასწავლებელმა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ამოცანებიც გადაჭრას და მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზეც იზრუნოს.

თვალსაჩინო მასალად გამოსაყენებელი ფერწერული ნამუშევარი ბავშვებს შეიძლება მივაწოდოთ ანალიზისათვის დიდი ზომის რეპროდუქციის სახით. შესაძლებელია გამოვიყენოთ აგრეთვე დიაბოზიტივი და დიაფილმიც, ვიდეომასალაც, თუ ამის რეალური შესაძლებლობა ექნება პედაგოგს.

ქართული ენის მესამე კლასის სახელმძღვანელოში მოთავსებულია ლადო ასათიანის ოთხსტროფიანი ლექსი „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“.

„მოკვდა თუ არა ყველამ აცხონა,  
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,  
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ  
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას“...

ვკითხულობთ ლექსს და ვათვალიერებთ წიგნის ორივე გვერდზე

დაბეჭდილ ფიროსმანის ოთხი ფერწერული ტილოს რეპროდუქცია: „წითელპერანგა მებაღური“, „ირმები შველთან“, „ქართველი ქალი შვილებთან ერთად მიდის წყაროზე“ და „მილიონერი უშვილო და შვილებიანი ღარიბი“. ახალ გამოცემაში უკანასკნელი შეცვლილია რეპროდუქციით - „ქალი წველის ძროხას“.

შესანიშნავი თემაა იმისათვის, რომ რეალურად ვაწარმოოთ რამ-დენიმე ფერწერული ნახატის განხილვა. მაგ. ლადო გუდიაშვილის მიერ რეალური ურთიერთობისა და დიდი ტკივილის საფუძველზე შექმნილი „ფიროსმანის სიკვდილი“ და - წიგნში მოთავსებული ფიროსმანის ნებისმიერი რეპროდუქცია.

მესამე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში შეტანილი ტექსტების სწავლებისას შესაძლებელია სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ფერწერული ტილოების გამოყენება. წიგნში მხატვრული მასალა ძირითადად ოთხ დროზეა გადანაწილებული და შესაბამისად მისადაგებულია ლექსებიც და მოთხრობებიც. კონკრეტულ დროზე მოცემული ტექსტების შესწავლის პროცესში უნდა გამოვიყენოთ ამავე თემაზე შესრულებული პეიზაჟებისა და თემატური კომპოზიციების განხილვა-გაანალიზება, როგორებიცაა მაგ.: მ. ხვიტიას „შემოდგრმა ქუთაისში“, ე. ახვლედიანის „ზამთარი“, ალ. ციმაკურიძის „ქვიშხეთი“, დავით კაკაბაძის „იმერეთი-დედაქემი“, გიგო გაბაშვილის „ხატობა“, მოსე თოიძის „მცხეთობა“, უჩა ჯაფარიძის „შრომის დღესასწაული“ და მრავალი სხვა.

ამრიგად ფერწერული ტილოს განხილვის პროცესში მოსწავლეებს ა) უყალიბდებათ აღქმისა და აღქმულის ლამაზად, მშენებრად, გაზრებულად და გამართულად გადმოცემის უნარი; ბ) უმდიდრდებათ ლექსიკური მარაგი; გ) გმირის დახასიათების, მრავალგვარი შედარებების, ეპითეტების, მხატვრული გამოთქმების ფონზე უყალიბდებათ მხატვრული მეტყველება; დ) ერჩევიან თხზულების დამოუკიდებლად წერას; უვითარდებათ ესთეტიკური გემოვნება.

## ლიტერატურა

1. გოგებაშვილი ი., თხზ. ტ. 1, 1947;
- 2 რამიშვილი ვ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, 1976;
3. ელიაშვილი ნ., „ქართული გრავიურის მამამთავარი“, „ა. კომ.-“, 1972, 19/02;
4. ჭეიშვილი ლ., „სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ქართული ენის გაკვეთილებზე“, მე-4-8 კლასები, 1982.
5. კრასნოვი ნ., საუბრები ხელოვნებაზე დაწყებით სკოლაში, მოსკოვი. 1965 /რუსულად/.

Malvina Shanidze

### **USING PICTORIAL WORKS AT THE GEORGIAN LESSONS IN THE THIRD FORM**

#### **SUMMARY**

For the development of child's logical speech, perception, capacity of analysis, for the aesthetical education, to the formulation of extended oral and written, to my mind, discussion of reproductions of painting canvas reasonably connected with textual materials is the best way at the Georgian Lessons of primary school.

## გურამ ჩაჩანიძე + გალურიან ქელბაქიანი, თენგიზ მაისურაძე

### განათლების ინფორმაციული ტექნოლოგიები და მისი დანერგვის პროცესები

ჩვენს ხელთ არსებულმა, მოწინავე ქვეყნების პრაქტიკული გა-  
მოცდილების ამსახველი მასალების ანალიზმა კიდევ ერთხელ,  
ღრმად დაგვარწმუნა განათლების სფეროში ინფორმაციული ტექ-  
ნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაში.

განათლების სისტემაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების  
დანერგვა, რაც პერსონალური კომპიუტერის უშუალო გა-  
მოყენებასთანაა დაკავშირებული, სახელმწიფოებრივი მნიშვნე-  
ლობის ამოცანას უნდა მივაკუთვნოთ.

სასწავლო პროცესებით დაკავებულ მეცნიერ-პედაგოგთა და  
პრაქტიკოს მასწავლებელთა უშუალო მოვალეობაა, სწავლების ში-  
ნაარსის შერჩევის მეცნიერული დასაბუთება, დროისა და მოთხოვ-  
ნების მიხედვით სწავლებაში შესაბამისი კორექტივების შეტანა,  
სათანადო მეთოდოლოგიური ორიენტირების შემუშავება. ცხადია,  
ასეთი საქმიანობა პრაქტიკულად ვერ იქნება რეალიზებული, თუ  
უგულვლელყოფთ ცივილიზებული ქვეყნებისათვის კარგა ხნის ადაპ-  
ტირებულ მართვის თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებს.

საჭიროა, მკვლევარმა პედაგოგმა და მეცნიერმა, ადამიანისა  
და მანქანის შესაძლებლობების ოპტიმალურად ურთიერთშე-  
თანხმებული თანაქმედების გზა გამონახოს. მსოფლიოში ცნობილ  
მეცნიერ-ფსიქოლოგთა და ფილოსოფოსთა აზრით, ურთიერთშე-  
თანხმებული თანაქმედება პრობლემათა წარმატებით გადაჭრის  
ერთადერთ გზადაა მიჩნეული. მაგალითად, სანკტ-პეტერბურგის  
განათლების ინფორმატიზების მკვლევარის ა. ნეზუიტოვის აზრით,  
„ადამიანთა მოდგმისა და საერთოდ კაცობრისობის გადარჩენა-გან-

ვითარებისათვის XXI საუკუნე დაუინებით მოითხოვს ახალ ფილმებს სოფიას, ფილოსოფიის დანიშნულებისა და დედაარსის აზრების გავებას. ასეთია „შეთანხმებული თანაქმედების ფილოსოფია“, როგორც სისტემა განსაზღვრული აზროვნება-ქცევის ნორმებისა.

ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ შეთანხმებული თანაქმედების ფილოსოფიის საფუძველზე წარმოქმნილი „შეთანხმებული თანაქმედების პედაგოგიკა“ მთელი შეგნებულობით აყენებს სათავეში შეთანხმებულ თანაქმედებას, როგორც უნივერსალურ აზროვნება-ქცევის პრინციპს განათლებისა და აღზრდის საკითხებში [1].

„სწავლების კომპიუტერიზებული მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს კომპიუტერული, აუდიო, ვიდეო, აუდიოვრაფიკის, მულტიმედიასა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, წარმოადგენს პედაგოგიკის ახალ სახეობას „ინფორმაციულ პედაგოგიკას“ და აუცილებელია აიგოს შეთანხმებული თანაქმედების ფილოსოფიისა და შეთანხმებული თანაქმედების პედაგოგიკის პრინციპების გათვალისწინებით“ [1].

აქვე მოვიყვანთ „ინფორმაციული პედაგოგიკის“, როგორც პედაგოგიკის ახალი მიმართულების ჩვენეულ განმარტებას, რომელიც ვფიქრობთ, თავის აღგილს დაიჭირს სწავლების ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში.

„ინფორმაციული პედაგოგიკა“ არის მეცნიერება განათლებისა და აღზრდის შესახებ, რომელიც ეყრდნობა ცივილური სამყაროს მრავალსაუკუნოვან პედაგოგიურ გამოცდილებებს, იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ და ტექნიკურ საშუალებებს, აგებს სწავლების პროცესს კლასიკურ მეცნიერებათა შეთანხმებული თანაქმედების ფილოსოფიაზე, რათა ინდივიდი აქციოს სულიერად ძლიერ და კეთილგონიერ შემოქმედად.

ამგვარად, „პედაგოგიკის განვითარების ვექტორი ორიენტირებული უნდა იყოს იმ კლასიკური მეცნიერებისაკენ, რომელიც მოგვცემს პედაგოგიკასა და თანამედროვე ფსიქოლოგიას შორის შეთანხმებული თანაქმედების საშუალებას, რათა სრულვყოთ ნორმედაგოგიურ პროცესთა იმიტაციური და მათემატიკური მოდელირება. ასეთ კლასიკურ მეცნიერებას შეიძლება მივაკუთვნოთ კომპიუტერული მეცნიერება: ინფორმატიკა, ნეიროკიბერნეტიკა, ევ-

რისტული პროცესები და მათი მოდელირება, ცოდნის შეძენის ინუინერია, კონცეპტუალური თამაშების თეორია, „ქცევის“ ოღნებულის ნეირონფორმაციული ქსელები, გონის ფსიქოლოგიკის თეორია, გონის პრეფერენციათ თეორია, გონის ეკოლოგია და ა.შ. [1].

ცივილური სამყაროს მიერ აღზრდა-განათლების პრაქტიკული და მეცნიერული ფორმების კვლევა-ძების პროცესში მიღებული მდიდარი გამოცდილებებისა და პრაქტიკული შედეგების გათვალისწინებით, ინფორმატიზების თეორიის, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და ახალი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიღვომების გამოყენებით, შესაძლებლობა გვეძლევა დავაჩქაროთ საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმები და სწავლების პროცესი ავიყვანოთ თვისებრივად ახალ საფეხურზე. რა თქმა უნდა, აქ პრიმატი თავისთავად პერსონალურ კომპიუტერს ენიჭება, როგორც ტექნიკურ თვალსაჩინოებას, რომელიც ელექტროდინამიურ რეალიზებას უკეთებს შემეცნებით, ინსტრუქციულ და საცნობარო ცხრილებს; საგნობრივ სურათებს; გეომეტრიულ ფიგურებს; სხვადასხვა სახის მოდელებს; ქიმიურ და ფიზიკურ ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებებს. ასეთი მიღვომა სწავლების აქტივიზების ერთ-ერთი წინაპირობაა, რომელიც ეფექტურ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლის შეგრძნებისა და აღქმის სისტემაზე, ხასიათდება დინამიურობით და ემოციოგენურობით, იწვევს მზაობასა და განწყობას [2].

ინფორმატიზაცია ფაქტობრივი მონაცემებისა და მათ შორის არსებული დამოკიდებულებების შესახებ ცოდნის ერთობლიობაა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ღირებულებას.

ემოციოგენური სისტემა თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფადგზნებად სისტემას, მეხსიერებისათვის აღვილად მისაწვდომი და დამამახსოვრებადია. მიწოდებული ინფორმაცია მეხსიერებაში ფიქსირდება ერთჯერადი შეღწევით ე.წ. ერთჯერადი სწავლება [2]. სწორედ ეს მიგვაჩნია თანამედროვე პედაგოგიკის უდიდეს მიღწევად, რაც მოითხოვს განზოგადებას და პრაქტიკულ რეალიზებას.

შემეცნებითი თეორიის კრიტიკის ეპოქა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და ახლა მასზე აღარავინ აღარ მსჯელობს. ახალი ცოდ-



ნის მოპოვებისათვის დაიწყო, ცოდნის ყველა არსებული სახეობის შეგერება (ცოდნა ცოდნისათვის), რომელიც ბაზისად იყენებს ცოდნის მოპოვების ძველ ტრადიციულ და ახალ თანამედროვე რეალურ საშუალებებს. ეს ახალი ცოდნა წარმოადგენს ცოდნას თანამედროვე ქცევის შესახებ, ცოდნას თავის მომავლის გონივრული ორგანიზების შესახებ. დადგა რეალური საჭიროება, ხელოვნური და მანქანური ინტელექტის ეპოქა გარდაისახოს „ხელოვნური გონის“ ეპოქაში [3]. „ხელოვნური გონის“ ეპოქა მიზნად ისახავს უძველესი გამოცდილება გამოიყენოს ახალი პედაგოგიური პრინციპების ჩამოსაყალიბებლად, ახალი ცოდნის შესახენად, ახალ-ახალი მიღწევებისათვის, ახალი მწვერვალების დასაბყრობად. ეს პროცესი მოითხოვს ახლებურ გაანალიზებას და დიფერენციაციას „ცოდნის არქეოლოგიის“ ახლებურ განვითარებას და ახალ, პროგრესულ საფეხურზე აყვანას, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობაზე მეტყველებს ქალაქ სანკტ-პეტერბურგის მუდმივმოქმედი საერთაშორისო კონფერენცია „რეგიონული ინფორმატიკა“, რომელიც 1992 წლიდან ბეჭდავს მასალებს, სადაც ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი დათმობილი აქვს განათლების ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. კერძოდ ვ. ნეფა, ვ. ჭოხანელიძე და ვ. შილინი, თავიანთ ნაშრომში [4] აცხადებენ: თანამედროვე მასწავლი ინფორმაციული კომპლექსის ეფექტურობა, რომელიც წარმოადგენს რთულ აღაპტიურ სისტემას ბევრადაა დამკიდებული სწავლების ელემენტარული პროცესის ორგანიზებაზე. ეს ამოცანა უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მასწავლი ავტომატიზებული სისტემების სწრაფი ტემპით განვითარებასთან დაკავშირებით, რომლის ელემენტები ხასიათდებიან არა მარტო ინფორმაციის მიღება-გაცემით, არამედ თვითონ ფლობენ განსაზღვრულ ცოდნას. ასეთი სისტემები შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: მასწავლებელი, მოსწავლე და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები.

ი. რობერტის თავის ნაშრომში [5] აღნიშნავს, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების რეალიზების, როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთის განათლების სისტემაში ისწრაფ-

ვის სწავლების მეთოდების სრულყოფისაკენ და ახალი ორგანიზაციული ფორმების დამკვიდრებისაკენ. ამასთან დაკავშირებით უფრო ნათლების ინფორმატიზების მწჩნის მისაღწევად, ავტორი გვთავაზობს პერსპექტიულ მიმართულებებს:

- განათლების ინფორმატიზების სამეცნიერო ბაზისის განვითარება, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია განათლების ინფორმატიზების ფილოსოფიური ასპექტების გამოკვლევა.
- პედაგოგიური პროცესების (ტექნოლოგიების) სრულყოფა ინფორმატიზებისა და კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებების ბაზაზე დაყრდნობით.
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ინფორმატიკის სწავლების მეთოდიკური სისტემისა და შინაარსის გაუმჯობესება.
- განათლების ინფორმატიზების ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიურ-ჰიგიენური ასპექტების დამუშავება, ექოლოგიური ასპექტების გამოკვლევა.
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ეფექტური გამოყენების პედაგოგიურ-ერგონომიკური პირობების გამოკვლევა.
- განათლების ინფორმატიზების ინტეგრირებული სასწავლო-მეთოდური გარემოს „სკოლა-პედინსტიტუტი-ასპირანტურა“ მოდელის შექმნა, რაც ითვალისწინებს მასწავლებლებისა და მეთოდისტების მომზადებას და შესაბამისი დიაგნოსტიკური სისტემის დამუშავებას, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტებისა და მასწავლებლების მომზადების დონეს სასწავლო პროცესებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისა და მათი პროფესიული მოღვაწეობის მიზნით.
- სამეცნიერო-პედაგოგიური საინფორმაციო ბანკის სრულყოფა. იგულისხმება ისეთი საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის (მასწავლებელი, მოსწავლე, სტუდენტი, მკვლევარი და ა.შ.) და სადაც თავს მოიყრის ის თემატური მონაცემები (მონაცემთა ელექტრონული ბიბლიოთეკა), რაც საჭიროა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში ჩამოთვლილი მიმართულებები რეალიზებულია რუსეთის განათლების აკადემიის კომპლექსურ პროგრამების - „განათლების ინფორმატიზება“ ფარგლებში.

ფუნდამენტურ უწყვეტ კომპიუტერულ განათლებას ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის უკველა საფეხურზე, დაწყებული I-დან მე-11 კლასის ჩათვლით. მხარს უჭერენ და თავიანთ გამოცდა-ლებას გადმოგვცემენ ი.რუსმანცევი და ნ. შიხვი [6].

რუსეთის განათლების სისტემის რეფორმების ერთ-ერთ შენიშვნელოვან მექანიზმად გ. ბოროდოვსკი და ი. გორბუნოვი [7] ასახელებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას, რომლის ძირითად უპირატესობად მიიჩნევენ:

- განათლების ღია სისტემის აგების შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი ინდივიდისათვის (მოსწავლისათვის) საკუთარი ტრაქტორიის თვითგანათლების მიღების შესაძლებლობას;
- შემეცნების პროცესის ორგანიზების დადებით ცვლილებას სისტემური აზროვნებისაკენ;
- განათლების საინფორმაციო მეთოდურ უზრუნველყოფის მართვის მობილური სისტემის შექმნას;
- შემეცნებითი პროცესის ორგანიზაციის ისეთ შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების შემოქმედებით მიღობას მის ყველა რგოლში (მოთხოვნა-მოტივი-მიზანი-პირობები-საშუალებები-მოქმედებები-ოპერაციები);
- სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზება მისი მთლიანობისა და ერთიანობის დაცვით;
- ახალი შემეცნებითი საშუალებათა ორგანიზების შესაძლებლობა სწავლების პროცესში.

ბოლო ათი წლის განმავლობაში, ქალაქ უფას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშავდებოდა სწავლების ინფორმატიზების პროგრამა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კომპიუტერული სახელმძღვანელოების სახით მეთოდური ნამუშევრები, რომელიც გათვლილია ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია დისტანციური სწავლება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ასრულებენ რა სტუდენტები სისტემის მეშვეობით ლაბორატორიულ სამუშაოებსა და სა-

კურსო პროექტებს, ამავე დროს ეუფლებიან პროგრამებზე მცხოვრილი შაობისა და ქსელური ტექნოლოგიის მომსახურების ჩვევებს.

მოსკოვის სახელმწიფო საინჟინრო-ფიზიკურ ინსტიტუტში მიმღინარეობს საინტერესო სამუშაოები სასწავლო პროცესის ინფორმატიზების მიზნით შემდეგი სახელმწიფოდებით - „სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი“, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფის შექმნას სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ინტეგრაციისათვის.

ქ. ბრიანსკის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში დამუშავდა სასწავლო დისკიპლინების ინდივიდუალური სწავლების ავტომატიზებული სასწავლო კურსები (პასპ).

ასტ-ს შემდგომი განვითარების ეტაპია კომპიუტერული სახელმძღვანელოები. ასტ-ს აქვს უნივერსალური საშუალება სწავლება წარმართოს ნებისმიერ რეჟიმში. სისტემა მუშაობს გრაფიკულ რეჟიმშიც, რაც საშუალებას იძლევა ტექსტებთან ერთად მონიტორზე აჩვენოს ნახატები, ნახაზები, სქემები, გრაფიკები, რუკები და ა.შ.

ამგვარად, სასწავლო პროცესებში ახალი იმფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ტექნიკის დანერგვის სამუშაოებმა გრანდიოზულ მასშტაბს მიაღწია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, დიდი მოცულობის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოებია ჩატარებული რუსეთის სხვა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებსა და პედაგოგიურ უნივერსიტეტებში. მათგან აღსანიშნავია სამუშაოები, რომელიც ჩატარდა ობინისკის ატომური ენერგეტიკის ინსტიტუტში, ელეცის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბალტიის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასტრახანის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში, უფის რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კოლეჯსა და სახელმწიფო სავიაციო ტექნიკურ უნივერსიტეტში, სურგუთის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში, ტექნიკის ინფორმატიზების საერთაშორისო აკადემიაში, პეტროზავოდსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვორონეჟისა და ნოვგოროდის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტებში და სხვ.

შორს წაგვიყვანს იმ მეცნიერთა გვარებისა და ნაშრომთა და-

სახელება, რომლებიც რუსეთის გარდა მოღვაწეობენ მსოფლიოს  
სხვა წამყვანი ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში დაცულ  
ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფუნდამენტურ მეთოდოლოგი-  
ურ ნამუშევრებს ქმნიან. შემოვითარებით მხოლოდ ზოგიერთი  
მათგანით.

კოლუმბიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მასწავლი ტექ-  
ნოლოგიების ინსტიტუტი, სადაც კრისტიანა ბაჭიო ამუშავებს სა-  
შუალო და უმაღლესი სკოლების ბიოლოგიის სწავლების კომპიუ-  
ტერულ მეთოდიკას; დიკ პარსონი სოციალური კვლევებითაა და-  
ინტერესებული; სუზანა ლოვესი იკვლევს ანტროპოლოგიას; რობი  
მაკ კლინტონმა გამოსცა წიგნი - „განათლების გარდაქმნა ინფორ-  
მაციული ტექნოლოგიების დახმარებით“; იგივე რობი მაკ კლინ-  
ტონმა, ფრანკ მორეტიმ, დიანა ნიქსმა და სხვებმა მოდერნულ და  
პოსტ მოდერნულ სკოლას მიუძღვნეს წიგნი - „ტექნოლოგია და გა-  
ნათლება“, შესავალი ციტატით - „ახალი ღვინო ახალ ბოთლებში“.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემებისა  
და კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის თანამშრომლებმა  
კლიფორდ ბრუნკმა და მაიკლ პაზანიმ, მასწავლი ექსპერტული  
სისტემების მეთოდიკას ათეულობით გამოკვლევები მიუძღვნეს. მან-  
ქანური სწავლების მექანიკასა და ალგორითმებს ამუშავებენ და-  
ლი როკი, დენის კიბლერი, ვენდი სარეტი, გლენ სილვერსტეინი,  
პედრო დომინგო და სხვები.

ამ მიმართულებით დიდი მოცულობის კვლევები მიმდინარეობს  
იაპონიაში, გერმანიაში, იზრაელში; იუნესკოს ეგიდით დაფუძნებულ  
ლუქსემბურგის ინფორმაციული პროცესების საერთაშორისო ფე-  
დერაციის მიერ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საგრძნობი მეცნიერული კვლევები და პრაქ-  
ტიკული სამუშაოებია ჩატარებული საქართველოშიც.

ჯერ კიდევ 1990 წლის ოქტომბერში, სასწავლო-სამეცნიერო  
საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკაში“ და საქართველოს პედა-  
გოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლი-  
კურმა ინსტიტუტმა, თბილისში ჩაატარა რესპუბლიკათშორისი სა-  
მეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია - „ახალი ინფორმაციული ტექ-  
ნოლოგიები“.

1991 წელს მოსკოვში ჩატარდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის მუშაյთა საერთაშორისო სამეცნიერო-მეთქ-დური კონფერენცია თემაზე: „სტუდენტთა მომზადების პროცეს-ში ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენება“. საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის ინფორმატიკის, გამოთვლითი მეთოდებისა და მათე-მატიკის სწავლების მეთოდების კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ქელბაქიანმა [8].

1992 წლის ოქტომბერში, საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატი-ზებული სისტემების კათედრაზე, მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდ „ინტელექტუალური“ მიერ (ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი პროფესორი გურამ ჩახანიძე) დაფუძნდა სასწავ-ლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემების მუდ-მივმოქმედი საერთაშორისო სკოლა-სემინარი (სამეცნიერო ხელ-მივანელი პროფესორი გურამ ჩახანიძე). სადაც აქტიურ მონაწი-ლეობას იღებდნენ: თბილისისა და ქუთაისის უნივერსიტეტების, ცხინვალის და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტე-ტების პროფესორ-მასწავლებლები და ასპირანტები; ჩესპუბლი-კის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ინფორმატიკის კაბინე-ტი და სხვ. სკოლა-სემინარის ერთ-ერთი ძირითადი სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევა-ძიების საგანი სწორედ სწავლების ახალი ინ-ფორმაციული ტექნოლოგიები გახლავთ. სკოლა-სემინარში გაჩა-დებულმა საკვლევმა სამუშაოებმა რეალური შედეგები მოგვცა. 1994 წლის შემოდგომაზე, ფონდი „ინტელექტუალური“ მიერ ლაგოდებში გაიმართა სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სის-ტემების სკოლა-სემინარის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია. კონფერენციაზე გამოტანილ იქნა 124 სამეცნიერო მოხსენება, რომელთაგან 30-ზე მეტი ეძღვნებოდა სწავ-ლების ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. მოხსენებათა აბსო-ლიტური უმრავლესობა მომზადებული იყო აღნიშნული სკოლა-სემინარის მიერ.

1995 წლის შემოდგომაზე, თბილისში ფონდი „ინტელექტუალური“

მიერ კვლავ ჩატარდა სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემების მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე, უკადაც გამოტანილი 122 სამეცნიერო მოხსენებიდან, საგრძნობი ნაწილი კომპიუტერული სწავლების მეთოდიკას ეხებოდა. ამ მოხსენებიდან აღსანიშნავია ნაშრომები: „სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემები“, „სწავლების ინტელექტუალიზების პრობლემები“, მომავალი პედაგოგის ინფორმაციული კულტურის სტრუქტურა და შინაარსი“. კონფერენციაზე გარდა თეორიულ-პრობლემატური საკითხების დაყენებისა, კომპიუტერზე ნაჩვენები იყო დასრულებული, სასწავლო-შემქრეცებითი სამუშაოები, რომელმაც ექსპერიმენტის სახით გამოცდა გაიარა სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლის პრაქტიკაში.

ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში სამამულო პედაგოგიკაში დამუშავებულია და პრაქტიკულად რეალიზებული რამდენიმე სასწავლო-შემქრეცებითი სისტემა: „ევროპის ატლასი“, „ციური სხეულები“, „მცენარეთა გამრავლება“, „ნუმერაცია“, „საგანთა თვლა“, „გეომეტრია“, „საგანთა შედარება“, „კონტურული რუკები“, „გრაფიკული რედაქტორი“ და სხვ.

გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქიმიის, ფიზიკის, ხაზვის, უცხოური ენების და სხვა დისციპლინების კომპიუტერული სწავლების მეთოდიკის დამუშავებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია და რამდენიმე მზად არის დასაცავად, მაგრამ არის ხელშემშლელი პირობებიც, რომელიც აფერხებს დარგის განვითარებას. კერძოდ, საქართველოს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არსებობს შესაბამისი კათედრა, რომელიც დარგის განვითარებას გაუწევს კონტროლს და მიაქცევს სათანადო ყურადღებას. ასევე არ არის შესაბამისი განყოფილება ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის კვლევით ინსტიტუტში; არ ხდება მიღება ასპირანტურაში ამ პროფესიით და რაც მთავარია, საქართველოში არ არსებობს სადისერტაციო საბჭო, რომელიც შესაბამის კვალიფიკაციას მიანიჭებს დისერტანტს. ცხადია, ამ საკითხების მოგვარება გადაუდებელ და საშუალებელ და საშუალებელ და მივიჩნიოთ.

## ლიტერატურა

1. ჩახანიძე გ. განათლების სისტემის ინფორმატიზაციის პოლიტიკა და მისი პრობლემები. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №1, თბილისი, 1998.
2. დოგრაშვილი ა., ნანობაშვილი ქ. სასწავლო შემეცნებითი სისტემა „შეკრება გამოკლება“ მეორე საერთაშორისო სკოლა-სემინარის - „სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემების“ მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1995.
3. Чавчанидзе В.В., Квантово-волновая теория когерентного мозга. В КН. V всесоюзный симпозиум по кибернетике, Тбилиси, 1970.
4. Неффа В.М., Чохонелидзе В.М., Шилин С.А. Адаптивное обучение на основе информационных технологий. Тезисы докладов V Санкт-Петербургской конференции "РИ 96". Санкт-Петербург, 1996.
5. Робертс И.В. Перспективные направления исследований в области информатизации образования. Тезисы докладов V Санкт-Петербургской конференции "РИ 96". Санкт-Петербург, 1996.
6. Румянцев И.А., Шихов Н.Н. Система показателей и методы оценки технико-экономической и социально-педагогической эффективности информатизации образования. Тезисы докладов V Санкт-Петербургской конференции "РИ 96". Санкт-Петербург, 1996.
7. Бордовский Г.А., Горбунова И.Б., учебно-методическое обеспечение многоуровневой подготовки специалиста образования. Тезисы докладов VI Санкт-Петербургской конференции "РИ 98". Санкт-Петербург, 1998.
8. Келбакиани В.Н., Использование информационных технологий в процессе подготовки студентов педагогических вузов по математике. Монографический сборник материалов Второй Советско-американской конференции. Москва 1991. с. 61-65.

Guram Chachanidze, Valerian Khelbackiani,  
Thengiz Maisuradze



## INFORMATIONAL TECHNOLOGIES IN EDUKATION AND THE PROBLEMS OF ITS IMPLEMENTING

### SUMMARY

The article deals with the issues of using information technologies in the system of edukation. It analyses the use computer technology is put to in the edukation system of developed countries. It also discusses prospects of implementig new information technologies in teaching.

## მდიკო ჭელიშვილი, ნათელა კიკაბძე

### სწავლების ტექნიკის დაშვალების რატიონალური გამოყენება

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ამაღლებისათვის რიგ მეცნიერულ-მეთოდურ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა პედაგოგიური შრომის ისეთი იარაღის გამოყვლევა და სრულყოფა, როგორიცაა სწავლების ტექნიკური საშუალება. სწავლებაში ტექნიკური საშუალება შემოღებულია სწავლების ინტენსიფიკაციის, შეთვისების რეგულაციისა და შესწავლის ხარისხის ამაღლებისათვის.

თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში სწავლების ტექნიკური საშუალებები საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა და მათი როლი სულ უფრო იზრდება სწავლების მეცნიერული ორგანიზაციის დარგში. სწავლებაში გამოყენებულია პედაგოგიური შრომის ტექნოლოგიური სრულყოფის ისეთი საშუალებები, როგორიცაა კინო და ტელეგადაცემა, ეპი-დიონ და გრაფოპროექციები, რადიო, ვიდეო და ბგერის ჩაწერა.

სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობამ სწავლების წინაშე დააყენა მთელი რიგი ახალი და რთული პრობლემები, უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების ეფექტურობა, მათი დემონსტრირების ადგილი, დრო, ხანგრძლივობა და შესაძლებლობა სასწავლო პროცესში.

სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დაინტერესება შემთხვევითი არ არის და განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნით, ჰყავდეს მაღალგანვითარებული ახალგაზრდობა, რისთვისაც საჭიროა სასწავლო პროცესის და პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. უკანასკნელ პერიოდში წარმოშობილი შეუსაბამობა დაგროვილ სასწავლო მასალასა და სწავლების დროს

შორის, შეიძლება ნაწილობრივ მაინც ავიცილოთ თავიდან ლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რამდენადაც გვეხმარება გავზარდოთ დროის ერთეულში დასამუშავებელი მასალა, გავხადოთ ეს მასალა თვალსაჩინო და გრძნობადი, გავაძლიეროთ უკუკავშირი და ვარეგულიროთ სწავლების პროცესი.

სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა დაკვირვების სხვა საშუალებები არ გვაძლევს აუცილებელ პედაგოგიურ სასურველ ეფექტს. დადგინდა, რომ სწავლების ტექნიკური საშუალებები მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგ შემთხვევებში:

1. იმ მიკროპროცესების საჩვენებლად, რომელზედაც დაკვირვება ხდება ისეთი ოპტიკური და ელექტრონული მიკროსკოპებით, რომელიც არ გააჩნია სკოლას;

2. იმ მიკროპროცესების საჩვენებლად, რომელზედაც დაკვირვება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით არ ხერხდება.

3. სწრაფად მიმდინარე პროცესების სადემონსტრაციოდ, რომელზედაც უშუალო დაკვირვებას საათები ჭირდება.

5. მანქანებში, მექანიზმებში მიმდინარე პროცესების სადემონსტრაციოდ, რომელზედაც უშუალო დაკვირვება არ ხერხდება.

6. იმ ცდების და მოვლენების საჩვენებლად, რომელთა მოწყობა ლაბორატორიებში არსებულ პირობებში გაძნელებულია.

7. სწავლების დროს აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვიტისას.

სწავლების ტექნიკური საშუალებები შეიძლება დავყოთ სამჯგუფად. სტატიკური ეკრანული საშუალებები (დიაფილმი, დიაპოზიტივი), დინამიკური ეკრანული საშუალებები (კინოფილმი, ტელეგადაცემა, ვიდეომაჟნიტაფონი) და ბევრითი ტექნიკური საშუალებები.

სტატიკურ ეკრანულ საშუალებებს ეკუთვნის დიაპოზიტივები და დიაფილმები, რომელთა პროექცია ეკრანზე ხდება საპროექციო აპარატურის დახმარებით. დიაპოზიტივი, თუ მას ვუჩვენებთ გაკვეთილებზე, თავის შინაარსით ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს შესასწავლ მასალას, ამ შემთხვევაში დიაპოზიტივი ნათელს ხდის ახალ ასახსნელ საკითხს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მასალის გააზრებულ და შეგნებულ შეთვისებას. დიაპოზიტივი შეიძლება გამოვიყენოთ ახალი ინფორმაციის გადაცემისას, შესწავ-

ლილი მასალის გამეორებისა და განხოვადოების დროს. ის შეიძლება დემონსტრირებული იქნეს ცდებთან ერთად ან კინოსაბჭოს მიერანზე მისი ჩვენება შეიძლება ნებისმიერი ხანგრძლივობით.

დიაფილმი არის კინოფირზე დაბეჭდილი დიაპოზიტივების სერია, სადაც წარწერები წარმოადგენს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოკლე ჩანაწერებს. ტექსტი და გამოსახულება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და წარმოადგენს ერთ მთლიანს, დამთავრებულ აზრს. დიაფილმმა უნდა მისცეს საშუალება მოსწავლეს კარგად გაერკვეს განხილულ საკითხში. თვალსაჩინო გახადოს მისი ფიზიკური აზრი და მისი გამოყენება მეურნეობასა და წარმოებაში აღზარდოს პატრიოტიზმის გრძნობა და შრომის პატივისცემა.

დიაპოზიტივს და დიაფილმს თვალსაჩინოების სხვა საშუალებებთან შედარებით შემდეგი უპირატესობა აქვს:

1. მეთოდურად სწორად აგებული დიაპოზიტივი და დიაფილმი უფრო კონკრეტულად პასუხობს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს, ვიდრე სხვა სახის თვალსაჩინოება.

2. დიაფილმის და დიაპოზიტივის ცალკეული კადრის დემონსტრირება ეკრანზე შეიძლება ნებისმიერი ხანგრძლივობით.

3. მათი დამზადება ადვილია სასწავლო ლაბორატორიაში.

4. მძლავრი საპროექციო ნათურების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება დიაპოზიტივები და დიაფილმები ვაჩვენოთ დაუბნელებელ აუდიტორიაში.

დინამიკურ ეკრანულ საშუალებას წარმოადგენს კინო და ტელეგადაცემა. კინოს დახმარებით იზრდება საკლასო დემონსტრაციის ექსპერიმენტული შესაძლებლობა, რამდენადაც შეიძლება ისეთი მოვლენების დემონსტრირება, რომელიც ხდება სკოლის გარეთ. ამ შემთხვევაში კინოფირზე ფიქსირებულია ის ხელსაწყოები და მანქანები, რომელთა შემოტანა სასკოლო პირობებში შეუძლებელია. კინოფირი თავისუფალი უნდა იყოს ყოველი ზედმეტისაგან, მასში არ უნდა იყოს არავითარი ხელოვნური. მოვლენა გადაღებული უნდა იქნეს ისე, როგორც სინამდვილეში მიმდინარეობს. კინოს საშუალებით შეიძლება გავაცოცხლოთ ზოგიერთი ნახაზი. და მოღელი, რომლითაც პედაგოგი ხსნის დინამიკურ პროცესებს. კინოს დახმარებით შეიძლება მოვახდინოთ მოვლენის ისტორიის და ტექნიკის

განვითარებასთან დაკავშირებული ფილმების დემონსტრირება, ასე  
თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის ისტორიის გაცნობა. სპონსორები  
სოა სამეცნიერო კვლევითი მუშაობისადმი მიძღვნილი და მიმოხილ-  
ვითი ხასიათის ფილმები.

სასწავლო კინოს ეფექტურობა დამოკიდებულია მასწავლებელ-  
ზე: იცის თუ არა მან კინოს გამოყენების მეთოდიკა, როგორ დაა-  
კიავშიროს ის გადასაცემ მასალას, რამდენად იცნობს კინოფილ-  
მების ფონდს და რა დადგებითი და უარყოფითი მხარე აქვს ამა თუ  
იმ სასწავლო კინოფილმს.

სკოლაში კინოფილმი შეიძლება გამოვიყენოთ ექსკურსიის მომ-  
ზადებისას, ექსკურსიის შემდეგ დასკვნით საუბარში და ექსკურსი-  
ის ფილმით შეცვლის შემთხვევაში. თუ ექსკურსიას ვერ ვატარებთ,  
კინოფილმი არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია  
შეცვალოს ექსკურსია. საუკეთესო შედეგს იძლევა კინოფილმისა  
და ექსკურსიის ერთდროული ურთიერთშემავსებელი გამოყენება.

ტელეგადაცემის გამოყენებას სასწავლო აღმზრდელობითი  
მნიშვნელობა აქვს სხვა მეთოდებთან, კერძოდ ცდებისა და მასა-  
ლის სიტყვიერ გაღმოცემასთან კავშირში. მისი დანიშნულებაა და-  
ასურათოს მასალის ახსნის ვერბალური ნაწილი, შეცვალოს სა-  
წარმოო ექსკურსიები, გააცნოს მოსწავლეებს თეორიული მასალის  
მრავალფეროვანი ტექნიკური გამოყენების შესაძლებლობანი ტე-  
ლეგადაცემის უპირატესობა სხვა სახის ტექნიკურ საშუალებებთან  
არის - მობილურობა. სწრაფი გამოხმაურება მეცნიერებისა და ტექ-  
ნიკის განვითარებაზე. ტელეგადაცემებში დაუყოვნებლივ აისახება  
მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური სიახლენი, რომლებიც  
სკოლის საკუთრებად იქცევა და მოქმედებაში გადადის. ტელეგი-  
ზია ფართოდ იყენებს გამოჩენილ მეცნიერთა, მასწავლებელთა,  
ნოვატორთა და გამომგონებელთა გამოსვლებს, რითაც სისწავლო  
აღმზრდელობით და პროფორიენტაციულ გავლენას ახდენს მოს-  
წავლებზე. ტელეგადაცემის სისტემატური გამოყენება შესაძ-  
ლებელი გახდა მას შემდეგ, არც პრაქტიკაში დაინერგა ვიდეომოაგ-  
ნიტოფონით სარგებლობა სასწავლო გადაცემის ჩაწერის შემდეგ  
მასწავლებელი მას გამოიყენებს გაკვეთილზე საჭიროების მიხედ-  
ვით. ამიტომ ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი თანამედროვე  
სკოლის ტექნიკური აღჭურვილობის უაღრესად მნიშვნელოვან ნა-  
წილს წარმოადგენს. საჭიროა მაღალი კლასის ტელევიზორის გა-

მოყენება, რომელიც გამოსახულებათა დანახვის კარგ შესაძლებლობას იძლევა აუდიტორიის ფარგლებში.

უმაღლესმა სასწავლებლებმა და სკოლებმა სასურველია გამოყენონ ჩაკეტილი სატელევიზიო სისტემა, რომელიც ტელეკამერისა და ტელევიზორისაგან შედგება. ჩაკეტილი ტელეგადაცემები კარგად ეხამება გაკვეთილების გეგმიან, კანონზომიერ მიმდინარეობას და სიტყვიერსა და ექსპერიმენტულ მეთოდებთან ურთიერთკავშირში მაღალნაყოფიერ სასწავლო პროცესს აპირობებს. მთავარი აქ ისაა, რომ ტელეგადაცემები შეიცავს ორმა სტრუქტურულ და დინამიკურ თვალსაჩინოებას, რომელიც დიდაქტიკური, ლოგიკური და ესთეტიკური ნორმებით მოსწავლის დიდ ინტერესს იწვევს და ეფექტურად ეხმარება მას ბუნების საიდუმლოებათა შეცნობაში.

ტელესტუდიებსა და სკოლებში გამოყენებულია ტელეგადაცემის შემდეგი ტიპები:

1. ტელეჩანართი - მისი დახმარებით 7-10 წუთის განმავლობაში განსახილველი თემის კერძოდ ნასწავლის დემონსტრირება. უფრო მეტად ხდება რთული ექსპერიმენტის ჩვენება, რომელიც ტარდება თანამედროვე ლაბორატორიებში.

2. სატელევიზიო ლექცია - შეიცავს გაკვეთილის მთლიან თემას, ამ დროს ხდება ახლის შესწავლა და უკვე შესწავლილი მასალის განმტკიცება. ყოველი 10-15წ-ის შემდეგ მასწავლებელი შეწყვეტს ჩვენებას და იძლევა დამატებით ინფორმაციას და პასუხობს მოსწავლეების დასმულ კითხვებზე.

3. ტელეექსკურსია - ეს არის სპეციალურად გადაღებული ფირი წარმოების, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, ფიზიკური ლაბორატორიების, ქარხნების და სხვა ობიექტებზე გადაღებული სიუჟეტები.

აუდიო-ვიდეო აპარატურის (ტელეკამერა, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი, მაგნიტოფონი და სხვ.) ტექნიკური სრულყოფა ხდის მათ მობილურს და ამგვარად საშუალებას იძლევა მათი მრავალმხრივი გამოყენებისათვის.

ვიდეოტექნიკის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ჩვენ თვითონ შევქმნათ და გამოვიყენოთ ვიდეოჩანაწერი, რომ უფრო სრულყოფილი გახდეს გადასაცემი მასალის ეფექტური გააზრება, შეთვისება და რთულ პროცესებში გარკვევა.



აუდიო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებას აქვს დიდი უპირატესობა სხვა სწავლებაში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებთან ერთად რებით. ასე მაგალითად, ტელეჩვენების დროს არა საჭირო აუდიოტორიის დაბნელება, შესაძლებელია საჩვენებელი სიუჟეტის დაყოვნებით ან დაჩქარებით ჩვენება, ამა თუ იმ საჭირო კადრის ნების-მიერი დროით დაყოვნება, სასურველ ენაზე ბერითი გახმოვანება და სხვა.

ვიდეო ტექნიკის თანამედროვე დონე ხდის მას უპირატესს სხვა ტექნიკურ საშუალებებთან შედარებით და თანდათან იმკვიდრებს მნიშვნელოვან აღვილს სასწავლო პროცესის სრულყოფაში.

ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა არის მომავალი ტექნიკური საშუალებები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საქმეში, რაც ბუნებრივია იყენებს საკითხს, რათა მას-წავლებელთა კონტიგენტმა იცოდეს და ფლობდეს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ხერხებსა და მეთოდებს.

### ლიტერატურა

1. Абрамович С.М. и др. Технология программирования: методы и средства - Раствор на дону - РГУ, 1992.
2. კობახიძე კ., ფიზიკის სწავლების მეთოდიკა, 1969წ.
3. ლორთქიფანიძე დ., სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები, 1957.
4. ხაზარაძე თ., სასწავლო ტელეხედვა სკოლის სამსახურში, უურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1972წ., №10.
5. Архангельский С.И., Новая техника в учебном процессе, 1982.
6. Векслер Р.Н., Телевидение на уроке журн. "Советская педагогика", 1965.
7. Гельмонт А.М., Внедрять новое средство погладности в обучении, журн. "Народное образование".
8. Глебов В.И., Телевидение в учебном процессе, 1964.
9. Программированное обучение и использование технических средств в учебном процессе (сборник), 1966.
10. სტუ-ს საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები საბუნების-მეტყველო საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის საკითხებზე, თბილისი, 13-15 ივნისი, 2000 წელი.

И. Челидзе  
Н. Кикабидзе

И.Л. ЧЕЛИШВИЛИ, Н.И. КИКАБИДЗЕ  
ОБ ОПТИМАЛЬНОМ ПОЛЬЗОВАНИИ ТЕХНИЧЕСКИХ  
СРЕДСТВ ОБУЧЕНИЯ

РЕЗЮМЕ

Применение технических средств в учебном процессе не является чем-нибудь новым. В настоящее время требуется дальнейшее усовершенствование соответствующей методики и ее рациональное использование в этом направлении.

Установлено, что одним из показателей рационального применения ТСО является фрагментальность и их логически правильное распределение на структуре урока.

Возможность ТСО показывает явления всестороние и во взаимосвязи - один из главных факторов экономии времени, особенно при закреплении и повторении пройденного материала.

Технический уровень развития современной компьютерной и аудио-видео техники дает большие перспективы их использования в учебном процессе, как экзаменатора, репетитора и как средство демонстрации и проекции.

## ქართველ ჭელიძე

### MICROSOFT OFFICE-ის კომპიუტერთა აზრობატირების

Microsoft Office წირმოადგენს ფირმა Microsoft-ის მიერ შექმნილ სამომხმარებლო პროგრამათა პაკეტს, რომელიც მოიცავს პროგრამებს: Word (ტექსტური რედაქტორი), Excel (ელექტრონული ცხრილები), Access (მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა), PowerPoint (საჩვენებელი დოკუმენტების შექმნელი პროგრამა) და სხვა. აღნიშნული პროგრამები მომხმარებელს მოქმედებათა ფართო არჩევანის გაკეთების უფლებას აძლევს (წერილების, მისალოცი ბარათებისა და ნებისმიერი სხვა ტექსტური დოკუმენტის შექმნა, ელექტრონული ცხრილებით ეკონომიკური, მათემატიკური და სხვა ამოცანების ამოხსნა, დიაგრამის აგება, ამა თუ იმ სახის მონაცემთა ბაზების შექმნა და სხვა). მიუხედავად არჩევანის მრავალფეროვნებისა ზოგჯერ საჭიროა რაიმე მოქმედების ავტომატიზირება, რისთვისაც პროგრამათა პაკეტი შეიცავს პროგრამირების საშუალებასაც, სადაც პროგრამირების ენად აღებულია Microsoft Visual Basic.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ფირმა Microsoft-ის დამაარსებლების მიერ დამწყებთათვის შეიქმნა პროგრამირების ენა Basic. 20 წლის შემდეგ კი გამოიუშვეს პირველი ენა სამომხმარებლო პროგრამებისათვის Microsoft Visual Basic for Applications (VBA). იგი ობიექტებზე-ორიენტირებადი პროგრამირების ენაა და საერთოა MS Office ყველა სამომხმარებლო პროგრამისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს დაპროგრამებისას გამოვიყენოთ საერთო ფუნქციები, პროცედურები, მართვის სტრუქტურები და სინტაქსი. VBA-ს პროგრამის ერთი და იგივე კოდი შეიძლება მცირეოდენი ცვლილებებით გადავიტანოთ MS Office ყოველ პროგრამაში.

ობიექტთა კომპონენტური მოდელი (Component Object Model - COM) წარმოადგენს Microsoft ფირმის ტექნოლოგიის ActiveX მაცირებელს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევქმნათ შედგენილი დოკუმენტები ანუ თავიდან ავიცილოთ უზარმაზარი, მონოლითური სამომხმარებლო პროგრამის შექმნის საჭიროება, და პროგრამის ფუნქციონალური შესაძლებლობები გავანაწილოთ სხვადასხვა პატარა კომპონენტებს შორის. COM განსაზღვრავს იმ ინტერფეისს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ სხვადასხვა პროგრამისტებისა და სხვადასხვა ენებზე დაწერილი ობიექტები, უკვე არსებულ პროგრამულ კომპონენტთა საფუძველზე შევქმნათ ახალი სამომხმარებლო ინსტრუმენტები და პროგრამები. იგი მართავს ობიექტთა კავშირისა და ჩასმის მეთოდით (Object Linking and Embedding - OLE) შექმნილ ობიექტებსაც.

OLE არის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ პროგრამებში სხვა პროგრამებით შექმნილ მონაცემთა რედაქტირება და ჩასმა. იგივე ითქმის დოკუმენტებისათვისაც (დოკუმენტი ფართო გაგებით არის ის ფაილი, რომელიც ინახავს ტექსტს, ელექტრონულ ცხრილს, მონაცემთა ბაზის ცხრილებს, სურათს და სხვა).

ობიექტთა კავშირი - Object Linking - გულისხმობს იმას, რომ დოკუმენტებში ჩასმული მონაცემები დაკავშირებულია მათ შექმნელ პროგრამებთან. ამ დროს მონაცემები იმყოფება დისკზე არსებულ რომელიმე ფაილში. მათთან კავშირი ასევე შეიძლება დამყაროს სხვა პროგრამამაც. საკმარისია ამ ფაილის მონაცემები შეიცვალოს, რომ ავტომატურად შეიცვლება დოკუმენტში ჩასმული მონაცემებიც.

ობიექტთა ჩასმისას - Object Embedding - მონაცემები ჩასმულია დოკუმენტში და მათ არა აქვთ კავშირი შექმნელ პროგრამებთან. დოკუმენტში იბიექტი თავსდება ან კოპირებით ან ჩასმით. მონაცემების ცვლილებისას დოკუმენტებში არსებული მონაცემები ავტომატურად არ იცვლება.

OLE ტექნოლოგიის ერთ-ერთი შესაძლებლობაა OLE - Automation ანუ „ავტომატიზაცია“ ეს არის იმ შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც შეიძლება სამომხმარებლო პროგრამამ გამოიყენოს. Of-

fice-ის პროგრამებს შორის მონაცემთა ურთიერთგაცვლა, ენთეფე-  
ელდება ამ მექანიზმის საშუალებით. იმ პროგრამას, პროგრამები  
იყენებს ავტომატიზაციის ობიექტებს უწოდებენ კონტროლიორს  
(კონტრინერს), ხოლო პროგრამა, რომელიც ქმნის ამ ბლოკებს -  
სერვერს.

სამომხმარებლო პროგრამას, რომელიც აღჭურვილია Automation-ით შეუძლია უზრუნველყოს: მონაცემთა ბაზის (Access), მონაცემთა საფინანსო ანგარიშისა და წარმოდგენის (Excel), ტექსტური პროცესორის და სამაგიდო-საგამომცემლო სისტემის (Word), ინფორმაციის საჩვენებელ დოკუმენტად წარმოდგენის (Power Point) და სხვა მომსახურეობა.

ავტომატიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც VBA ორი ფუნქციის: CreateObject, GetObject გამოყენება.

ფუნქცია CreateObject, შეიძლება გამოვიყენოთ სერვერი პროგრამის ჩატვირთვისათვის. მისი ზოგადი სახეა:

```
Dim ObjVar as Object 'ObjVar არის ობიექტის ტიპის ცვლადი,  
რომელიც ' იქმნება მეხსიერებაში სერვერი პროგრამისათვის
```

```
Set ObjVar=CreateObject("ApplicationName.ObjectType")
```

ჩატვირთული პროგრამა არ ჩანს ამოცანათა სტრიქონზე. მას დავინახავთ მხოლოდ პროგრამათა მმართველში ჩამოთვლილ სიაში (გამოიძახება Ctrl+Alt+Del-კლავიშთა კომბინაციით). ამოცანათა სტრიქონზე გამოჩენისათვის საჭიროა მივცეთ ბრძანება ObjVar.Visible=True. ობიექტის დაზურვისათვის კი ბრძანება ObjVar.Quit.

ფუნქცია GetObject გამოიყენება უკვე არსებული ობიექტისათვის (ფაილთა ჩასატვირთად):

```
Dim ObjVar as Object
```

```
Set ObjVar=GetObject(["PathOfFile"],["ApplicationName.ObjectType"])
```

სადაც PathOfFile -ჩასატვირთი ფაილის სრული მისამართია.

პროგრამები: Word, PowerPoint, Access, Binder, Outlook გამოიყენება Automation-ში როგორც ერთი ობიექტი - თვით პროგრამა (Application), Excel კი როგორც სამი: პროგრამა, ფურცელი (Sheet) და დიაგრამა (Chart). ამრიგად, ფუნქციაში GetObject კლასებად (ApplicationName.ObjectType) შეიძლება გამოვიყენოთ:

Word.Application, PowerPoint.Application, Access.Application, Binder, Outlook.Application და Excel.Application, Excel.Sheet, Excel.Chart (იგულისხმება, რომ სამომხმარებლო პროგრამები, რომელთა გამოყენება ხდება Automation-ში კომპიუტერში დაყენებულია).

ვთქვათ, მონაცემები მოთავსებულია Access მონაცემთა ბაზაში Employee.mdb არსებულ ცხრილში Persons, რომლის ველებია: Name, Address, Place, Salary (გვარი, მისამართი, სამუშაო ადგილი, ხელფასი) და სხვა, და გვსურს გადმოვიტანოთ Word-ისა და Excel-ის ცხრილებში ამ ველებში ჩაწერილი მონაცემები. შევქმნათ ქვეპროგრამა Word\Tools\Visual Basic Editor...-ის საშუალებით (სიმარტივისათვის ფაილები მოვათავსოთ C:\Example კატალოგში):

### **Sub data\_from\_access\_in\_tables()**

```

Dim objwrd As Object ' ობიექტი Word-ის დოკუმენტისათვის
Dim objxls As Object ' ობიექტი Excel-ის ცხრილისათვის
Dim objacc As Object ' ობიექტი Access -სათვის
Dim objdb As Object ' ობიექტი მონაცემთა ბაზისათვის Employee
Dim objrst As Object ' ობიექტი ცხრილი Persons -სათვის
Dim ar(4) As String ' მასივი ცხრილთა სათაურისათვის
ar(1)="გვარი"
ar(2)="მისამართი"
ar(3)="სამუშაო ადგილი"
ar(4)="ხელფასი"

```

```

Set objwrd = Documents.Add ' გვესნათ ახალი დოკუმენტი Word-ში
' შევქმნათ Excel-ის ობიექტი objxls

```

```

Set objxls = CreateObject("Excel.application")
objxls.workbooks.Add ' შეიქმნას ახალი სამუშაო ფაილი Excel-ში
objxls.Visible = True ' ჩანდეს პროგრამა Excel დავალებათა სტრიქონში
' შეიქმნება Access-ის ობიექტი objacc

```

```

Set objacc = CreateObject("Access.Application")
' გვესნათ არსებული მონაცემთა ბაზა C:\Example\Employee.mdb
objacc.opendatabase "c:\example\employee.mdb"
objacc.Visible = True ' ჩანდეს Access დავალებათა სტრიქონში
' ობიექტი გახსნილი მონაცემთა ბაზისათვის

```

Set *objdb* = *objacc.currentdb*

‘ ობიექტი გახსნილი ცხრილისათვის

Set *objrst* = *objdb.openrecordset("persons")*

*recnum=objrst.RecordCount* ‘ცხრილში Persons ჩანაწერთა რაოდენობა

‘შევქმნათ 4 სვეტიანი *recnum+1* სტრიქონიანი Word-ის ცხრილი

Set *tbl* = *ActiveDocument.Tables.Add(Selection.Range, recnum+1, 4)*

‘ დავაყენოთ ქართული შრიფტი ცხრილის I-III სვეტისათვის

for *i=1 to 3*

*tbl.columns(i).select*

*selection.font.name="CHVEULEBRIVY A&V"*

next

‘ Word- ის ცხრილის პირველი სტრიქონის შრიფტი იყოს ქართული  
*tbl.rows(1).select*

*selection.font.name="CHVEULEBRIVY A&V"*

‘ ჩავწეროთ ar მასივის ელემენტები ცხრილების სათაურად

for *i= 1 to 4*

‘ ამოვირჩიოთ Word-ის ცხრილის *i*-ური სვეტის პირველი უჯრა

*tbl.Cell(1, i).Select*

*selection.typetext ar(i)* ‘ ჩავწეროთ მასივის ar(i) ელემენტი

‘ Excel-ის A1, B1, C1, D1 უჯრების მნიშვნელობა გახდეს შესაბამისად

‘ *ar(1), ar(2), ar(3), ar(4)-ის* ტოლი და მათი შრიფტი იყოს ქართული

*objxls.Range(chr(65+i-1)+"1").font.name="CHVEULEBRIVY A&V"*

*objxls.Range(chr(65+i-1)+"1").value=ar(i)*

next

‘ ჩავწეროთ მონაცემები Access-დან Excel-ისა და Word-ის ცხრილებში

*i = 2* ‘ დავიწყოთ მეორე სტრიქონიდან

With *objrst*

Do Until *.EOF* ‘ სანამ არ არის მიღწეული ფაილის ბოლო

*.Edit*

‘ კურსორი მოვათავსოთ ცხრილის *i*-ური სტრიქონის პირველ სვეტ-ზე

*tbl.Cell(i, 1).Select*

Selection.TypeText !Name ‘ հաՅֆյերոտ Name Յըլու մեջմանցություն  
 tbl.Cell(i, 2).Select  
 Selection.TypeText !Address  
 tbl.Cell(i, 3).Select  
 Selection.TypeText !Place  
 tbl.Cell(i, 4).Select  
 Selection.TypeText !salary  
 objxls.Range("A" & i).Font.Name = "CHVEULEBRIVY A&V"  
 ‘ Excel-ու Ա, B, C և D սահմանագծություն հայֆյերություն մոնակացման  
 objxls.Range("A" & i).Value = !Name  
 objxls.Range("B" & i).Font.Name = "CHVEULEBRIVY A&V"  
 objxls.Range("B" & i).Value = !Address  
 objxls.Range("C" & i).Font.Name = "CHVEULEBRIVY A&V"  
 objxis.Range("C" & i).Value = !Place  
 objxls.Range("D" & i).Font.Name = "Times New Roman"  
 objxls.Range("D" & i).Value = !Salary  
 .Update  
 .moveNext ‘ յանաբերություն շեմանություն հանդիպություն  
 $i = i + 1$   
 Loop  
 End With  
 ‘ Մեզոնակություն Excel-ու և Word-ու գործություններու արևելություն  
 ‘ կարգավորություն առաջարկություն Persons.doc և Persons.xls, մասնաւոր մասնակություններու առաջարկություն առաջարկություն կազմակերպություն,  
 If Dir("c:\example\persons.xls") <> "" Then  
 Kill "C:\Example\Persons.xls"  
 End If  
 objxls.workbooks(1).SaveAs "C:\Example\Persons.xls"  
 If Dir("c:\example\persons.doc") <> "" Then  
 Kill "C:\Example\Persons.doc"  
 End If  
 objwrd.SaveAs "C:\Example\Persons.doc"  
 objxls.Quit  
 objacc.Quit

*objwrド.close* ‘ დავხუროთ ფაილი Persons.doc

Set *objxls=Nothing* ‘ობიექტის ცვლადის განადგურება

Set *objrst=Nothing*

Set *objdb=Nothing*

Set *objacc=Nothing*

End Sub

ქვეპროგრამის შესრულების შემდეგ მაგ.: პროგრამა Word-ზე შეიქმნება შემდეგი სახის ცხრილი:

გვარი	მისამართი	სამუშაო ადგილი	ხელფასი
ასათიანი	ნინოშვილის 45	ქსუ	100.00
გიორგაძე	ჭავჭავაძის 29/4	ფირმა „ნათია“	140.00
აბაშიძე	რუსთაველის 10	აფთიაქი № 2	200.00

პროგრამული კოდის მცირეოდენი ცვლილებებით შევძლებთ მის გადატანას სხვა სამომხმარებლო პროგრამებში (Excel, Access) და ასევე მონაცემების გაცვლას Word-სა და Excel-სა ან Excel-სა და Access შორის და სხვა.

Microsoft Office-ის პროგრამათა პაკეტში პროგრამირების ინსტრუმენტის არსებობა და Automation-ის მექანიზმი ამ პროგრამათა გამოყენებას სულ უფრო სრულყოფილს ხდის. თავიდან შეიძლება ავიცილოთ ტექსტის ფორმატირების, მონაცემთა ურთიერთგაცვლის მონოტონური სამუშაო და იგი ავტომატიზირებული გავხადოთ VBA-ზე დაწერილი ქვეპროგრამებისა და ფუნქციების საშუალებით.

### ლიტერატურა:

1. Соломон К. - Microsoft Office разработка приложений, БХВ - 1998;
2. Райнтингер М., Г. Муч - Visual Basic 6.0 - БХВ - 1999;

## АВТОМАТИЗАЦИЯ КОМПОНЕНТОВ MICROSOFT OFFICE

### РЕЗЮМЕ

Automation - автоматизация - это набор служб, которыми приложение может воспользоваться. В частности Microsoft Office это служба: баз данных, расчётов, финансового анализа данных, текстового процессора, и др. Для этого используется единый язык программирования VBA.

## ანზორ ჭიჭინაძე, გუგული ქიშჩარევიშვილი, ნანა კილაძე

### ზოგიერთი რამ მპოლოგიური განათლების შესახებ

გარემოში მიმღინარე მოვლენებს სპეციალისტი ბუნებისმეტყველები მიზეზ-შედევობრივი მიღვომის პრინციპით ხსნიან. ფართო საზოგადოება და ახალგაზრდობა, უმრავლეს შემთხვევაში, არ არიან ინფორმირებული თანამედროვე ეკოლოგიის პრაქტიკულ საკითხებში.

ადამიანისა და გარემოს ურთიერთობების გათვითცნობიერება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა ხდებოდეს, მაგრამ დღევანდელი სკოლა ვერ უღვივებს ინტერესს მოზარდს ეკოლოგიური მეცნიერების მიმართ. ის ერთი თავი, ისიც მცირე, რომელიც ეკოლოგიას აქვს დათმობილი ზოგად ბიოლოგიაში, ძალზე სუსტია და ვერ აღწევს მიზანს - განუვითაროს ახალგაზრდას ეკოლოგიური ორიენტაციისა და ეკოლოგიური აზროვნების უნარი.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება, საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1994 წლის 21 ივნისს, სამინისტროსთან არსებული ეკოლოგიური მეთოდსაბჭოს მიერ დამუშავებულ იქნა პროექტი, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამი მნიშვნელოვანი პუნქტით:

1. ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი საკითხების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირითად საგნებში

2. სპეციალური საგნის - „გარემო და ადამიანი“ შემოღება მე-9 ან მე-10 კლასებში

3. აღნიშნულ დისციპლინაში დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა სკოლების პედაგოგთათვის

აღნიშნული გადაწყვეტილება გულისხმობს ეკოლოგიური განათლების უწყვეტ ხასიათს, ახალი ეკოლოგიური ფაქტორის, ე.წ.

„ანთროპოგენული ფაქტორის“, წარმოშობა-განვითარებასა და მისი  
უარყოფითი შედეგების განხილვას.

თანამედროვე ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ გარემოს  
უარყოფითი ცვლილება ძამიანის წარმოშობამდე ბევრად ადრე  
დაიწყო. დაბინძურების ბუნებრივი წყაროები მეტად მრავალგვა-  
რია. ძამიანის წარმოშობამ და ევოლუციამ მძლავრი ბიძგი მისცა  
ბიოსფეროს შემდგომ დეგრადირებას თუმცა ეს პროცესი არა ერთ  
ფაქტორზე იყო დამოკიდებული.

ანთროპოგენული ფაქტორის თვალსაჩინო განვითარება  
დაახლოებით 100 წლის წინათ დაიწყო, მაშინ, როცა ერთმანეთს  
სამი მოვლენის განვითარება დაემთხვა:

- მოსახლეობის მკვეთრი ზრდა
- ტექნიკური პროგრესი
- ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ათვისება

ყოველივე ამას კი გარემოს დეგრადირების აღეკვატური ხასია-  
თი მოჰყვა.

ეკოლოგიური მოვლენების ღრმა ანალიზისათვის საჭიროა ეკო-  
ლოგიური განათლება, რომელიც ისეთივე აუცილებელია ადამია-  
ნისათვის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრება.

წინა ისტორიულ პერიოდში განათლება ჩამოყალიბდა, როგორც  
სისტემა. ამ სისტემის მიზანი იყო ისეთი პრინციპების შემუშა-  
ვება, რომელთა მიხედვითაც გადაცემული ცოდნა სწორად იქ-  
ნებოდა გამოყენებული და არ მოიტანდა არასასურველ შედეგებს.  
ისტორიულად განათლებას სხვადასხვა მიზანი ჰქონდა, ხან სიქვე-  
ლის მიღწევა, ხან საკუთარ სულზე ზრუნვა, ხან იყო ღვთის შე-  
მეცნების საშუალება, ხან უნივერსალური ცოდნის მოპოვების სა-  
შუალება, ხანაც კიდევ სამყაროს გარდარქმნა საკუთარი შეხედუ-  
ლებების მიხდვით. ყველა ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა ერთი  
რამ - განათლება საჭიროა იმისთვის, რომ მიღებული ცოდნა გა-  
მოიყენო ცხოვრებაში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიო.

განათლების მიღება უზრუნველყოფდა ადამიანის მომზადებას  
ცხოვრებისათვის.

ჩვენი დრო ცოდნისა და ინფორმაციის მიღებით პრინციპულად  
განსხვავდება წინამორბედი ეპოქებისაგან. ინფორმაციის გავრცე-



ლების ელექტრონული საშუალებების განვითარებამ შესაძლებელი  
გახდა ცოდნის მიღების ახალი გზების შემუშავება. კომპიუტორები  
მა, ინტერნეტმა, ტელევიზიონმა და რადიომ თვისობრივად შეცვალ  
განათლების მიღების ყველა ფორმა. დღევანდელობამ ცოდნა და  
განათლება დააშორა ერთმანეთს. ცოდნა და ინფორმაცია გახდა  
ყველგანმყოფი და განუზომლად პრაქტიკული.

განათლებული გულისხმობს ისეთ ადამიანს, რომელმაც სწო-  
რად მიიღო ცოდნა და, შესაბამისად, იცის ამ ცოდნის მართებულად  
გამოყენება. ცოდნის არასწორად გამოყენებაში იგულისხმება  
საფრთხე, რომელიც ემუქრება როგორც ყოველ კონკრეტულ ადა-  
მიანს, ასევე საზოგადოებასა და იმ გარემოს, რომელშიაც ჩვენ  
ვცხოვრობთ.

შესაბამისი განათლების გარეშე ცოდნისა და ინფორმაციის ხელ-  
მისაწვდომობამ გამოიწვია ის კატაკლიზმები, რომელიც ემუქრება  
ჩვენს საცხოვრებელ არეალს, იქნება ეს უამრავი დამანგრეველი  
იარაღი, რადიკალური იდეოლოგიები, თუ ეკოლოგიური ნიშნის გა-  
მანადგურებელი პროექტები. ყველაზე უფრო სავალალო ისაა, რომ  
საკუთარი გარემოს დანგრევა დღეს უკვე ყოველ ადამიანს შეუძ-  
ლია, თუკი დაუფიქრებლად გამოიყენებს იმ ცოდნას, რომელიც  
მიიღო. ამიტომ დღის წესრიგში დადგა განათლების, როგორც სის-  
ტემის, შეცვლის აუცილებლობა. საჭირო გახდა არა ისეთი სისტე-  
მა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ეტაპობრივ მიღებას, არა-  
მედ ისეთი პრინციპების შემუშავებას, რომელებიც მყარ და ზნეობრივ  
საფუძველს შეუქმნის ნებისმიერი ცოდნის ათვისებას და დაიცავს  
ადამიანებს მიღებული ცოდნის დამანგრეველი გამოყენებისაგან.

ყველაზე უფრო ზოგადი და შესაბამისი სახელი, რომელიც გა-  
ნათლების ამ ახალ სისტემას შეიძლებოდა დარქმეოდა, არის ეკო-  
ლოგიური განათლება, ანუ განათლება ჩვენი საკუთარი სახლის,  
გარემოს, მოვლის შესახებ.

ეკოლოგიური განათლება პრინციპულად განსხვავდება ეკოლო-  
გიური ცოდნისაგან.

მეცნიერება „ეკოლოგია“, რომელიც უმაღლეს სასაწავლებელ-  
ში ისწავლება, დაინტერესებულის ბუნებაში სხვადასხვა სისტე-  
მების ურთიერთობით და იკვლევს ბუნების სისტემების ურთიერ-

თობისა და წონასწორობის წესებს.

ეკოლოგიური განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ბუნების წესებს სახებ ცოდნის მიღებას, როგორც ეს დღეს ბევრს მიაჩნია.

ეკოლოგიური განათლება არის ცოდნა იმ სისტემების შესახებ, რომლებიც არსებობს ჩვენში და ჩვენს გარეთ და უზრუნველყოფს ჩვენი საზოგადოებისა და გარემოს ნორმალურ ურთიერთქმედებას.

ეკოლოგიური განათლება მოსწავლეს უქმნის წარმოდგენას სამყაროს, როგორც სისტემის, შესახებ და აჩვენებს, თუ როგორ არის მასში ყველაფერი ერთმანეთთან აუცილებლობით დაკავშირებული. ეკოლოგიური განათლება უხსნის საზოგადოების წევრებს, თუ რა მოსდევს საერთო სისტემიდან რომელიმე ელემენტის დაუფიქრებლად ამოვარდნას, ანდა დაუფიქრებლად სისტემაში უცხო ელემენტების ჩართვას.

ეკოლოგიური განათლება იძლევა არა რაიმესაკენ მიმართულ სპეციალურ ცოდნას, არამედ ასწავლის, თუ როგორ უნდა მიიღო ნებისმიერი ცოდნა. მისი მიზანია დაანახოს მოსწავლეს, რომ ცოდნის სისტემები, იქნება ის ფიზიკა, ფილოლოგია, მექანიკა თუ ეკონომიკა, არ არის თავის თავში ჩაკეტილი; რომ ის თემები და საგნები, რომლებიც სხვადასხვა სფეროშია მოქცეული, სამყაროს სრულუფლებიანი და აუცილებელი ელემენტებია.

დღევანდელი სკოლა, რომელიც ეკოლოგიურ განათლებას იძლევა, არის ადგილი, სადაც მოსწავლე იწყებს საკუთარი თავის შეგრძნებას გარემოს ნაწილად, სწავლობს, თუ რას უნდა ელოდოს მისგან. ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიური განათლების გავრცელებას სკოლის გარეთაც და საზოგადოების ყოველი წევრის ეკოლოგიური განათლების მიზნად ქცევასაც.

ბუნებრივია, ვერ ვიტყვით, რომ ეკოლოგიური განათლება სრულყოფილი სისტემაა, რომელიც ადამიანისა და სამყაროს ყველა ურთიერთობის პრობლემას წყვეტს. ეკოლოგიური განათლების პრინციპებისა და მეთოდების ჩამოყალიბება დღესაც გრძელდება, მაგრამ ეკოლოგიური განათლება, ჯერ-ჯერობით, ერთადერთი გონივრული საშუალებაა, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანმა დაიცვას საკუთარი თავი, საკუთარი გარემო და საზოგადოება იმ სიფრთხილისაგან, რომელსაც თვითონვე ქმნის.

მოსწავლეს, რომ ცოდნის სისტემები, იქნება ის ფიზიკა, ფილო-  
ლოგია, მექანიკა თუ ეკონომიკა, არ არის თავის თავში ჩავსტოდოს,  
რომ ის თემები და საგნები, რომლებიც

### ლიტერატურა

1. ელიავა ი., ნახუცრიშვილი გ., ქაჯაია გ., ექოლოგიის საფუძ-  
ლები, თბილისი, 1992.
2. თევზაძე გ., განათლების ექოლოგია- ურნალი „გარემო და  
განვითარება“, 1999, № (21).
3. ქაჯაია გ. ექოლოგიური განათლების მდგომარეობა და პერ-  
სპექტივები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.  
ურნალი „გარემო და განვითარება“ 1998, №18.
4. ყურაშვილი ბ., ბუნების დაცვა ყოველი ადამიანის მოვა-  
ლეობაა, თბილისი, 1977.
5. ქანაშვილი ა. ადამიანი და ბუნება, თბილისი, 1976.

Anzor Chichinadze, Guguli Kishmareishvili, Nana Kiladze

## SOME REMARKS ABOUT ECOLOGICAL EDUCATION

### SUMMARY

Young Generation and our society in most cases are not informed in modern ecological practical questions. Ecological knowledge is the knowledge about the system which exists in and around us, and which provides the interaction of our society and environment. The development of principles and methods of ecological knowledge is very actual nowdays too, as it is the only way to protect ourselves, environment and society from the danger which the humanity creates.

## ნინო ჭოხონელიძე

### მუსიკის სრავლების საკითხები მრჩევლ პლასტი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით კლასებში მუსიკის სწავლების მიზანია საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის მუსიკალური მონაცემების განვითარებას (მუსიკალური სმენა, მუსიკალური რიტმი, მუსიკალური მეხსიერება; გამოუმუშაოს მათ მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსის აღქმისა და გაგების უნარი; გაუღვივოს მუსიკისადმი სიყვარული და ინტერესი, განუვითაროს მუსიკალური გემოვნება და მუსიკისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება).

ამ მხრივ პირველი კლასის გაკვეთილებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა მუსიკალური აღზრდის მთელ სისტემაში. აქ ვითარდება ბავშვების დამოკიდებულება მუსიკის გაკვეთილებისადმი, თვითონ მუსიკისადმი, რომელიც შემდგომი მუშაობის საძირკველია.

ჩვეულებრივ პირველკლასელების მუსიკალური დონე საკმაოდ არათანაბარია. ბავშვების ერთმა ნაწილმა, რომლებიც დადიოდნენ საბავშვო ბაღში და აქვთ გარკვეული მუსიკალური განათლება, შეიძლება მუსიკალურ ნაწარმოებს ყურადღებით მოუსმინონ. ბავშვების მეორე ნაწილმა, ვისაც საბავშვო ბაღში არ უვლიათ, რა თქმა უნდა, არ ეცოდინებათ, თუ რა არის მუსიკის მოსმენა; ვერ წარმოუდგენიათ, რას ნიშნავს სიმღერის კარგი შესრულება. ბავშვების ერთ ნაწილს მოსწონს კიდეც მუსიკა, თუმცა ამაზე არც უფიქრიათ; მეორენი კი გულგრილნი არიან მის მიმართ. ყველა ამ თავისებურებების გათვალისწინებით პირველ კლასში მუსიკალური აღზრდის ამოცანები შემდეგია:

1. მოსწავლეებში მუსიკისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვიძება, მისი მოსმენისა და შესრულების სურვილი.

2. მივცეთ პირველი, ყერ კიდევ ელემენტიარული წარმოდგენის მუსიკის ცხოვრებასთან კავშირის შესახებ, გავაცნობიერებისთვის რომ მხოლოდ მუსიკას შეუძლია მისთვის დამახასიათებელი საშუალებებით გადმოსცეს ადამიანის განცდები და გრძნობები; ის რაც მათ უხარიათ და სწყინთ; სწორედ ამიტომაა მუსიკალური ნაწარმოებები ასე მრავალფეროვანი: მხიარული და სევდიანი, წყნარი და საზეიმო. მუსიკის თანხლებით ცეკვავენ, დადიან, მღერიან სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის სიმღერებს.

3. პირველკლასელებმა უნდა მიიღონ ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი ხერხებით გადმოსცემს კომპოზიტორი ნაწარმოების შინაარსს და ხასიათს. პირველი კლასის „ სავარაუდო შენიშვნები“ ნათქვამია: თავიდან უნდა მოვერიდოთ ყველაფერს, რაც ბავშვებისაგან მოითხოვს რომელიმე წესის სწავლას ან რომელიმე სავარჯიშოს მრავალჯერ განმეორებას. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს, რომ მოსწავლეებმა ყოველგვარი ძალადატანების გარეშე შეძლონ მუსიკის საერთო ელემენტებში გარკვევა: ბეჭედის გარჩევა სიმაღლის მიხედვით, გრძლიობისა და სიძლიერის მიხედვით, მათი მოძრაობის სიჩქარით და მივართულებით; ძლიერი და სუსტი დროების ურთიერთობა; მათი რაოდენობა ტექსტში (მეტრო-რიტმი), მელოდია და თანხლება (აკომპანიმენტი); ბეჭედის გამომსახველობითი საშუალებები და მათი ურთიერთშეთანხმება; ბეჭედის სხვადასხვანირი შეფერილობა (ტემბრი); მუსიკის ავტობულების მარტივი ფორმები (ერთნაწილიანი, ორნაწილიანი, სამნაწილიანი), მუსიკის შესრულების სხვადასხვა სახეები.

4. მოსწავლეებში მიღებული მუსიკალური შთაბეჭდილებებისა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე აუცილებელია მათ განუვითაროთ მუსიკალური მონაცემები: მუსიკისადმი ემოციური გამოძახილი, მუსიკალური სმენა, რიტმისა და კილოს განცდა, მუსიკალური მეხსიერება. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგუნდო ჩვევების განვითარებას.

პირველ კლასში სიმღერის შესწავლა, სმენის განვითარება, მუსიკალური ანბანის შესწავლა უმარტივესი ფორმით უნდა წარმოებდეს, რათა ყოველივე ეს არ გახდეს პირველი კლასის მოსწავლისათვის დამღლელი და მოსაბეჭრებელი. მასწავლებელმა ხში-

რად უნდა შეცვალოს სამუშაოს მიმართულება: სმენის განვითარება მუსიკალური ანბანის შესწავლით, მუსიკალური ანბანის შესწავლა სიმღერის შესწავლით, მუსიკალური ინსტრუმენტების გაცნობა მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენით და ა.შ.

პირველკლასელთა რეპერტუარში შეტანილი უნდა იყოს ისეთი მხიარული და საინტერესო სიმღერები, რომლებსაც ბავშვები შეასრულებენ მუსიკალურ-რიტმული მოძრაობების თანხლებით. მაგ. რ. სებისკვერაძის „გამოცანები“, „მოსწავლე ვარ ნამდვილი“, „დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი“. ნ. გაბუნიას „ნაძვის ხე“, გ. ჩხილაძის „გაზაფხული“ და სხვა. მოსასმენად შერჩეული უნდა იქნას განსხვავებული ხასიათის მუსიკალური პიესები. მათ შორის ისეთები, რომლებსაც შეიძლება მოსწავლეებმა მასწავლებლის ხელმძღვანელობით ააყოლონ ტაში მუსიკის უკეთესად შეგრძნების მიზნით. მაგ. ე. ექსანიშვილის „მხიარული-სევდიანი“, მ. დავითაშვილის „ცისარტყელა“, თ. შავერზაშვილის „სკოლისაკენ“, „მოხეტიალე მუსიკოსი“, „ტოროლა“, „ნანა“, ხალხური „მზე შინა და მზე გარეთა“, ს. ნასიძის „წვიმა“ და სხვა.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ მუსიკის მოსმენაზე, რომლის მიზანია გავაცნოთ პირველი კლასის მოსწავლეებს სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის მუსიკალური ნაწარმოებები, ავღზარდოთ ბავშვებში მუსიკის მოსმენის კულტურა, გამოუმუშაოთ მათ მუსიკის ემოციურად განცდის უნარი.

ჩვეულებრივ, მუსიკის მოსმენა ეტაპებადაა დაყოფილი. ესენია: შესავალი საუბარი, ნაწარმოების შესრულება, მოსმენილი ნაწარმოების გარჩევა ანუ ანალიზი და განმეორებითი მოსმენა. ეტაპებად დაყოფა პირობითია. ეს თანმიმდევრობა შეიძლება შეცვალოს მასწავლებელმა თავისი შეხედულებისამებრ.

შესავალი საუბრის ძირითადი მიზანია მოსწავლეთა დაინტერესება მუსიკალური ნაწარმოებით და მოსმენისათვის მათი განწყობა. შესავალ საუბარში მასწავლებელი მოსწავლეებს საინტერესოდ უნდა ესაუბროს კომპოზიტორზე, თვითონ ნაწარმოებზე. მის თხრობას უნდა ჰქონდეს ემოციური ხასიათი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას.

საუბარი მოსმენილ ნაწარმოებზე, ანუ ნაწარმოების გარჩევა



ისევე როგორც შესავალი საუბარი, უნდა იყოს მოქლე, ლაპტონური და ატარებდეს ცოცხალ, ძალდაუტანებელ ხასიათს. ზავშევები ვეტიურად უნდა ჩაერთონ მუსიკალური ნაწარმოების გარჩევაში. მათ მოსმენილი ნაწარმოების შესახებ საჭიროა გადმოსცენ საკუთარი შთაბეჭდილებები. მოეწონათ თუ არა მოსმენილი ნაწარმოები და რატომ?

მუსიკის მოსმენის შემდგომი ეტაპია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმეობის განმეორება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებული შთაბეჭდილებების შემდგომი სრულყოფისათვის. პირველკლასელები სიამოვნებით ისმენენ ნაცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს. ისინი სიხარულით ხვდებიან უკვე ნაცნობ მელოდიას და ხდება ნაწარმოების ერთგვარი „გათავისება“, საკუთარი დამოკიდებულებების გამომუშავება. განმეორებით მოსმენას მასწავლებელმა შესაძლებელია მიმართოს როგორც იმავე გაკვეთილზე, ისე შემდგომ გაკვეთილებზე. რამდენჯერმე მოსმენა ეხმარება მოსწავლეებს მუსიკალური ნაწარმოების უკეთ აღქმაში.

პირველი კლასის მოსწავლეები ისმენენ როგორც ვოკალურ ისე ინსტრუმენტულ მუსიკას. სისტემატურად მოსმენის შედეგად მათ უნდა შეძლონ განსაზღვრონ ნაწარმოების ხასიათა, დასახელონ მარშია თუ ცეკვა, გამოიცნონ ტემპი, უღერადობის სიძლიერე, გაარჩიონ ერთმანეთისაგან განსხვავებული მუსიკალური ნაწარმოებები, გამოიცნონ უკვე ნაცნობი მუსიკალური ნაწარმოებები.

ჩვენი აზრით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით კლასებში მუსიკის სწავლების ძირითად ფორმად სიძლერა ითვლება, მაგრამ ამასთანავე მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით პირველ კლასში, მუსიკის მოსმენა ასრულებს. ამიტომ, მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენას და საუბრებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ასევე აუცილებელია მოსწავლეთა სპეციალური მომზადება, სათანადო თეორიული მასალის შესწავლა. რაც უფრო ღრმა და საფუძვლიანია მოსწავლეთა ცოდნა, მით უფრო მეტი ინტერესით ეკიდებიან ისისნი მუსიკალური მასალის მოსმენას.

1. ბუსურაშვილი ჭ., მუსიკალური გემოვნების აღზრდა თბ. 1971.
2. მუსიკა და რიტმიკა, პროგრამა და მეთოდური რეკომენდაციები დაწყებითი კლასებისათვის თბილისი, 1990.
3. სიმბონიშვილი ნ., მუსიკის გაკვეთილები პირველ კლასში თბილისი, 1990.
4. აარაქსინა თ.ა., მუსიკის სწავლების მეთოდიკა სკოლაში. 1987 წ.
5. Методы активизации статического воспитания в школе

**Nino Chokonelidze**

## HOW TEACH THE MUSIC IN THE FIRST CLASS SUMMARY

At the secendary school children get primary education, where they study music for development their musical data. Musical education helps them to wake up the love of music and to develop musical habits.

The musical lessens of the first whole system of musical education. To teach a song in the first class is very difficult. You must do it with a simple form, as the children musn't be very tired. That's why the teacher often changes the direction of learning music. In the first class to listen music plays a great role, that's why we must pay more attention to listen music and to speak about music

## ეთერი ჯანჯალია

### თვლის სისტემების სრავლების შესახებ ინფორმაციებისა და პომაიურობული ტექნიკის საცდიალობებზე

„ფიზიკა-ინფორმატიკისა“ და „ინფორმატიკა-უცხო ენის“ სპეციალობების საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებში | კურსის | სემესტრში გათვალისწინებულია „თეორიული ინფორმატიკის“ 32 საათიანი საბაზო კურსის სწავლება. აღნიშნული დისციპლინის სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვან თემას „თვლის სისტემები და რიცხვების ერთი სისტემიდან მეორეში გადაყვანა“ წარმოადგენს.

ამ თემაზე გარკვეული წარმოდგენა პირველკურსელ სტედენტს, რომელმაც სკოლაში თუ ლიცეუმში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ კურსი გაიარა, წესით უნდა ჰქონდეს, რადგანაც მე-10 კლასის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია თემის „ინფორმაციის წარმოდგენა კომპიუტერში“ შესწავლა, სადაც განიხილება კოდირების ცნება, თვლის ორობითი და ათობითი სისტემები, რიცხვების გადაყვანა ერთი სისტემიდან მეორეში, ორობითი არითმეტიკა, მაგრამ აღნიშნული საკითხი მეტად სქემატურადა გაშუქებული, ამასთან, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სკოლების დიდი ნაწილში საგნის „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების საკითხი არ დგას სათანადო დონეზე. ამიტომ ინფორმატიკა და კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობის | კურსზე შემოსულ სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს სრული წარმოდგენა სისტემებზე, რომ არაფერი ვთქვათ რიცხვების ერთი სისტემიდან მეორეში გადაყვანის მექანიზმზე, ორობითი, რვაობითი და თექვსმეტობითი სისტემების არითმეტიკაზე.

ჩვენი აზრით „თეორიული ინფორმატიკის“ კურსში აღნიშნუ-

ლი თემის სწავლებას შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ნაშრომის მიზანია ჩამოყალიბოს აღნიშნული თემის სწავლების მეთოდური მხარის ზოგიერთი მოსაზრება.

თემის შესწავლას ვიწყებთ საკითხით: „თვლის პოზიციური და არაპოზიციური სისტემები“. თვლის სისტემა ეს არის რიცხვების აღნიშვნისა და სახელწოდების ხერხების ერთობლიობა. თვლის პოზიციურ სისტემებში ნებისმიერი რიცხვი იმ ციფრების თანმიმდევრულ ჩანაწერს წარმოადგენს, რომელთა რაოდენობრივი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი პოზიცია უკავია თითოეულ მათგანს.

შემდეგ შემოგვევს სისტემის ფუძის განმარტება: თვლის პოზიციურ სისტემებში რიცხვის ჩასაწერად გამოყენებული ციფრთა რაოდენობა წარმოადგენს სისტემის ფუძეს. პოზიციურ სისტემაში ათვლის ფუძით  $n$ , რიცხვის ჩასაწერად საჭიროა  $n$  ციფრი. ამ ციფრებს უწოდებენ ბაზისურ რიცხვებს.

პოზიციურ სისტემაში რიცხვის ჩაწერა გაშლილი სახით ეწოდება ჩანაწერს:

$A_q = \pm(a_{n-1}q^{n-1} + a_{n-2}q^{n-2} + \dots + a_0q^0 + a_1q^{-1} + a_2q^{-2} + \dots + a_mq^{-m})$  საღაც  $A_q$  თვით რიცხვია,  $q$  - თვლის სისტემის ფუძე,  $a_i$  - თვლის სისტემის ციფრებია,  $n$  - რიცხვის მთელი ნაწილის თანრიგთა რიცხვია,  $m$  - რიცხვის წილადური ნაწილის თანრიგთა რიცხვი.

სტუდენტები უნდა გაეცნონ თვლის რვაობით და თექვსმეტობით სისტემებს, სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ თემის, „თვლის სისტემების“, შესწავლისას განიხილება ის თვლის სისტემები, რომელთა ფუძეც წარმოადგენს 2-ის რომელიღაც ხარისხს, ეს დაკავშირებულია ისევ და ისევ რიცხვების ეგმ-ში წარმოდგენასთან.

ეგმ-ის მეხსიერებაში რიცხვების წარმოდგენის მეთოდები და კავშირებულია ინფორმაციის მანქანური დამუშავებისათვის საჭირო რიცხვების ჩაწერის სპეციფიკურ ფორმასთან.

ათობით სისტემაში ნებისმიერი რიცხვის თითოეული თანრიგის ჩასაწერად აუცილებელია გაგვაჩნდეს მანქანის შესაბამისი მეხსიერების მოწყობილობის 10 ერთმანეთისაგან განსხვავებული მდგრადი მდგომარეობა. თვლის ორობით სისტემაში კი ნებისმიერი რიცხვი წარმოდგება როგორც 0-სა და 1-ის კომბინაცია. ე.ი. ყოველი ასე-

თი მდგომარეობა წარმოადგენს ერთ ორობით ციფრს, აღნიშნულის რეალიზება ტექნიკურად გაცილებით უფრო ადვილია.

თვლის ორობით სისტემაში რიცხვებზე შეკრების, გამოკლების, გამრავლების ცხრილების გაცნობით სტუდენტები რწმუნდებიან, რომ მოქმედებები გაცილებით მარტივად სრულდება.

თვლის ორობით სისტემის არითმეტიკის გარდა აუცილებელია სტუდენტები გაეცნონ რვაობით და თექვსმეტობითი სისტემების არითმეტიკასაც.

როგორც ავღნიშნეთ ეგმ-ის მეხსიერებაში რიცხვები ჩაიწერება ორობით სისტემაში, თუმცა საწყისი მონაცემები ეგმ-ში მოსახერხებელია შევიტანოთ ათობით სისტემაში, ე.ი. უნდა ვფლობდეთ რიცხვების ერთი სისტემიდან მეორეში გადაყვანის მექანიზმს. თემის ამ ნაწილის შესწავლა ჩვენი აზრით მეთოდურად გამართლებულია დაყყოს რამდენიმე ეტაპად.

პირველ ეტაპზე ვიხილავთ რიცხვების გადაყვანას ნებისმიერი სისტემიდან ათობით სისტემაში. აქ ვიყენებთ რიცხვების გაშლილი ფორმით ჩანაწერს, სადაც ვასრულებთ მოქმედებებს ათობით სისტემაში, ვდებულობთ შესაბამის რიცხვს ათობით სისტემაში:

$$320,13_8 = 3*8^2 + 2*8^1 + 0*8^0 + 1*8^{-1} + 3*8^{-2} = 208,171875_{10}$$

$$1011,01_2 = 1*2^3 + 0*2^2 + 1*2^1 + 1*2^0 + 0*2^{-1} + 1*2^{-2} = 11,25_{10}$$

დასკვნა I: იმისათვის, რომ ნებისმიერი რიცხვი ნებისმიერი სისტემიდან ათობით სისტემაში გადავიყვანოთ, საჭიროა ეს რიცხვი ჩაიწეროთ გაშლილი ფორმით და შევასრულოთ ყველა არითმეტიკული ოპერაცია ათობით სისტემაში.

შეავლების მეორე ეტაპზე განვიხილავთ რვაობითი და თექვსმეტობითი სისტემებიდან ორობითში და პირიქით გადაყვანას. აქ ვამახვილებთ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ რიცხვები წარმოდგენილი ისეთ თვლის სიტემაში, რომლის ფუძეც წარმოადგენს 2-ის რაღაც ხარისხს, ჩაიწერება ორობითი კოდების საშუალებით. რვაობითი ციფრების ორობითი კოდები სამთანრიგიანია, ამიტომ ნებისმიერი რვაობითი რიცხვის ჩასაწერად ორობით სისტემაში საკმარისია ამ რიცხვის შემადგენელი ციფრების ორობითი კოდებით ჩაწერა:

$$625,457_8 = 110\ 010\ 101,\ 100\ 101\ 111_2$$

უკუოპერაციის შესასრულებლად კი მთელ რიცხვში მარჯვნის  
დან მარცხნივ გამოვყოფთ სამ-სამ თანრიგს, ბოლო სამეულს ისტუმენტის  
ვავსებთ ნულებით, შემდეგ კი ჩავწერთ ამ კოდების შესაბამის  
რვაობით ციფრებს:

$$1101110111_2 = 001 \ 101 \ 110 \ 111_2 = 1587_8$$

ათწილად ნაწილში კი - მარცხნიდან მარჯვნივ გამოვყოფთ სამ-  
სამ თანრიგს და ბოლო სამეულს შევასებთ ნულებით, ჩავწერთ ამ  
კოდების შესაბამის რვაობით ციფრებს:

$$0,1101100111_2 = 0,110 \ 110 \ 011 \ 100_2 = 0,6634_8$$

რიცხვების თექვსმეტობითი სისტემიდან ორობითში და პირი-  
ქით გადაყვანისას, სტუდენტებს შევასენებთ რომ თექვსმეტობითი  
ციფრების ორობითი კოდები ოთხთანრიგიანია.

დასკვნა 2: იმისათვის, რომ თვლის რვაობითი და თექვსმე-  
ტობითი სისტემებიდან რიცხვები გადავიყვანოთ ორობით სისტე-  
მაში, საკმარისია მოცემული სისტემის რიცხვის თითოეული ციფ-  
რი ჩავწეროთ შესაბამისი ორობითი კოდებით, ხოლო უკუოპერა-  
ციის შესასრულებლად მთელი რიცხვის ორობითი ჩანაწერი დავყოთ  
სამ-სამ ან ოთხ-ოთხ თარიგად მარჯვნიდან მარცხნივ, ბოლოს მი-  
ღებული ციფრები, თუ საჭიროა, შევავსოთ ნულებით და ჩავწე-  
როთ ამ ორობითი კოდების შესაბამისი რვაობითი ან თექვსმეტობითი  
ციფრები, ათწილად ნაწილში კი მარცხნიდან მარჯვნივ გამოვყოთ  
სამ-სამი ან ოთხ-ოთხი თანრიგი, ბოლოს მიღებული ციფრები, შე-  
ვავსოთ ნულებით და ჩავწეროთ ამ ორობითი კოდების შესაბამისი  
რვაობითი ან თექვსმეტობითი ციფრები.

ავღნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული შემთხვევები  
კერძო შემთხვევებია, საჭიროა ზოგადი წესი, რომელიც საშუალებას  
მოგცემს ნებისმიერი რიცხვი ნებისმიერი სისტემიდან გადავიყვა-  
ნოთ ნებისმიერ სისტემაში. სწავლების მესამე ეტაპზე განიხილება  
მთელი რიცხვების გადაყვანა თვლის ერთი სისტემიდან მეორეში.  
საკითხის შესწავლას ვიწყებთ ათობითი სისტემის მთელი რიცხვების  
გადაყვანით ორობით სისტემაში.

ვთქვათ **A** მთელი რიცხვია ათობით სისტემაში. ორობით სის-  
ტემაში **A** ჩაიწერება შემდეგი სახით:  $A=a_n * 2^n + a_{n-1} * 2^{n-1} + \dots + a_1 * 2 + a_0$ .

ა) კოეფიციენტებიდან თითოეული ან 0-ია ან 1. გავყოთ  ლობის ორივე მხარე 2-ზე ათობით სისტემაში:  $A/2 = a_n * 2^{n-1} + a_{n-1} * 2^{n-2} + \dots + a_1 + a_0$

$[A/2] = a_n * 2^{n-1} + a_{n-1} * 2^{n-2} + \dots + a_1$  და  $\{A/2\} = a_{n/2}$  ამასთან  $a_0/2 < 1$ , რადგან  $a_0 = 0$  ან  $a_0 = 1$ . ნათლად ჩანს უმცროსი კოეფიციენტის პოვნის შესაბამისობა:  $a_0 = 2 * \{A/2\}$  ეს არის A რიცხვის 2-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი. შემდეგ ვპოულობთ  $a_{I-1} = 2 * \{A/2\}$ , სადაც  $A/2 = [A/2]$ . ვაგრელებთ ამ პროცესს ე.ი. ვღებულობთ რეკურრენტულ შესაბამისობათა მიმდევრობას:  $a_I = 2 * \{A/I\}$ ,  $A_{I+1} = [A/I]$ ,  $I=1,2,3\dots$  ეს პროცესი სასრულია რადგან როგორიც არ უნდა იყოს A, 2-ზე თან-მიმდევრობით გაყოფისას, ბოლოს მაინც მივიღებთ  $A_{I+1} = 0$  ამრიგად თვლის ათობითი სისტემიდან ორობითში მთელი რიცხვის გადაყვანის ალგორითმი მდგომარეობს მოცემული რიცხვის 2-ზე თან-მიმდევრობით გაყოფაში ათობით სისტემაში. გაყოფისას მიღებული ნიშთები წარმიადგენენ ორობითი სისტემის კოეფიციენტების შებრუნებულ თანმიმდევრობას.

განვაზოგადებთ რა მიღებულ ალგორითმს, განვიხილავთ მაგალითს:

732<sub>8</sub>-X<sub>10</sub>. მოცემული რიცხვი უნდა გაიყოს 12-pt8 ( $10_{10} = 12_8$ ), გაყოფა სრულდება რვაობით სისტემაში:

732

62 12

57

50 12

112

106 4

7

4

$$732_8 = 474_{10}$$

პასუხი შევამოწმოთ:  $732_8 = 7*8^2 + 3*8^1 + 2*8^0 = 474_{10}$

დასკვნა3: მთელი რიცხვების გადასაყვანად თვლის ერთი სისტემიდან მეორეში, საჭიროა მთელი რიცხვი თანმიმდევრობით გავყოთ ახალი სისტემის ფურცელზე, გაყოფისას მიღებული ნაშთები წარმიადგენენ ორობითი სისტემის კოეფიციენტების შებრუნებულ

თანმიმდევრობას მ სისტემის ფუ)ე, რომელშიც გადაგვყავს რიცხვი,  
ჩაიწერება საწყის სისტემაში და გაყოფაც ხდება საწყის სისტემაში.

სწავლების მეოთხე ეტაპი - თვლის ერთი სისტემიდან მეორეში  
ათწილადი რიცხვების გადაყვანა. განვიხილავთ ათობით სისტე-  
მის ათწილადი რიცხვების გადაყვანის მექანიზმს ორობით სისტე-  
მაში.

ვთქვათ  $x$  არის ათწილადი ათობით სისტემაში, ორობით სის-  
ტემაში მისი გაშლილი სახით ზოგადი ჩანაწერი ასეთია:  $x=a_{-1} \cdot 2^{-1} + a_{-2} \cdot 2^{-2} + a_{-3} \cdot 2^{-3} + \dots$ , სადაც  $a_i$  ( $i=1,2,3\dots$ ) ქოფიციენტებია, რომლებმაც  
უნდა მიიღონ მნიშვნელობა ან 0, ან 1. ტოლობის ორივე მხარეს  
ვამრავლებთ 2-ზე ათობით სისტემაში:  $x \cdot 2 = a_{-1} + a_{-2} \cdot 2^{-1} + a_{-3} \cdot 2^{-2} + \dots$ , სა-  
დაც  $a_1=[x_1 \cdot 2]$ ;  $a_{-2} \cdot 2^{-1} + a_{-3} \cdot 2^{-2} + \dots =\{x_2\}$ .

ავღნიშნოთ  $x_1=a_{-2} \cdot 2^{-1} + a_{-3} \cdot 2^{-2} + \dots$ , გავამრავლოთ ორივე მხარე 2-  
ზე:  $x_1 \cdot 2 = a_{-2} + a_{-3} \cdot 2^{-1} + a_{-4} \cdot 2^{-2} + \dots$ ,  $a_{-2}=[x_1 \cdot 2]$ .  $x_2$ -ით აღვნიშნოთ  
ათწილადი ნაწილი და ა.შ. თუ გამრავლების პროცესს გავაგრძელებთ  
მივიღებთ რეკურენტულ შესაბამისობათა მიმდევრობებს:

$a_{-(I+1)}=[x_I \cdot 2]$   $x_{I+1}=\{x_I \cdot 2\}$ ,  $I=1,2,3,\dots$  გამრავლების პროცესი გაგრძელ-  
დება, სანამ  $x_{I+1}=0$ . მიღებული მთელი ნაწილები პირდაპირი თან-  
მიმდევრობით არის საძიებელი შედეგი. ეს პროცესი უსასრულოდ  
შეიძლება გუგრძელდეს.

მაგალითი:  $0,654_8 \cdot X_{10}$ . მოცემულ რიცხვს გავამრავლებთ 12-ზე  
( $10_{10}=12_8$ ). გამრავლება სრულდება რვაობით სისტემაში.

$$0 \quad 654$$

12

$$10 \quad 270$$

12

$$3 \quad 460$$

12

$$5 \quad 740$$

$$0,654_8 \approx 0,835_{10} \quad (10_8=8_{10})$$

დასკვნა 4: იმისათვის რომ ათწილადი გადავიცვანოთ ერთი სისტემიდან მეორეში უნდა შევასრულოთ შემდეგი მოქმედებები:

ტიკალური ხაზით გამოყოთ მთელი და წილადური ნაწილი, გავამრავლოთ წილადური ნაწილი ახალი სიტემის ფუძეზე, მთელი ნაწილი ჩავწეროთ ვერტიკალური ხაზის მარცხნივ. მიღებული წილადი კვლავ გავამრავლოთ ახალი სიტემის ფუძეზე და ა.შ. გამრავლება გავაგრძელოთ, სანამ არ მივიღებთ რიცხვს წინასწარ მოცემული სიზუსტით, ან ვერტიკალური ხაზის მარჯვნივ არ გვექნება ნულები. გადაყვანის შედეგი იქნება ვერტიკალური ხაზის მარცხნივ. მიღებული რიცხვი, თუ მას წავიკითხავთ ზევიდან ქვევით. გამრავლება სრულდება და ახალი სისტემის ფუძეც ჩაიწერება საჭყის სისტემაში.

ყველა აღნიშნული ეტაპის განხილვის შემდეგ სტუდენტებს შეიძლება გაუჩნდეთ ასეთი კითხვა: ნებისმიერი სისტემის რიცხვის ათობით სისტემაში გადაყვანისას რატომ ვსარგებლობდით სხვა მარტივი ალგორითმით და პირიქით ათობითი სისტემის რიცხვის გადაყვანისას ნებისმიერ სისტემაში რატომ ვიყენებთ შედარებით რთულ ალგორითმებს?

აქ საჭმე იმაშია, რომ ორივე შემთხვევაში ვსარგებლობთ ათობითი არითმეტიკით, თუ ათობითი სისტემიდან რიცხვის გადაყვანისას ნებისმიერ სხვა სისტემაში ჩვენ გამოვიყენებდით შესაბამისი სისტემის არითმეტიკას, ალგორითმი იგივე იქნებოდა, რაც ნებისმიერი სისტემის რიცხვების გადაყვანისას ათობით სისტემაში. მაგრამ ათობითი არითმეტიკის გამოყენება გაცილებით უფრო ადვილია ჩვენთვის, რადგან ჩვენი უნარ-ჩვევები მჭიდროდაა დაკავშირებული თვლის ათობით სისტემასთან.

## ლიტერატურა

1. Власов В.К., Королев Л.Н., Сомников А.Н., элементы информатики, Москва, "Наука", 1988 г.
2. Лапчик М.П., - Вычислительная техника и программирование, Москва, "Просвещение", 1987.
3. გვარამია გ., ჩხაიძე ზ., ერისთავი ვ., დოკვაძე კ. - ინფორმა-  
166



4. Фомин С.В. - Системы счисления.
5. Информатика. (Задачник-практикум) - Под редакцией И. Семакина, Е. Хеннера.
6. Заварыкин В.М., Житомирский В.Г., Лапчик М.П., Техника вычислений и алгоритмизация, Москва, "Просвещение", 1987 г.
7. Дьяконов В.П.; Справочник по алгоритмам и процедурам на языке БЕЙСИК для персональных Эбм. Москва "Наука", 1987г.

**Ether Dzandzalia  
ON TEACHING COUNTING SYSTEMS  
AT THE SPECIALITIES  
OF INFORMATIONAL TECHNOLOGY**

**SUMMARY**

The work deals with some methodological approaches on teaching one of the most important items – “counting Systems and Number shifts from one System to the other”- from the course of “Theoretical Computer vScience” taught to the first-year students of the departments of Physics and Computer Studies and Computer Studies and English.

Namely, the work discusses positive and non-positive counting systems, presents numbers On the large scale, arithmetics of binary and other counting systems.

Teaching the mechanism of shifting numbers from one system into any other system is divided into 4 stages.

## მელქისედეკ ჯინჯიხაძე ქეთევან ჭელიძე

**ამოცანის მოდელის უმჯობესობა—ორიენტირება  
პროგრამირების ენის საშუალებით**

კომპიუტერული ინსტრუმენტალური სისტემები ყოველთვის ვითარდება ერთი მიზნით: რაც შეიძლება გაადვილდეს პროგრამირების პროცესი. კომპიუტერზე ამოცანის ამოხსნისას გამოიკვეთება რეალური სამყაროს ცნებები (არსები), რომელთა აღწერა ურთიერთდაკავშირებული ობიექტების სახით უფრო ადვილია, ვიდრე შევპროგრამითა ერთობლიობის სახით (როგორც ეს პროცედურულ პროგრამირებაშია). არსის წარმოდგენა პროგრამირების ენებში ხორციელდება მისი ტიპის საშუალებით. მარტივ ტიპს (რიცხვითი, სტრიქონული და ლოგიკური) არ აქვს რაიმე შინაგანი სტრუქტურა. რეალურ თუ წარმოსახვით არსებს კი აქვთ რთული სტრუქტურა და ამიტომ მათი წარმოდგენისათვის ერთი რომელიმე ძირითადი (მარტივი) ტიპი არასაკმარისია. ახალი ტიპების მიღება სწორედ ძირითადი ტიპების კომბინირებით ხდება.

ობიექტის, კლასისა და მემკვიდრეობითობის ცნებები პირველად შემოტანილ იქნა პროგრამირების ენა *Simula*-ში (1967 წ.) და ასახავდა მოდელირებადი რეალობის რაიმე ასპექტს. აღრევე გამოიკვეთა კიდევ ერთი ცენტრალური იდეა: ობიექტების სიცოცხლისუნარიანობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ინფორმაციას ერთმანეთთან ცვლიან შეტყობინებათა დონეზე.

ზოგადად, მონაცემთა ტიპს კლასი ეწოდება. კლასში ერთიანდებიან ობიექტები. ყოველი ობიექტი ეკუთვნის მხოლოდ ერთ კლასს. კლასი შეიძლება განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი არსი, რომელიც გამოყოფილია გარე სამყაროდან. ერთი და იგივე

კლასის ობიექტების აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა იდენტურობის ტიფიკატორები. ყოველი კლასი განსაზღვრავს მასში შემავალი ობიექტების შექმნის (დაბადების), მოქმედების (ქცევის) და განადგურების წესებს. ჩვენს მიერ აღნიშნული მარტივი ტიპები პრიმიტიული კლასებია.

არსები არ არსებობენ სიცარიელეში. ისინი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია და ამ კავშირში გასარკვევად მოსახერხებელია არსების იერარქიული სტრუქტურით წარმოდგენა.

პროგრამის (C++-ზე) ტექსტში არსებული ჩანაწერი *int n* ნიშნავს, რომ ტიპი *int* (მთელი ტიპი) განსაზღვრავს *n* ცვლადის მნიშვნელობათა სიმრავლეს. ზოგადად, ტიპი ასე ჩაიწერება  $T = \langle A, O \rangle$ , სადაც *A* არის ტიპის ყველა შესაძლო მნიშვნელობათა სიმრავლე, *O* კი ამ სიმრავლეზე განსაზღვრულ ოპერაციათა ერთობლიობა. კლასიც ასევე განისაზღვრება:

*class კლასის-სახელი {*

*ატრიბუტების განყოფილება;*  
*ოპერაციათა განყოფილება;*

*}*

ატრიბუტების განყოფილებაში აღიწერება კლასის ცვლადები (წარმოადგენენ პრიმიტიულ ან სხვა კლასებს), რომელთა მნიშვნელობები განსაზღვრავენ ობიექტის მდგომარეობას, ოპერაციათა განყოფილებაში კი - ობიექტის ცვლადებზე ჩასატარებელი ოპერაციები - მეთოდები, რომლებიც განსაზღვრავენ ობიექტის ქცევას. კლასის შიგა რეალიზაცია შეიძლება შეიცვალოს და იგი არ იწვევს არასასურველ შედეგებს პროგრამის ტექსტის დარჩენილ ნაწილში.

ზოგადად, ობიექტებზე-ორიენტირებადი პროგრამირების ენა ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ინკაფსულაცია, პოლიმორფიზმი და მემკვიდრეობითობა.


ინკაფსულაცია ნიშნავს იმას, რომ კლასი ერთ „კაფსულაში“ აერთიანებს არსის (ობიექტის) შინაგან სტრუქტურასა (მდგომარეობას, ატრიბუტებს) და ქცევას, რომელიც დამალულია მომხმა-

რებლისათვის. სტრუქტურა მისი ცვლადებია და ქცევა - იმ მეორე  
დების ერთობლიობაა, რომლითაც ვოპერირებთ კლასის პროცესის  
ტურაზე. კლასის პარამეტრებთან მიწვდომა ხდება მეთოდების -  
პროცედურებისა და ფუნქციების საშუალებით. კლასის წარმო-  
მაღვენლის შოქმედება (ქცევა) განისაზღვრება მის მიერ  
შეტყობინებების (მოვლენების) გადაცემასა და შესაბამისი მეთო-  
დით მათზე რეაგირებაში.

პოლიმორფიზმი ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე გარეშე  
მოვლენებზე ობიექტები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ იმის და  
მიხედვით, თუ როგორაა მოქმედების ეს წესები მათთვის განსაზ-  
ღვრული. ე.ი. ისინი ირჩევენ შინაგან მეთოდს შეტყობინებაში მი-  
ღებულ მონაცემთა ტიპების მიხედვით. მაგალითად, ობიექტის *print*  
შეიძლება მიიღოს დავალება დაბეჭდოს ორობითი რიცხვი, ნამდვი-  
ლი რიცხვი ან სიმბოლო.

მემკვიდრეობითობა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ობიექ-  
ტების გაერთიანება მემკვიდრეობითობის პრინციპით. მისი არსი  
იმაშია, რომ ყოველი ახალი კლასი შეიძლება აიგოს ძველი ერთი  
ან რამოდენიმე საბაზისო კლასის საფუძველზე. ამ დროს იგი მემ-  
კვიდრეობით ღებულობს ძველი კლასების თვისებებსა და ქცევას.  
მათთვის შეიძლება განისაზღვროს დამატებითი თვისებები. ახალ  
კლასს უწოდებენ „შვილობილს“, ძველ კლასს კი „მშობელს“. თუ  
„მშობლისა“ და „შვილის“ ქცევა ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ახალი  
ქცევის. განსაზღვრა საჭირო არაა და მისი გამოძახების დროს შეს-  
რულდება „მშობელ“ კლასში განსაზღვრული მეთოდი. ამავე დროს  
საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადაიფაროს წინაპრის თვი-  
სება ახალი თვისებით.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ვთქვათ, გვსურს განვსაზ-  
ღვროთ, თუ როგორ იმოძრავებს სხეული, რომელიც ჰორიზონტი-  
სადმი რაიმე ა კუთხითაა გასროლილ?



საერთოდ, ამოცანის ამოხსნისათვის საჭიროა შევქმნათ მისი მათემატიკური მოდელი, სადაც უგულებელვყოფთ დედამიწის ზე-დაპირის სიმრუდესა და მოძრაობას და პარამეტრების, ხოლო თავისუფალი ვარდნის აჩქარება  $g$ -ს ჩავთვლით მუდმივად.

განვიხილოთ უძრავი კოორდინატთა სისტემა და ვთქვათ, სხეულის საწყისი მდებარეობა კოორდინატთა სათავეს ემთხვევა. განვსაზღვროთ სხეულის  $x$  და  $y$  კოორდინატები  $t$  დროში. სიჩქარის პროექციები  $g_x = 0$ ,  $v_x = v_0 \cos \alpha$ ,  $v_y = v_0 \sin \alpha$ ,  $g_x = 0$ ,  $g_y = -g$ ,  $v_y = v_0 \sin \alpha - gt$ . კოორდინატთა ღერძებზე განისაზღვრება თავისუფალი ვარდნის აჩქარების ( $g$ ) პროექციები კი აბსცისათა ღერძის მიმართ მოძრაობა იქნება თანაბარი რადგან რჩება მუდმივი და სხეულის  $x$  კოორდინატი ყოველი  $t$  დროის შემდეგ ტოლია თუკი პირველი განტოლებიდან განვსაზღვრავთ  $t$ -ს და ჩაგსამთ მას მეორე განტოლებაში, მაშინ მივიღებთ განტოლებას, რომელიც აღწერს სხეულის მოძრაობის ტრაექტორიას.

სხეულის მოძრაობა ზემოთ და ქვემოთ ხდება ერთი და იგივე აჩქარებით, დრო ერთნაირია და ტრაექტორია იქნება სიმეტრიული. განვლილი მანჩილი ყველაზე მეტია, როცა  $\sin 2\alpha = 1$ , ე. ი.  $\alpha = 45^\circ$  (ნახ. 2). თუ  $\alpha = 90^\circ$ , მაშინ

და სხეული იმოძრავებს ვერტიკალურად ზემოთ.

ახალი კლასის შექმნა (აღწერა) პროგრამირების ენა **C++**-ში შეიძლება მომსახურე სიტყვებით *struct{}}, union{}}, class{}*. იგი შეიცავს გარკვეულ შიგთავსს და იკავებს რაიმე ადგილს კომპიუტერის მეხსიერებაში.

კლასი მომხმარებლისათვის არის „შავი ყუთი“, რომელსაც იქვს „უნარი“ რეაგირება მოახდინოს მომხმარებლის მოთხოვნაზე და მისი ატრიბუტებისა და მეთოდების გამოყენების უფლება განი-



საზღვრება მათი „ხედვის“ არის (მისაწვდომობის) მიხედვისათვის, კლასის ყოველ ელემენტს აქვს სტატუსი *public, protected, private*. რაც განსაზღვრავს ელემენტის ინკაფსულაციის ხარისხს. *private* (საკუთარი) - მისაწვდომობა მხოლოდ კლასის შიგნით, *protected* (დაცული) - მისაწვდომობა „შვილობილი“ კლასებისათვის, *public* (საერთო მოხმარების) - გამოიყენება მთელს პროგრამაში. თუკი კლასი განსაზღვრულია *union()*, მაშინ მონაცემები და ფუნქციები საერთო მოხმარებისაა, *struct()* - ასევე საერთო მოხმარებისაა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია „ხედვის“ არის შეზღუდვა შესაბამისი მომსახურე სიტყვების საშუალებით.

ცვლადების მნიშვნელობებს ეწოდებათ მონაცემი-წევრი და მეოთხებს კი ფუნქცია-წევრი.

კლასების აღწერა ხდება სათაური (*h* გაფართოების) ფაილში, ხოლო მისი მეთოდების რეალიზაცია აქვე ან სხვა ტექსტური ფაილში (*.cpp* გაფართოებით) შეიძლება ჩაიწეროს.

მეთოდებს შორის არის ორი მეთოდი ე.წ. კონსტრუქტორი და დესტრუქტორი, რომლებიც გამოიძახება კლასის შექმნის და განადგურების დროს.

კონსტრუქტორი შეიძლება იყოს ერთი კლასისათვის ერთი ან რამოდენიმე. იგი მეხსიერებაში გამოყოფს აღვილს კლასისათვის და ობიექტს განსაზღვრავს მისი საწყისი მნიშვნელობებით. კონსტრუქტორის სახელი ემთხვევა კლასის სახელს.

დესტრუქტორი კი გამოიძახება ცხადად ან არაცხადად ობიექტის განადგურების დროს. მისი ტანი ცარიელია და თვით პროგრამირების ენა განსაზღვრავს თუ როგორ გაათავისუფლოს მეხსიერება ობიექტისაგან.

ამრიგად, შევქმნათ *thing.h* სათაური ფაილი, რომელშიაც განვსაზღვროთ კლასი *point* (პოზიცია), რომლის ცვლადებია ნამდვილი ტიპის *px, py*, რომლებიც დაცული პარამეტრებია (*protected*), რადგან ისინი უნდა გამოიყენოს „შვილობილმა“ კლასმა.

```
class point {
protected: float px,py; // პოზიციის აბსცისა და ორდინატა
public:           point (float,float); // კონსტრუქტორი
};
```

კლასი *pixel* (წერტილი) იყოს კლასი *point*-ის „შვილი“, რომელიც საც ექნება დამატებით ცვლადი *color* (ფერი). კლასში განვხვდებით მეთოდები *show, hide, move*.

```
class pixel:public point {  
protected:    int color;  
public:  
pixel(float,float,int);           // კონსტრუქტორი  
void show(int c) {putpixel(px,py,c);} // წერტილი ჩანს ეკრანზე  
void hide();                     // წერტილი გაქრება ეკრანიდან  
void move(float,float);         // წერტილის გადაადგილება  
};
```

კლასი *thing* (საგანი, სიმარტივისათვის ის ჩავთვალოთ წრედ) არის *pixel*-ის „შვილი“, რომელსაც აქვს დამატებითი ატრიბუტი საწყისი სიჩქარე *vt*. აქვე განვსაზღვროთ მეთოდები *show, hide, move* სხვაგვარად ვიდრე მისი „მშობელი“ კლასისათვის.

```
class thing:public pixel {  
float vt;  
public: thing(float,float,int,float); // კონსტრუქტორი  
float v() {return vt;} // სხეულის საწყისი სიჩქარის მნიშვნელობა  
void show(int c) {  
setcolor(c);circle(px,py,2); // წრეწირი, რომლის რადიუსია 2  
}  
void hide();             // სხეულის გამოსახულება გაქრება  
void move(float,float); // სხეულის გადაადგილება  
};
```

შევქმნათ *thingf.cpp* ფაილი, რომელშიც აღწერილ იქნება ჩვენს მიერ განსაზღვრული კლასების მეთოდები. კონსტრუქტორებში მოცემულია კლასთა პარამეტრების შეზღუდვები, რომელებიც განისაზღვრება გრაფიკული ეკრანის კოორდინატებით, ფერის დასაშვები მნიშვნელობებით ან საწყისი სიჩქარის ისეთი მნიშვნელობით, რომელიც მოგვცემს ამოცანის თვალსაჩინო სურათს ეკრანზე.

```
point::point(float x,float y){  
if(px>640 || px<0 || py>480 || py<0) cout << "არასწორი კოორდინატებია";  
else {
```

```

px=x;py=y;
}
};

pixel::pixel(float x,float y,int c):point(x,y) {
if (c<0 || c>15) cout << "Фарбісі мәніндеңгеленді ақылшома";
else color=c;
};

void pixel::hide() {
int c=color;color=getbkcolor();show(color);color=c;
};

void pixel::move (float dx,float dy) {
hide(); px=dx;py=dy;show(color);
};

thing::thing(float x,float y,int c,float v):pixel(x,y,c) {
if (v<0 || v>100) cout << "Сағнісі сағынісі сөйкесін мәніндеңгеленді ақылшома";
else vt=v;
};

void thing::hide() {
int c=color;color=getbkcolor();show(color);color=c;
};

void thing::move (float dx,float dy) {
hide(); px=dx;py=dy;show(color);
};
}

дәбонлар, 3рөккөтісінде (thing.prj) үндәдә ғана сабактың оны  

thingc.cpp ғаилә, қондырғанда өзіндеңгеленді ақылшома main(). әділдік  

тәжірибелі тәсілде жасалған thing) ұзақтығынан сабактың 3рөккөтіндеңгеленді  

үндәдә миғалдана оттанды өзіндеңгеленді ақылшома, ғарнің да сағынісі сөйкесін  

3рөккөтісіндеңгеленді ақылшома .cpp ғаиләндеңгеленді ақылшома #include  

"thing.h" әділдіктеріндеңгеленді ақылшома ғана миғалдана оттанды 3рөккөтіндеңгеленді  

сағнісіндеңгеленді ақылшома (graphics.h, math.h, conio.h, dos.h, stdio.h).  

main() {
int gd=VGA,gm=VGAHI;
initgraph(&gd,&gm,"..\BGI"); // ғана оның үлкендеңгеленді ақылшома
};

```

```

line(0,420,600,420); line(10,0,10,430); // კოორდინატთა სისტემა
მის დახაზვა
float x, x0=20.0, y0=415.0, y, al=3.14/4, t=0.0, g=10.0, xp=x0,
yp=y0;
thing th(x0,y0,2,80); // thing კლასის th ობიექტის შექ-
მნა
pixel p(xp,yp,4); // pixel კლასის p ობიექტის შექმნა
th.show(1); // ობიექტის ჩვენება
float v0=th.v(); // საგნის საწყისი სიჩქარე
while (t<=2*v0*sin(al)/g+0.1) {
x=x0+v0*cos(al)*t; // საგნის x კოორდინატი
y=y0-(v0*sin(al)*t-g*t*t/2); // საგნის y კოორდინატი
th.move(x,y); // საგნის გადაადგილება ახალ x,y პო-
ზიციაში
p.move(xp,yp);p.show(4);
xp=x;yp=y; // საგნის მოძრაობის ტრაექტორია
delay(100); // პროგრამის მუშაობის შენელება
t+=0.1; // დროის შემდეგი მომენტი
}
}

```

### ლიტერატურა:

1. Объектно-ориентированные особенности C++, PC Magazine 3.91; №3, 1991.
2. Биллиг В. А., И. Х. Мусикаев. Visual C++ 4.0 книга для программистов, М.: "Русская редакция", 1996.
3. Страустрап Б., Что такое объектно-ориентированное программирование; <http://www.infocity.kiev.ua/>
4. Элементарный учебник физики, т. 1 - Под ред. Г.С. Ландсберга. - Москва "Наука", 1985.

# ПОСТРОЕНИЕ МОДЕЛИ ЗАДАЧИ С ПОМОЩЬЮ ЯЗЫКА ОБЪЕКТНО-ОРИЕНТИРОВАННОГО ПРОГРАММИРОВАНИЯ

## РЕЗЮМЕ

Компьютерные инструментальные системы - средства разработки программ изобретались и развивались с единственной целью облегчить методы программирования.

Процедурный метод задачу моделирует набором алгоритмов (процедур и функции), а данные хранятся отдельно и передаются этим алгоритмам как параметры.

Объектно-ориентированное программирование (ООП) действительность описывает в форме системы взаимодействующих объектов. Объекты посылают друг-другу сообщения, а данные и методы инкапсулированы в них. ООП расширяет парадигму абстрактных типов данных механизмом наследования и полиморфизма.

Хотя C++ в основном объектно-ориентированный язык, он поддерживает и процедурную парадигму. Для каждого конкретного случая можно выбрать наилучшее решение.

იმერი ბასილაძე, +შოთა ჩხარტიაშვილი	
მასრავლებლის პადიგრის მომზადების ზოგიერთი პროცესი	
ქათაისის აპატი ფეროვანის სახელობის	
სახელმწიფო უნივერსიტეტში . . . . .	3
იმერი ბასილაძე, ნათა ბლიაძე	
ქალთა აღზრდისა და განათლების საკითხები გამორიცვა	
მაისქოროსის აერაგოგიურ ნააზრობში. . . . .	8
იაგო ბალანჩიძეაძე	
ფილიპარ განვითარებაში უფლებების მოწვევა	
გავვათა აერაგოგიური თავისებურებანი. . . . .	13
მანანა ზიგნიგაძე	
რიცხვითი გამოსახულების სრავლების	
ხერხები მოაგორიზმის გამოყევით. . . . .	21
მაგდა თხილავა	
სიმღერის სრავლება, როგორც მომავალი აერაგოგის	
პროცესული მომზადების მფლობელი საშუალება . . . . .	29
ინგა კახიანი	
შესაძრტული სისტემები და გათი უექნის ტეროლობა. . . . .	34
ხათუნა კიკალიაშვილი	
პროლეტარი განათლება ფილის სრავლების პროცესში. . . . .	40
ნინო კოსტაფაძე-	
სინტაზისა და პრეცენტის	
საკითხების სრავლება II-III პლასტში. . . . .	47
ინგა მაღლაცფერიძე	
ჭეპირი ლომისიპერი ქარესის პროცესი	
მართული სტოლის რასელი ანის	
პრინციპური ფილის სახელმძღვანელო. . . . .	53
თინათონ მაჭავარიანი	
დაზყვანი ძლასაზე მუსიკალურ-რიტუალი აღზრდა (რიტმიკა) . . . . .	59
მადონა მეგრელიაშვილი, რუსუდან გვილავა	
მოდელების სრავლების სისტემა . . . . .	

მანანა შიქაძე	
ინგლისის სრავლება საუკალო სტრუქტურა . . . . .	71
თამაზ მორალისტები	
აფთანდილი ნანაფა	
განათლების ინფორმაციების მირთაღი მიმართულებები . . . . .	86
Nino Nijaradze	
<b>COMMUNICATIVE LANGUAGE TEACHING AND ELT IN GEORGIAN STATE SCHOOLS.....</b>	<b>93</b>
ალექს ტომაკოვა	
შპროტი ტინადაღების სრავლების ღიხვისტური საუკალოები ( რესულები, როგორც პირობების მაშვილი). . . . .	102
თამარ ღვინიანიძე	
თავისუფალ თემები მუშაობა VII-VIII კლასებში . . . . .	108
მაღვინა შანიძე	
ვერცხლული ნათარებების გამოყენება მოსწავლის პროცესების და ეფექტულების განვითარების მიზნით	
მარიამი ენის გამოსილებები შესახ კლასში . . . . .	118
გურამ ჩაჩანიძე, +გალერიან ქელბაქიანი, თენგიზ მაისურაძე განათლების ინფორმაციული ტექნიკური და	
მისი დანერგვის პროგლემები. . . . .	118
ინდიკო ჭელიშვილი, ნათელა კიკაძიძე	
სრავლების ტემის საუკალოების ოპტიმალური გამოყენება. . . . .	137
ქოთევან ჭელიძე	
<b>MICROSOFT OFFICE-ის მომართებითა აგტორებისაცია. . . . .</b>	<b>144</b>
ანთონ ჭიჭინაძე, გუგული ქიშმარეუშვილი, ნანა კილაძე	
ზოგიერთი რა მოწლობის განვითარების შესახვ . . . . .	152
ნინო ჭოხონელიძე	
მუსიკის სრავლების საპირისპირო პრემილ კლასში. . . . .	157
ერერი ჯანჯალია	
თბილის სისტემების სრავლების შესახვ ინფორმაციის და კომისიუმული ტემის სამიზაღვებები. . . . .	162
მელქისედეკ ჯანჯიხაძე, ქეთევნ ჭელიძე	
პრეცანის მოწლოის შემნა ტემპტურული-რიცმენტირებადი პრობრამისტების მის საუკალოები. . . . .	170

ଫିଲ୍‌ମନ୍‌ଦ ଅନ୍ଧିଷ୍ଠା, ଧାର୍ଯ୍ୟବିଧାନନ୍ଦା ଓ ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷରଣା କ୍ଷେତ୍ରବିଶେଷଜ୍ଞ ଏକବିନ୍ଦୁ ଓ ଉଚ୍ଚବିହାରୀ ଶର୍ମିଳାପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ

ଗାନ୍ଧିମୁଖ୍ୟମନ୍ଦିରଙ୍କ ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷରଣା

ପ୍ରକାଶ ମିରିଯାପି

ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷରଣା

ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ

ଅନ୍ଧିଷ୍ଠାପତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ

ନାନା ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷରଣା  
ମିରିଯା ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ



ନାମକ୍ଷରଣ ଘଟନାମ୍ବିତ 11.5  
ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ ନାମି 60X84. 1/16

ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀଙ୍କିରଣକାରୀ